ზეკარი

მართლმადიდებლობა და თანამედროვეობა

N4(14) 2024

ზღვარი
მართლმადიდებლური მოძღვრებისა და მეცნიერების
თეოლოგიურ - საგანმანათლებლო ჟურნალი

N4(14) 2024

 აუდიო ფაილის
მოსასმენად
დაასკანერეთ

რედაქტორი:

დეკანოზი გიორგი წეროძე

სარედაქციო საბჭო:

ზურაბ ჯაში
თამარ გრძელიძე
არქიმანდრიტი ილია ჯინჯოლავა
ბექა მინდიაშვილი

ტექსტის რედაქტორი:

ანა ჭაბაშვილი

დიზაინი:

ელენე მინდიაშვილი

USAID
ამერიკელი ხალხისგან

unag
საქართველოს გაეროს ასოციაცია

ჟურნალი მომზადდა „ზღვარის" სარედაქციო ჯგუფის მიერ , USAID-ის „ერთიანობა მრავალფეროვნებაშია“ პროგრამის ფარგლებში, რომელსაც ახორციელებს საქართველოს გაეროს ასოციაცია, აშშ-ის საერთაშორისო განვითარების სააგენტოს ფინანსური მხარდაჭერით. ჟურნალში მოცემული შეხედულებები და მოსაზრებები ეკუთვნის პუბლიკაციის ავტორებს და არ უნდა აღიქმებოდეს ამერიკის შეერთებული შტატების საერთაშორისო განვითარების სააგენტოსა და საქართველოს გაეროს ასოციაციის ოფიციალურ პოზიციად.

© 2024, ყველა საავტორო უფლება დაცულია

სარჩევი

4 „ქრისტე იშვა ბეთლემსაო“...
თამარ გრძელიძე

9 თავისუფლებისა და სამართლიანობის არჩევანი
ზურაბ ჯაში

13 ღმერთი სიყვარულისა და იმედისა მოვა წელსაც
ანდრეა არღირროპულო
თარგმნა ლევან ბუკიამ

17 რელიგიის გასაუქმებლად დაბადებული ქრისტე
დეკანოზი გიორგი წეროძე

24 წმინდა ლეონ დიდის საშობაო ქადაგების შესავალი
ზურაბ ჯაში

29 წმინდა ლეონ დიდი
XXI ქადაგება შობაზე

35 ქრისტეს განკაცების შესახებ – მიტროპოლიტი იოანე ზიზიულასი
გურამ ლურსმანაშვილი

43 პიტერ ბრეიგელის საშობაო გზავნილები საქართველოსთვის
ბექა მინდიაშვილი

53 დროის ფილოსოფიურ – საღვთისმეტყველო გააზრება საქართველოში
ნარი ჩხაბერიძე

65 ოლივერ სქოლასტიკოსის სამყარო და საქართველო
ბექა ჭიჭინაძე

73 მღვდელმონაზონი თეოდორე ჩიხლაძე
ლაშა დეისაძე – შარვაშიძე

87 მსოფლიო პატრიარქ ბართლომეოსის სამშვიდობო პოლიტიკა
გიორგი ფარეშიშვილი, გიორგი მხეიძე

97 პონტოელი კაცის ახირება რომელმაც ყველაფერი შეცვალა
ირაკლი კერესელიძე

Მრი ათას ოცდამეხუთედ ვდღესასწაულობთ ადამიანად დაბადებას ღმერთისა, რომელმაც ჩვენთვის ცათა სასუფეველი მაქსიმალურად ხელშესახები გახადა. ის იბადება გარემოში, რომელშიც მასპინძელი, სტუმრები, პირუტყვი - ყველანი ერთად არიან შემოკრებილნი. ევქარისტიულობა, ყველა ცოცხალი არსების, მთელი სამყაროს, კოსმოსის შემოკრება თითქოს დაბადებიდანვე მისი მთავარი სათქმელი იყო. ცათა სასუფევლის ეს ყველასა და ყველაფრის ღვთაებრივ ღირსებაში შემომკრები თვისება - დღეს ახალი ძალით უნდა შევახსენოთ ერთმანეთს, მკვდრეთით აღდგომის შემდგომი რეალობები სულ უფრო და უფრო მეტი გამბედაობით დავამკვიდროთ. დღეს ჩვენ გარშემო იმდენი ტყუილი და ცილისწამება ისმის ადამიანზე, მტერსა და მოყვარეზე, რომ ძალაუნებურად გაგახსენდება სახარებისეული სიტყვები: „თვალი გაქვთ და ვერას ხედავთ, ყური გაქვთ და არა გესმით რა და არც რა გახსოვთ?“ (მკ 8:18).

განა ის, რომ დასავლურ კულტურაში ყოველი დედისაგან შობილის ღირსება პირველხარისხოვნადაა მიჩნეული, არ ჰგავს ცათა სასუფევლის სიმართლეს? “...დედისაგან შობილი არვინ აღმდგარა იოანე ნათლისმცემელზე უმეტესი, ხოლო ცათა სასუფეველში უმცირესიც მასზე უმეტესია“ (მთ 11:11). განა გამორჩეულობის, დიდგვაროვნობის, პრივილეგიების გაუქმება არ არის ცათა სასუფევლის ულტიმატიური პირობა? იქნებ ვინმეს ჰგონია, რომ მეფენი, დიდგვაროვანნი, მდიდარნი, სამღვდელონი, ეპისკოპოსნი ან პატრიარქნი, ცოლნი თუ ქმარნი იმავე მიმართებებით აღდგებიან ქრისტეს ლოგოსში? იმდენად დაკარგული გვაქვს ცათა სასუფევლისა და ღმერთთან ერთად ცხოვრების სურვილიცა და მოლოდინიც, რომ, მგონი, მომიხდება, მკითხველი დავარწმუნო, რომ, დიახ, ის, ვინც უბრალოებაში დაიბადა, არ შეიძლება პრივილეგიებსა და მემკვიდრეობით უთანასწორობას დასაშვებად მიიჩნევდეს თავის სამფლობელოში.

ქრისტეს შობის მადლით შეგვიძლია, მეტი სინანული და გამბედაობა გამოვიჩინოთ, რათა უფრო თამამად მოვითხოვოთ ჩვენ გარშემო ცათა სასუფევლის სიმართლის შესაფერისი სოციალური თუ პოლიტიკური გარემო. ამდენი საუკუნის ჩვენი და სხვა ქრისტიანი ხალხების გამოცდილება ამ ღვთივსათნო საქმეში ჩვენთვის მხოლოდ მოკავშირეა. ჟურნალის ამ ნომერში გამოქვეყნებული ორიგინალური სტატიები და თარგმანები სწორედ ამ სულისკვეთებით შევარჩიეთ და წარმოგიდგინეთ ჩვენს ერთგულ მკითხველებს.

დეკანოზი გიორგი წეროძე

„ქრისტე იშვა ბეთლემსაო“...

თამარ გრძელიძე

ქრისტიანისთვის ღმერთის განკაცება და სიკვდილის სიკვდილით დათრგუნვა სააზროვნო რკალია, შემეცნებითი სივრცეა. ამ ორ ყველაზე შთამბეჭდავ და ძნელად დასაჯერებელ მოვლენაზე ვფიქრობთ, ვსწავლობთ, ვფიქრობთ, ვასწავლით, ვფიქრობთ...

საშობაო საგალობლების მიხედვით, ქრისტე ჩვენი ცხოვრებისთვის იშვა; მისი შობით ბაგამ დაუტევნელი დაიტია. უფლის შობამ სამყაროს ცოდნის სინათლე, სიმართლის მზე აღმოუბრწყინა. თავისი შექმნილი სამყაროს მიმართ სიყვარულის გამო უფალი ადამიანად მოგვევლინა. რამდენ რამეს გვეუბნება ამით ღმერთი. ნეტავ ვინმე თუ ამოწურავს ამ ჩამონათვალს?

პასუხის გაცემას შეკითხვაზე, რას ნიშნავს ღმერთის გაადამიანება, უფლის ჩვენ შორის მოსვლა და ცხოვრება, ვიწყებთ იმის გახსენებით, თუ რას ნიშნავს მარადიული ღმერთის მიერ არაფრისგან სამყაროს შექმნა. ეს უკანასკნელი, ღმერთის ბუნებიდან გამომდინარე, არც შემთხვევითობაა, არც აუცილებლობა, მხოლოდ მისი ნებითაა განპირობებული. ღმერთის სურვილია, შექმნას სამყარო, რომლის გვირგვინი ღვთის ხატად და მსგავსად შექმნილი ადამიანი იქნება. ამიტომ ჩვენგან ღვთის მიმართ აღვლენილი პირველი სიტყვა ყოველთვის მადლიერებაა: „გმადლობ, შენ, ღმერთო“, შესაქმისთვის, სიცოცხლისთვის.

ღმერთმა თავისი ნებით დაასრულა ადამიანთან პირველცოდვით „გაწყვეტილი“ (ან, როგორც ზოგიერთი ეკლესიის მამა იტყოდა, „გამრუდებული“) ურთიერთობა. სამყაროს მოევლინა მამის მხოლოდშობილი ძე, ღვთის სიტყვა განკაცდა, ხორცი შეისხა და ადამიანებს შორის მოვიდა, როგორც სრული ღმერთი და სრული ადამიანი. განკაცებულ ქრისტეში ღვთაების მთელი სისავსე დამკვიდრებულია ხორციელადო, გვასწავლის პავლე მოციქული. (კოლ. 2:9) მხოლოდ გან-

კაცების საიდუმლომ შეძლო ცოდვით გაწყვეტილი ურთიერთობის აღდგენა. ქრისტიანობის ისტორიის ყველა ეტაპზე ადამიანი ცდილობს, ჩასწვდეს ამ საიდუმლოს არსს, ფიქრობს იმაზე, თუ რას გვეუბნება ღმერთი აქ და ახლა იმით, რომ ღვთის ძე ადამიანად მოგვევლინა.

იმ უთვალავ პასუხს შორის, რომელსაც ადამიანი ოც საუკუნეზე მეტია, ამ შეკითხვებზე პოულობს, იქნება ეს საკუთარი ძალისხმევით თუ სხვისი დახმარებით, თვალი და ყური განკაცებული ძის ქმედებისა და ქადაგებისკენ მიემართება. საოცარია, რამდენნაირად შეიძლება ადამიანმა გაიგოს ის, თუ ვინ არის „შენი მოყვასი“, ან „მიეცით კეისარს კეისრისა“, თუნდაც „არა კაც კლა“ ან უპირობო პატიება, მეორე ლოყის მიშვერა. ჰოდა, ახლა ჩვენი ჯერია, რომ „მშვიდობის მთავრის“ (ისაია 9:6) შობა, განკაცებული უფლის სიყვარული ჩვენი ცხოვრება აქ და ახლა ასაზრდოოს.

ღვთაების სიყვარული, რაც ღმერთში ბუნებითია, ადამიანში მადლით იმკვიდრებს ადგილს. მაგრამ ეს ხდება მხოლოდ მაშინ, როდესაც ადამიანი სათნოებითა და სიბრძნით მოქმედებს, ყველა გზას უხმობს საკუთარ თავში ღვთაების არქეტიპის სარეპროდუქციოდ, რადგან ეს უპირატესობა ღვთისგან აქვს მინიჭებული. სრულიად შესაძლებელია, რომ ღვთის სიყვარული ადამიანში, როგორც შვილში, დაიმკვიდროს ადგილიო, წერს მაქსიმე აღმსარებელი, ანუ შესაძლებელია, რომ ღმერთმა ადამიანი იშვილოსო.[1] მართალია, ღვთის სიტყვა უძლურებისგან იყო ჯვარცმული, მაგრამ ღვთის ძალით მუდმივად ცოცხალია, (2კორ. 13:4) და სულიერად ყოველთვის იღვწის ადამიანისთვის; ის ხომ ყველა ქმნილების ხსნის მიზნით განკაცდა.

მაშ რას მოასწავებს ქრისტეს ბეთლემში შობა ჩვენთვის? რას გვახსენებს ან გვასწავლის მისი განკაცება? უფლის ადამიანად მოვლინების სასწაულის რწმენა ქრისტიანს აგულიანებს, ამ რწმენის სიხარული მოახმაროს სიცოცხლის, საკუთრისა თუ სხვისი, გაფრთხილებას. ღვთისგან ბოძებულ სიცოცხლეზე, ზრუნვა სხვადასხვა განზომილებით შემოდის ჩვენს ცხოვრებაში, რომლის საფუძველშია კარგისა და ავის სამართლიანი გარჩევა და არა ის, რომ ვინმეს მიმართ ჩადენილ უსამართლობაზე თვალი დავხუჭოთ, სხვის მიმართ ძა-

1 Chapters on Knowledge, 2:21, in Maximus the Confessor: Selected Writings (Classics of Western Spirituality), edited by George C. Berthold (Paulist Press, 1985)

ლადობა მისაღებად მივიჩნიოთ ან ყველას უპირობოდ შევუნდოთ.

26 ოქტომბრის არჩევნებმა საზოგადოების წინაშე ბევრი პასუხგაუცემელი შეკითხვა გააჩინა წინასაარჩევნო პროცესისა და თავად არჩევნების სამართლიანად ჩატარების თაობაზე. მოქალაქეების მხრიდან გაჩნდა პროტესტის ნიშნები, რომელსაც ნაკლებად სისტემური ხასიათი ჰქონდა იმასთან შედარებით, რაც ერთ თვეში განვითარდა. 28 ნოემბრიდან მოყოლებული, საქართველოს მოსახლეობის დიდი ნაწილი დღედაღამ ქუჩაშია. ისინი მშვიდობიანი გზით გამოხატავენ უკმაყოფილებას პარლამენტის მიერ არჩეული საგარეო ვექტორის გამო. ახალმა მთავრობამ (რომლის არჩევის სამართლიანობა დღემდე კითხვის ნიშნის ქვეშაა) მოსახლეობას ამცნო ოთხწლიანი „შესვენება“ ევროკავშირში გაწევრიანების გზაზე. საქართველოს მოსახლეობის ძალიან დიდი ნაწილი, სრულიად სამართლიანად, პროტესტმა მოიცვა. პროტესტს მოჰყვა უმოწყალო დარბევები.

რამდენად შეეფერება უფლის შობის სიხარულს ქუჩაში უკმაყოფილების მშვიდობიანად გამომხატავი ადამიანების მიმართ ძალადობა „ამ სოფლის ძლიერთაგან’? ეს ხომ ის ხალხია, ვინც მართლმადიდებლური პრინციპების დაცვაზე აცხადებს პრეტენზიას. ამ სოფლის ძლიერთაგან მეორე ლოყის მიშვერის მოლოდინი არავის აქვს, მაგრამ თანამოქალაქეების მოყვასად მიჩნევის მოლოდინიც არ უნდა გვქონდეს? რა ნიშანდობლივია, რომ შობის მარხვის დაწყების დღიდან თითქმის ორი კვირა საქართველოს სხვადასხვა ქალაქში, განსაკუთრებით კი თბილისის ცენტრში, არ შეწყვეტილა ძალადობა ადამიანების მიმართ, ვინც აპროტესტებს საქართველოს მოსახლეობისთვის კონსტიტუციური უფლების წართმევას, რომ თანმიმდევრულად მიჰყვნენ ევროპისკენ სავალ გზას.

შობის ნათელი ვერ იგუებს ძალადობასა და წამებას.

არც სინამდვილის დამახინჯებულად წარმოდგენა ესადაგება უფლის ქალწულ მარიამში ჩასახვის ამბავსა და ამქვეყნად მოვლინებას. ხარების ვიზუალური გამოხატულება მარიამს ყოველთვის დაფიქრებული სახით წარმოგვიდგენს. მომავალი ღვთისმშობელი ლოცვითა და რეფლექსიით ეთანხმება საიდუმლოს მიღებას, ღვთისმშობლობას: „აჰა, უფლის მხევალი ვარ. მეყოს მე შენი სიტყვისამებრ.“ (ლუკა 1:38) აქ არ შეიძლება იყოს ტყუილი ან სხვა რამ ბოროტება თუ უსამართლობა, სამყაროს მხსნელი იშვება. დღეს ძალიან

დიდი კონტრასტია ეკლესიის წიაღში საშობაო დღესასწაულისთვის მზადებასა და ეკლესიის გარეთ მიმდინარე მოვლენებს შორის. შობის სიხარული შეუთავსებელია ტყუილთან.

ქრისტესშობის ნათელი და სიხარული შეუდრეკელია იმ უსამართლობისა და ძალადობის მიმართ, რომელიც დღეს დასადგურებულა. უკანასკნელი დღეების განმავლობაში დარბევისგან თავისუფალი ქუჩა ზოგჯერ უფრო მეტად სცემს შიშის ზარს, ვიდრე დარბევისთვის ჩამწკრივებული მოძალადეები პირველი ათი დღის განმავლობაში. მათ ადგილას გაურკვეველი ბურუსია. ამასთანავე, ძალადობამ სხვა სახე მიიღო, თითქოს მთავარი სცენიდან კულისებში გადაინაცვლა, ადამიანების მიმართ ძალადობის, შეშინების, წამებისა და დატუსაღების სხვა გზები გამოინახა.

ქვეყნის ბედით გაერთიანებული ხალხი კი მაინც შეუდრეკელია, შეიძლება არც იციან, რომ მათ სიცოცხლეს ქრისტესშობის ნათელი უდარაჯებს. ისინი კი აქ და ახლა იმ სიხარულს უდარაჯებენ, რომელიც იესოს შობამ კაცობრიობას დააფერთხა და მცნების სახით დაუბარა: „გიყვარდეს უფალი ღმერთი შენი მთელი შენი გულით და მთელი შენი სულით და მთელი შენი გონებით და მთელი შენი ძალით“, - აი, უპირველესი მცნება. და მეორე, ამის მსგავსი: გიყვარდეს მოყვასი შენი, ვითარცა თავი შენი. არ არსებობს ამათზე დიადი მცნება.“ (მარკოზი 12:30-31) ეს ორი მცნება ხომ განუყოფელია: ღვთის სიყვარული მოყვასის სიყვარულია და, პირიქით, მოყვასის სიყვარული ღვთის სიყვარულია. სამშობლოც სხვა არაფერია თუ არა მოყვასი. სამშობლოს დაცვა მოყვასზე ზრუნვაა, ღვთის შექმნილი სიცოცხლის გაფრთხილებაა.

რამდენად შეეფერება უფლის შობის სიხარულს ქუ-
ჩაში უკმაყოფილების მშვიდობიანად გამომხატავი
ადამიანების მიმართ ძალადობა „ამ სოფლის ძლი-
ერთაგან'? ეს ხომ ის ხალხია, ვინც მართლმადი-
დებლური პრინციპების დაცვაზე აცხადებს პრეტენ-
ზიას. ამ სოფლის ძლიერთაგან მეორე ლოყის მიშ-
ვერის მოლოდინი არავის აქვს, მაგრამ თანამოქა-
ლაქეების მოყვასად მიჩნევის მოლოდინიც არ უნ-
და გვქონდეს? რა ნიშანდობლივია, რომ შობის მარ-
ხვის დაწყების დღიდან თითქმის ორი კვირა, საქარ-
თველოს სხვადასხვა ქალაქში, განსაკუთრებით კი
თბილისის ცენტრში, არ შეწყვეტილა ძალადობა
ადამიანების მიმართ, ვინც აპროტესტებს საქართ-
ველოს მოსახლეობისთვის კონსტიტუციური უფლე-
ბის წართმევას, რომ თანმიმდევრულად მიჰყვნენ ევ-
როპისკენ სავალ გზას.

თამარ გრძელიძე

თავისუფლებისა და სამართლიანობის არჩევანი

ზურაბ ჯაში

როგორი იქნებოდა ევროპა და, აქედან გამომდინარე, მთელი მსოფლიო, ამ კონტინენტზე რომ არ გავრცელებულიყო ქრისტიანობა? ეს კითხვა უნდა დაუსვას საკუთარ თავს ყველა მართლმადიდებელმა ქრისტიანმა, ვიდრე რაიმე ხინჯს უპოვის თანამედროვე ევროპას და ნაჩქარევად განსჯის მას, როგორც საქართველოსთვის მიუღებელ ცივილიზაციურ არჩევანს. რა თქმა უნდა, არცერთი ისტორიკოსი სერიოზულად არ დასვამს კითხვას – „რა იქნებოდა, რომ არა“. თუმცა იმის თქმა მაინც შეიძლება, რომ ქრისტიანული რწმენით აღბეჭდილი გვიან ანტიკური ხანა, გამოჩენილი ისტორიკოსის სიტყვებით, „დღემდე ჩქეფს ჩვენს ძარღვებში“.[1] და ის ჩქეფს სწორედ თანამედროვე ევროპაში თითოეული ადამიანის წარუვალი ღირებულების დამკვიდრების მეშვეობით.

„შექმნა ღმერთმა ადამიანი, თავის ხატად შექმნა იგი, მამაკაცად და დედაკაცად შექმნა ისინი“ – გვაუწყებს წმინდა წერილი. შესაქმისას ადამიანს ჯერ არც კარგი საქმეები აქვს ჩადენილი და არც ცუდი, მის რწმენაზე საუბარიც ზედმეტია. ღვთის ხატება ადამიანს მიეცა არაფრიდან შექმნისას და, ამდენად, ის მის ბუნებაშია აღბეჭდილი ყოველგვარი დამსახურების გარეშე. ყოველი ადამიანი ფასეულია უბრალოდ იმ ფაქტიდან გამომდინარე, რომ ის არსებობს. თუკი რომელიმე საზოგადოება ამ ჭეშმარიტებას აქცევს მისი მოწყობისა და კანონმდებლობის ქვაკუთხედად, როგორ შეიძლება ის ჩაითვალოს ღვთისნების მოწინააღმდეგედ, თუნდაც მის პრაქტიკულ განხორციელებაში მარცხს განიცდიდეს? ეკლესიის მამათა და დედათა მრავალსაუკუნოვანი ერთსულოვანი წმინდა გადმოცემით ისიც ვიცით, რომ ღვთის ხატება ადამიანში გამოვლინდება მისი თავისუფალი არჩევანისა და აზროვნების უნარის მეშვეობით. მაშინ, თუ რომელიმე საზოგადოება გა-

დაწყვეტს, ადამიანს შეუზღუდოს საკუთარი რწმენისა და მსოფლმხედველობის თავისუფალი გამოხატვის უფლება, როგორ არ ჩაითვლება ასეთი საზოგადოება ადამიანში ღვთის ხატების შეურაცხმყოფლად?

დღეს საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის წევრისთვის ევროპული არჩევანი უბრალოდ ერთ-ერთი რიგითი პოლიტიკური არჩევანი კი არ არის, არამედ მისი ყოველდღიური ცხოვრების ქრისტიანული ან ანტიქრისტიანული ღირებულებების საფუძველზე განსაზღვრის არჩევანია. დღეს ქართველი ხალხი ქუჩებში უკვე საკუთარი სისხლის ფასადაც იბრძვის ჩვენს ქვეყანაში ევროპული და, მაშასადამე, ქრისტიანული ღირებულებების დამკვიდრებისათვის. ეს არის ბრძოლა როგორც შინაგანი, ასევე გარეშე თავისუფლებისათვის. შინაგანი თავისუფლება არის სახელმწიფოს დემოკრატიული მმართველობა, როდესაც ყოველი მოქალაქე თანასწორი უფლებებით მონაწილეობს ქვეყნის მართვაში და ხელისუფლება არის მის წინაშე ანგარიშვალდებული. გარეშე თავისუფლება კი გულისხმობს საქართველოს გათავისუფლებას რუსეთისიმპერიული დამპყრობლური ძალისაგან.

ამ ეგზისტენციალური არჩევანის ნამდვილობას ყოველდღე ჩვენ თვალწინ ადასტურებს ფაქტობრივად არსებული ხელისუფლების ძალადობა დემონსტრანტებზე. ხელისუფლების ტირანული ქცევა ვლინდება არა მხოლოდ ქართულ საზოგადოებაზე მენტალურ ძალადობაში, როდესაც ის უპირისპირდება ქართველი ერის მიერ ისტორიულად არჩეულ და კონსტიტუციაში გამოხატულ გზას ევროპისაკენ, არამედ ასევე ფიზიკურ ძალადობაშიც, როდესაც ის უკანონოდ იყენებს საპოლიციო ძალას მშვიდობიანი დემონსტრანტების წინააღმდეგ. უფრო მეტიც, ხელისუფლება ახდენს კრიმინალური დაჯგუფებების ორგანიზებას, რომლებიც უსაფრდებიან მომიტინგეებს და უსასტიკესი ფორმით ფიზიკურად უსწორდებიან მათ. ყოველდღე ვხედავთ უამრავ უკანონოდ დაპატიმრებულ ახალგაზრდას სამართალს მოკლებულ სასამართლო პროცესებზე და მათ დალეწილ, დასისხლიანებულ სახეებს.

ამგვარად, დღეს ჩვენ მოწმე ვართ არა მხოლოდ ადამიანში აღბეჭდილი ღვთის ხატების სულიერი მხარის – მისი თავისუფალი ნებისა და აზროვნების უნარის – შემუსვრის მცდელობის, არამედ, ასევე, მისი მატერიალური მხარისაც, ანუ ადამიანის სხეულისა. ამიტომ დღეს ყველა ქრისტიანს მართებს, დაუფიქრდეს წმინდა ავგუსტინეს სიტყვებს:

„სამართლიანობას მოკლებულნი სხვას რას წარმოადგენენ სახელმწიფოები, თუ არა ავაზაკთა დიდ ძარცვას?“ (ღვთის ქალაქის შესახებ IV, 4). და რომელ გზას მიჰყავს ქართული სახელმწიფო სამართლიანობისკენ? ამ კითხვაზე გამოკვეთილი პასუხის გაცემა ყველა ქრისტიანის ვალია.

1 Averil Cameron, Introduction, Late Antiquity: A Guide to the Postclassical World, ed. G.W. Bowersock, P. Brown, O. Grabar (Cambridge: The Belknap Press of Harvard University Press, 1999), ix.

დღეს საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის წევრისთვის ევროპული არჩევანი უბრალოდ ერთ-ერთი რიგითი პოლიტიკური არჩევანი კი არ არის, არამედ მისი ყოველდღიური ცხოვრების ქრისტიანული ან ანტიქრისტიანული ღირებულებების საფუძველზე განსაზღვრის არჩევანია. დღეს ქართველი ხალხი ქუჩებში უკვე საკუთარი სისხლის ფასადაც იბრძვის ჩვენს ქვეყანაში ევროპული და, მაშასადამე, ქრისტიანული ღირებულებების დამკვიდრებისათვის.

ზურაბ ჭაში

ღმერთი სიყვარულისა და იმედისა მოვა წელსაც

ანდრეა არღიროპულო

•

ღმერთი სიყვარულისა და იმედისა მოვა წელსაც. მოვა და მოგვცემს იმედს, ღიმილს სახეზე და სიხარულს.

ვერ ვიპოვით ქრისტეს ვერც სავაჭრო ცენტრებში, ვერც სატელევიზიო შოუებში. მას ვიპოვით ეკლესიაში და თვით ჩვენს თავში, თუკი ჩვენი რელიგიურობა არ იქნება შესუსტებული, და თუკი ჩვენი რელიგიურობა არ იქნება მოჩვენებითი, თუკი ის იქნება მეგობრული და სუფთა.

ქრისტე მოვა არა როგორც ღმერთი-განმკითხველი და მბრძანებელი, არამედ როგორც მეგობარი და მხსნელი.

ქრისტე მოვა წელსაც. მოვა როგორც ყოველთვის, თავის ბაგაში, არა ვილაში, არა საჩინოდ, არამედ უბრალო ადამიანად. კვლავ გააკეთებს ამ არჩევანს, რადგან იცის, რომ მოდის არა იმისთვის, რომ „ემსახურონ, არამედ ემსახუროს და მისცეს თავისი სული მრავალთა გამოსასყიდად“, (მკ.10,45.)

ქრისტე მოვა არა როგორც ღმერთი-განმკითხველი და მბრძანებელი ადამიანთა, არამედ როგორც მეგობარი და მხსნელი. „არ მოვსულვარ რომ განვიკითხო, არამედ რომ ვიხსნა სამყარო“(ინ.12,47.). მოდის, რომ გაათავისუფლოს გაორების, დაუცველობის, უსახლკარობისა და სტერეოტიპებისაგან. მოდის, რომ განკურნოს გულით შემუსვრილნი და უქადაგოს ტყვეებს განთავისუფლება და ბრმებს თვალების ახელა და შეურვებულებს მიტევებით გაშვება (ლკ.4,18).

ქრისტე მოვა წელსაც, რომ შეარყიოს ჩვენი შემსუბუქებული რელიგიურობა და ჩვენი ფარისევლური მოჩვენებითი წესიერება. არ მოვა ზოგიერთისთვის მხოლოდ, არ მოვა რჩეულებისთვის მხოლოდ, არამედ ყველასთვის, განსაკუთრებით მათთვის, ვისაც არ ჰყავს არავინ.

ქრისტე მოვიდა მთელი სამყაროს, ყველა ხალხის, ყველა ადამიანისთვის. როგორც ამბობს პავლე მოციქული, ქრისტეს სურვილია, „ყველა ადამიანი გადარჩეს და მისწვდეს ჭეშმარიტების შემეცნებას“ (1 ტიმ.2,4;). საუკუნეების წინ, ქრისტეს მოსვლამდე, მეფსალმუნე ხაზს უსვამს წინასწარმეტყველურად: „იყოს სახელი მისი კურთხეულ უკუნისამდე; უწინარეს მზისა ეგოს სახელი მისი და პირველ მთოვარისა საყდარი მისი; მისა მიმართ იკურთხეოდიან ყოველნი ტომნი ქუეყანისანი, და ყოველი თესლები ჰნატრიდეს მას... და კურთხეულ არს სახელი წმიდაი დიდებისა მისისაი უკუნისამდე და უკუნითი უკუნისამდე, და აღივსოს დიდებითა მისითა ყოველი ქუეყანაი. იყავნ, იყავნ“ (ფს.71,17,19).

მოდის ქრისტე, და მოაქვს წყალობა ყველას მიმართ. მოდის და, ვიდრე გადადგამდეს პირველ ნაბიჯებს ცხოვრებაში, იძულებული ხდება, რომ დევნილი იყოს, როგორც ათასობით ადამიანი ჩვენს დღეებში. ბეთლემიდან, სადაც დაიბადა, იშვა, დევნილ იქნება ეგვიპტეში, დაბრუნდება ნაზარეთში, სადაც გაიზრდება. ძე კაცისა გაიზრდება იმ სამყაროში, სადაც არა აქვს ადგილი, თავი რომ მიიდრიკოს. ისევე როგორც ჩვენს ეპოქაში გაბატონებულია სიღარიბე, როდესაც არიან მილიონობით დევნილები, მარტო მყოფები, უსახლკარონი, დაუცველები. მოვა, მაშასადამე რომ მისცეს სიხარული და იმედი ყველა იმას, „რომლებსაც მისი სახელის მიმართ სასოება ექნებათ“(მთ.12,21).

მოდის ღმერთი იმედისა და სიხარულისა. საკითხავია, როგორ ველოდებით მას. წმინდა გრიგოლ თეოლოგი ჩვენ გვახსენებს დღესასწაულს ქრისტეშობისას, და გვახსენებს, რომ არ შეიძლება,

ადამიანმა სხვის ხარჯზე მოიწყოს ცხოვრება, მაშინ, როდესაც სხვა ადამიანებს შიათ და სწყურიათ და საჭიროებენ დახმარებას.

ღმერთი სიყვარულისა და იმედისა მოვა წელსაც. თუ გვინდა, მას შევხვდეთ, ნუ ვეძებთ მას სადღესასწაულო შოუებში, ჩვენ გველოდება იგი ქუჩებში, დევნილების ბანაკში, დატყვევებულთა ბანაკებში, უპატრონოთა სახლებში, ქრისტეშობის ლიტურგიაში. დღე სიხარულისა და იმედისა გვიახლოვდება!

ქრისტე იშვება. ადიდებდეთ!

ბერძნულიდან თარგმნა
ლევან ბუკიამ

მოდის ქრისტე, და მოაქვს წყალობა ყველას მიმართ. მოდის და, ვიდრე გადადგამდეს პირველ ნაბიჯებს ცხოვრებაში, იძულებული ხდება, რომ დევნილი იყოს, როგორც ათასობით ადამიანი ჩვენს დღეებში. ბეთლემიდან, სადაც დაიბადა, იშვა, დევნილ იქნება ეგვიპტეში, დაბრუნდება ნაზარეთში, სადაც გაიზრ-დება. ძე კაცისა გაიზრდება იმ სამყაროში, სადაც არა აქვს ადგილი, თავი რომ მიიდრიკოს. ისევე როგორც ჩვენს ეპოქაში გაბატონებულია სიღარიბე, როდესაც არიან მილიონობით დევნილები, მარტო მყოფები, უსახლკარონი, დაუცველები. მოვა, მაშასადამე რომ მისცეს სიხარული და იმედი ყველა იმას, „რომლებ-საც მისი სახელის მიმართ სასოება ექნებათ“ (მთ 16:25.)

ანდრეა არღიროპულო

რელიგიის გასაუქმებლად დაბადებული ქრისტე

დეკანოზი გიორგი წეროძე

ვერავინ ვერ იტყვის, რა მომენტიდან გახდა ჩვენშიც შობა საჩუქრებთან დაკავშირებული. მოგვები ძღვენით, საჩუქრებით მივიდნენ ჩვილ იესოსთან. თავად სამყაროს გაჩენაცა და ღმერთის განკაცებაც ქრისტიანულ თეოლოგიაში უფრო საჩუქრად არის გაგებული და არაფრის დიდებით აუცილებლობად ან გარდაუვალობად. მაგრამ იმისთვის, რომ მხსნელის დაბადება დღესასწაული გახდეს, იმისთვის, რომ საჩუქარი გაგიხარდეს, ადამიანი ხსნის აუცილებლობას მძაფრად უნდა განიცდიდეს, უნდა ატყობდეს, რომ მის არსებობას აკლია სიხარული. ის, რისგანაც შენთვის ხსნა მოაქვთ, ძალიან შემაწუხებელი უნდა იყოს, და საჩუქარიც - ცხოვრების ნაწილი. აუცილებლობის ტყვეობას, უსიყვარულობას თუ მძაფრად განიცდი, მაშინ ამათგან თავის დაღწევის ამბავი უზომოდ უნდა გახარებდეს. თუ არასდროს შეწუხებულხარ ისეთი ღმერთის იდეით, რომელიც მდევარივით გყავს ადევნებული, გულღრძო მეთვალყურის მსგავსად ყველგან გითვალთვალებს, მაშინ თავისუფლების და მეგობრად მოსული ღმერთის დაბადება სულაც არ იქნება ზეიმი. მისგან შეპირებული ან მოულოდნელი საჩუქარი უფრო მეტად შიშს და ეჭვებს გაგიჩენს, ვიდრე მადლიერებისა და საპასუხოდ საჩუქრის მიძღვნის სურვილს. თუ შენს გულს არ შეხებია ღმერთის სახელით სისასტიკით ნაცემი ადამიანების ტკივილი, ან ჩაქოლილი ახალგაზრდა ქალების უმწეობა, მაშინ იმის დაბადება, ვინც ხმალს ქარქაშში ჩააბრუნებს და ქალსა და კაცს ერთნაირი ღირსებით გაგაცნობს, ერთი უმნიშვნელო ამბავი იქნება შენს ცხოვრებაში. თუ არ შეწუხებულხარ ჯიუტი სიბრმავით, როცა სიკვდილის ტკივილსა და სიბერეს სათნოებად და, უფრო მეტიც, ღმერთის ჩანაფიქრად მოგასაღებენ, მაშინ სიკვდილის სიმწარით ღმერთკაცის ლოცვასაც არაფრად ჩააგდებ და არც შვილმკვ-

დარი ღვთისმშობლის ცრემლი გაგახსენდება.

ახლანდელ ყოფაში ბევრი ისეთი რამ არის, რაც ცხოვრებას გვიმწარებს, რისგან თავის დაღწევაც უნდა გვსურდეს. გასაკვირია, როცა შეგუებულები ვართ იმას, რომ ოდესღაც დავბერდებით და მოვკვდებით, სიკვდილს გარდაცვალებით ვალამაზებთ, მკვდრეთით აღდგომისა და ახალი ცხოვრების იმედის ნაცვლად კი გაურკვეველი სულის მარადიულობისა და უკვდავების იდეებით ვიტყუებთ თავს. ტყუილსაც თავი რომ დავანებოთ, ასე სიკვდილის სიკეთედ შერაცხვა და სულისთვის უკვდავების „თანდაყოლილად“ მიჩნევა ქრისტიანული სარწმუნოებისთვისაც შეუფერებელი მსჯელობაა. სინამდვილეში სიკვდილი ადამიანის ყველაზე დიდი მტერია, ყველაზე დიდი საშინელებაა, რაც კი შეიძლება მას დამართოდა, ხოლო სულის უკვდავება ხორციელი ადამიანის უკვდავებით სრულად უნდა ჩავანაცვლოთ. ადამიანის (და არა მხოლოდ სულის) უკვდავება ჩვენს ბუნებაში ღმერთისგან ბოძებული რაიმე შინაგანი ძალა კი არ არის, არამედ ჩვენი უკვდავების ერთადერთი წყაროა ღმერთის განკაცება და უფრო კი მისი მკვდრეთით აღდგომა სწორედ ამიტომ შეიძლება ასე გვახარებდეს იესოს შობა.

თუ სამართლიანები ვიქნებით, მაშინ ჩვენ არ უნდა მოგვწონდეს ის ყოფა რომელშიც ახლა ვართ. უამრავი ადამიანი სხვადასხვა მიზეზით იტანჯება. ზოგიერთის ტკივილის მიზეზი მეორე ადამიანია, ზოგიერთის გაჭირვებას მთელი კაცობრიობის ერთობლივი ძალისხმევაც ვერ შველის. მძიმე და განუკურნებელი სნეულებები, უსამართლო და შიშით სავსე გარემო, ახალგაზრდა და ლამაზი ადამიანების უმწეობა და სიკვდილი... რომელი ერთი ჩამოვთვალო.

მიუხედავად იმისა, რომ ამ ყველაფრისგან რელიგია ვერ გვიხსნის და, როგორც ბერნარდ შოუ ამბობდა, ის მხოლოდ ჭრილობაზე საფენის ფუნქციას ასრულებს, ჩვენ, ადამიანები ჯიუტად ვრჩებით რელიგიურ არსებებად. მინდა, უფრო ვრცლად ვთქვა იმ რელიგიურობაზე რომელიც ქრისტიანობის სახელით ვრცელდება. რელიგიურობა ადამიანის ბუნებრივი თანდაყოლილი და ინსტინქტური მოთხოვნილებაა. მოთხოვნილებები, რომლებსაც ბუნებრივს, თანდაყოლილს და ინსტინქტურს ვუწოდებთ, არის ის მოთხოვნილებები, რომლებსაც გონება და ნებელობა ვერ აკონტროლებენ.

რელიგიურობა ადამიანისთვის შიმშილის, წყურვილის, სიკვდილის შიშის მსგავსი ინსტინქტია. რატომ? იქნებ იმიტომ, რომ ადამიანი ხედავს,

რომ მის არსებობას ისეთი ძალების ან ფაქტორების საფრთხე ემუქრება, რომლებსაც ვერ აკონტროლებს. მისი ბუნებრივი ძალები არ არის საკმარისი იმისათვის, რომ თავიდან აიცილოს ავადმყოფობა, ტკივილი და სიკვდილი. ამიტომ ის მიმართავს წარმოსახვით ძალებს, რომლებსაც შეუძლიათ, დაცვის იმედი მისცეს, დაარწმუნოს, რომ საფრთხეების მიზეზები ზებუნებრივი ხასიათისაა. ადამიანი თავის წარმოსახვით შექმნილ რეალობას თავისთვის ნაცნობ რაციონალური ურთიერთობების მოდელში ათავსებს. ახლა უკვე ნაცნობ, გასაგებ გარემოში თავს უსაფრთხოდ გრძნობს. რელიგიურობით ის ცდილობს, ამოუხსნელი და დაუძლეველი გარემოებები რელიგიური ცოდნით, რწმენით შეავსოს და ასე მიაღწიოს სიმშვიდეს. ის ცდილობს, ძალები და ფაქტორები, რომლებიც მას ემუქრება, მოათვინიეროს.

ადამიანს სურს, კარგი ურთიერთობა ჰქონდეს ჰიპოთეზურ ზებუნებრივ ფაქტორებთან, რომლებიც მისთვის ხელსაყრელ ან არახელსაყრელ გარემოებებს ქმნის. რაც არ უნდა განვითარებული იყვნენ ადამიანები ინტელექტუალურად, კრიტიკულ აზროვნებაში თუ მეცნიერულ ცოდნაში, სიკვდილის საფრთხის წინაშე დახმარებისთვის ინსტინქტურად ზებუნებრივ ძალას მიმართავენ. სწორად აღინიშნავენ, რომ „როდესაც თვითმფრინავი ძლიერ ტურბულენტობას აწყდება, ბორტზე მყოფთაგან ათეისტი არავინ არ არის!“.

ადამიანის ბუნება ცოდნით იცავს თავს; ის ცოდნას საფრთხეების განსაჭვრეტად იყენებს და სწორედ ამიტომ უმეცრებას საფრთხედ აღიქვამს. ის ვერ იტანს ვერაფერს, რაც რასაც სიბნელეში დარჩენა ემუქრება. სიკვდილის პირისპირ ბუნებას პანიკა ემართება. ზებუნებრივის არსებობის ვარაუდით ადამიანი თავს ინუგეშებს და ამშვიდებს უცოდინარობით გამოწვეულ შიშებს.

ადამიანი ეძებს ძალას, რომლითაც წინ აღუდგება ამ გამოწვევებს და ეს არის სწორედ ის, რასაც მას ინსტიტუციონალიზებული რელიგიები ჰპირდებიან.

რელიგიურობა ადამიანის სასიცოცხლო ინსტინქტებში ჩაწერილი პროგრამაა. როცა ადამიანი სიცოცხლის წყაროდ რაიმე ისეთს მიიჩნევს რაც მის შიგნით, მის ბუნებაშია, მაშინ ის, რა თქმა უნდა, ცდილობს, ეს თითქოსდა მაცოცხლებელი პროგრამა ნებისმიერი გზით დაიცვას. ამიტომ გასაგები ხდება ის სისასტიკე და სიძულვილი, რომელსაც ადამიანები რელიგიის სახელით იჩენენ. როცა მართლმადიდებლობა თავს წარმოაჩენს როგორც რელიგია და არა ჭეშმარიტება, ისიც სისასტიკესა და კა-

ცთმოძულეობას ავლენს. ჭეშმარიტება რელიგიისაგან სწორედ იმით განსხვავდება, რომ ის უარყოფს ინსტინქტებს, როგორც სიცოცხლის ძალას და სხვას, მეორეს მტრად კი არ მიიჩნევს არამედ საკუთარი სიცოცხლის დასტურის ერთადერთ მომცემად, «რადგან, ვისაც სურს სულის ხსნა, დაკარგავს მას: და ვინც ჩემი გულისთვის დაკარგავს სულს, ის პოვებს მას.» მთ 16:25.

ქრისტემ გვიჩვენა და გვიქადაგა პირისპირ შეხვედრის და დიალოგის, სიყვარულის ღმერთი. ის არ ითხოვს რელიგიურ თავდაჯერებულობას.

ქრისტემ ისაუბრა სიცოცხლის გზაზე, როგორც ჭეშმარიტებაზე, ცათა სასუფევლის სიმართლეზე, რომელიც სრულებით არ ჰგავს რელიგიით აღწერილ რეალობას. რელიგიური ადამიანებისაგან განსხვავებით, ისინი, ვინც ცათა სასუფევლის გზას ადგას, მხოლოდ ღმერთის სიყვარულის იმედად არიან დარჩენილები. ისინი არ ელიან ჯილდოს თავის სათნოებათათვისიმუბრალომიზეზით, რომ მათ არ აქვთ ეს სათნოებანი, ესენი არიან მებაჟეები, მძარცველები, მეძავები და უძღები შვილები.

თავისუფლება და სიყვარული, ქრისტეს სწავლებით, არ ნიშნავს სიკეთის კეთებას, ერთმანეთის მიმართ კეთილგანწყობის ან ალტრუიზმის გამოვლენას. ქრისტეს მიერ ნაქადაგები სიყვარული არის ჩვენს ბუნებაში ჩაკირული რელიგიურობისთვის გამბედავი უარის თქმა. ეს არის უარყოფა ისეთი სახის არსებობისა, რომელიც ვერ ამჩნევს სხვას, მეორეს, სამყაროს, როგორც მთლიანს. ქრისტეს სიყვარული უარყოფს ყველაფერს, რაც დაფუძნებულია ერთი ადამიანის ცალკე გადარჩენაზე. ვერავინ მოიპოვებს გადარჩენას ისე, რომ ეს არ გულისხმობდეს სხვასთან კავშირს, მეორისა და სხვის უპირატესად მიჩნევას. ქრისტეს სიყვარულისთვის მიუღებელია ერთი ცხვრის დათმობა იმისთვის, რომ ოთხმოცდაცხრამეტმა არსებობა გააგრძელოს. სიცოცხლეში ასევე უნდა დარჩეს. მთელი ქმნილება უნდა გადარჩეს. იესომ ზეციდან ძე ღმერთის მამასთან ცხოვრების გამოცდილება ჩამოგვიტანა. იქ მამა ძე ღმერთს უმჟღავნებს, რომ მას მხოლოდ ძეში სურს თავისი თავის გამოხატვა. ძეც, თავის მხრივ, საკუთარ თავს პოულობს მხოლოდ მამის ძეობაში, მის სიყვარულზე პასუხში, ასევე მოქმედებს სულიწმიდა მამის მიმართ. ძესა და სულიწმიდას მამასთან თანაარსებობის გამოცდილება მოაქვთ ადამიანებისთვის. მამას თავადაც სურს, გაუზიაროს თავისი სიყვარული ყველას, ვინც კი ინსტინქტებზე ჩაბღაუჭებით არ გაჯიუტდება. ადამიანური ენის შესაძლებლობების ფარგ-

ლებში, რომლებიც ყოველთვის ფარ-
დობითია, იოანე მახარებელმა ღმე-
რთი განსაზღვრა, როგორც სიყვა-
რული (1 იოანე 4:8).

როცა ქრისტეზე, როგორც მხსნ-
ელზე, ვსაუბრობთ, აუცილებლად უნ-
და ვახსენოთ ღვთისმშობელი, მო-
ციქულები, ისინი, ვინც გაიგონა ჭეშ-
მარიტების ხმა. ღმერთი, თავისი გა-
მომხსნელობითი საქმისთვის საუკუ-
ნეების განმავლობაში ეძებდა ამ
ადამიანების თავისუფლების თანხ-
მობას. ქრისტესშობა არ არის მხო-
ლოდ ძე ღმერთის განკაცება. ეს
ასევე არის მოციქულებისა და ღვ-
თისმშობლის აღმოჩენა, სამყარო-
სთვის მათი დაბადება. ქრისტესშო-
ბა არის კაცობრიობის ამ წარმომა-
დგენლების მიერ ღმერთის მასპინძ-
ლობა, მათი შეხვედრის ამბის აწ
უკვე დაუსრულებელი დასაწყისი.
ღმერთი არ მოქმედებდა ძალადო-
ბით. ღმერთი ძალით არ შემო-
ჭრილა სამყაროში. ღმერთი თავი-
სი განკაცებისთვის ეძებდა და ელო-
და ადამიანების თანხმობას. მოცი-
ქულები, ღვთისმშობლები არ ყოფი-
ლან ზებუნებრივი ძალებისა და ბუ-
ნების მქონენი. სახარება მოგვითხ-
რობს, რომ მათ ხშირად უჭირდათ
იმის გაგება, თუ რისთვის მოევლი-
ნა ქრისტე, რას მოითხოვდა მათ-
გან. ხშირად არ ესმოდათ მისი სწავ-
ლება და საჭირო ხდებოდა შემ-
დგომი, მომავალში მომხდარი მოვ-
ლენები, რათა სიცხადე და შინაარსი
შეეძინა იმას, რაც მანამდე გაუგება-
რი ჩანდა. ქრისტესშობა ღმერთად-
ამიანური მოვლენაა არა მხოლოდ
იმ თვალსაზრისით, რომ ღმერთი
განკაცდა, არამედ იმითაც, რომ გან-
კაცებულ ღმერთს ელოდნენ დედა-
მიწაზე ღვთისმშობელი, მოციქულე-
ბი, მოწაფეები. ქრისტესშობა უნდა
დავინახოთ არა მხოლოდ ღმერთი-
სადმი მადლიერების კონტექსტში,
არამედ მთელი ძველი აღთქმის სა-
კაცობრიო მოლოდინის გადმოსა-
ხედიდანაც.

ქრისტესშობა კაცობრიობის რელ-
იგიურობის ინსტინქტებისგან განთა-
ვისუფლების და ღმერთადამიანური
თანაარსებობის დასაბამია.

ქრისტესშობის, ძე ღმერთის განკა-
ცებაში ადამიანების მონაწილეობის
შესახებ ეს ხაზგასმა კიდევ ერთი
ასპექტით არის მნიშვნელოვანი. ახ-
ლა, როცა ახალი აღთქმის აღსრუ-
ლების ეპოქაში ვცხოვრობთ, ისევ
მნიშვნელოვანია ცათა სასუფევლის
დადგომის მსურველების გამოჩენა.
ღმერთი ჩვენგან ელის მძაფრ წყურ-
ვილს იმისა, რომ ქრისტესშობით
დაწყებული გამოხსნის საქმე ცათა
სასუფევლის დადგომით დაგვირგვი-
ნდეს. უნდა ვიცოდეთ, რომ, თუ არ
დაიბადა და არ გაიზარდა ჩვენი მო-
ლოდინი, ისე ცათა სასუფეველი სა-

მყაროში ძალით არ შემოიჭრება. სა-
მყაროში ტკივილი თავისით არ გა-
ქრება. ქრისტესშობა ცათა სასუფე-
ვლის მოლოდინისა და ამქვეყნად შე-
მოყვანის, ცათა სასუფევლის სწრაფი
დადგომის მძაფრი სურვილის გარე-
შე კარგავს თავის გამომხსნელო-
ბით მნიშვნელობას. რელიგიურობა,
ძალადობა, უსამართლობა, ღმერთ-
ის სახელით ჩაგვრა ისევ იარსებ-
ებს, თუკი ბაგაში ნაშობი ქრისტეს ცა-
თა სასუფევლიდან დიდებით დაბრ-
უნება მთელი გულით არ ვისურვეთ.

რელიგიურობა ადამიანის სასიცოცხლო ინსტინქტებ-
ში ჩაწერილი პროგრამაა. როცა ადამიანი სიცოცხ-
ლის წყაროდ რაიმე ისეთს მიიჩნევს რაც მისი
ბუნების თვისებაა მაშინ ის, რა თქმა უნდა, ცდი-ლობს,
ეს თითქოსდა მაცოცხლებელი პროგრამა ნებისმიერი
გზით დაიცვას, რათა ცოცხალი დარჩეს. ამიტომ
გასაგები ხდება ის სისასტიკე და სიძულვილი,
რომელსაც ადამიანები რელიგიის სახელით იჩენენ.
როცა მართლმადიდებლობა თავს წარმოაჩენს
როგორც რელიგია და არა ჭეშმარიტება, ისიც
სისასტიკესა და კაცთმოძულეობას ავლენს.
ჭეშმარიტება რელიგიისაგან სწო-რედ იმით
განსხვავდება, რომ ის უარყოფს ინსტინ-ქტებს,
როგორც სიცოცხლის წარმართველ ძალას და
"სხვას", "მეორეს" მტრად კი არ მიიჩნევს არამედ
საკუთარი სიცოცხლის დასტურის ერთადერთ
მომნიჭებლად, "რადგან, ვისაც სურს სულის ხსნა,
დაკარგავს მას: და ვინც ჩემი გუ-ლისთვის დაკარგავს
სულს, ის პოვებს მას." (მთ 16:25.)

დეკანოზი გიორგი წეროზე

წმინდა ლეონ დიდის საშობაო ქადაგების შესავალი

ზურაბ ჯაში

„ესომ ჰკითხა თავის მოწაფეებს: რას ამბობს ხალხი, ვინ არისო ძე კაცისა?“ (მათ. 16:13) ეს კითხვა განსაზღვრავდა ადრეული ეკლესიის დოგმატურ საღვთისმეტყველო ძიებებს, რომლებზეც ღვთისმეტყველთა უამრავი მელანი დაიხარჯა საუკუნეების განმავლობაში და რომელსაც ეძღვნებოდა ადგილობრივი თუ მსოფლიო საეკლესიო კრებები. თუმცა ამ კითხვაზე პასუხი თითქოს უკვე მოცემულია იქვე, სახარებაში, როდესაც პეტრე მოციქული მიუგებს მაცხოვარს: „შენა ხარ ქრისტე, ძე ცოცხალი ღმრთისა“ (იქვე. 16:16). უფალი აღიარებს პეტრეს რწმენის მართებულობას: „ხოლო იესომ პასუხად თქვა: ნეტარი ხარ შენ, სიმონ, იონას ძეო, რადგან ხორცმა და სისხლმა კი არ გაგიცხადა ეს, არამედ ჩემმა ზეციერმა მამამ. და მე გეუბნები: შენა ხარ კლდე, და ამ კლდეზე ავაშენებ ჩემს ეკლესიას, და ჯოჯოხეთის ბჭენი ვერ სძლევენ მას. მოგცემ შენ ცათა სასუფევლის გასაღებს, და რასაც შეკრავ მიწაზე, შეკრული იქნება ცაშიც, ხოლო რასაც დახსნი მიწაზე, დახსნილი იქნება ცაშიც (მათ. 16:17-19). მაგრამ, როდესაც იესო მოწაფეებს აუწყებს თავისი მომავალი განსაცდელის შესახებ იერუსალიმში შესვლისას, რასაც მოჰყვება მისი ჯვარზე სიკვდილი და მკვდრეთით აღდგომა, იგივე პეტრე შეშინებული კიცხავს მას: „შორს შენგან, უფალო; ღმერთმა ნუ ქნას ეგ!“ ახლა კი უფალი ნამდვილად აღარ აქებს მას, არამედ მკაცრად მიმართავს: „გამშორდი, სატანა! ჩემი საცთური ხარ! რადგან ღმერთისას კი არ ფიქრობ, არამედ კაცისას“ (მათ. 16:22-23). ის, ვინც კლდედ იწოდა და ვისზეც უნდა დაეშენოს ეკლესია, რომ მას ჯოჯოხეთის ბჭეთ ვერ სძლიონ, რამდენიმე წუთის შემდეგ სატანად იწოდება! როგორ უნდა გავიგოთ ქრისტეს მიერ პეტრეს შეფასებაში ასე რადიკალური შემობრუნება? პეტრე მართებულად უწოდებს იესოს ღვთის ძეს, მაგრამ მას

არ ესმის ამ წოდების მნიშვნელობა. მას ვერ წარმოუდგენია, რომ ღვთის ძე შეიძლება შეურაცხყოფილ იქნეს და მოკვდეს. ღმერთის ძალაუფლება ხომ ხელშეუხებელია?! მაგრამ აღმოჩნდება, რომ, როგორც ღმერთის ძალაუფლება ასევე მისი ხელშეუხებლობა რადიკალურად განსხვავდება მასზე ადამიანური წარმოდგენებისგან, რის გაცნობიერებასაც ქრისტიანებმა საუკუნეები მოანდომეს და დღესაც დიდწილად ბევრ ჩვენგანს ბოლომდე არ ესმის.

ღვთის მხოლოდშობილი ძე მოდის ამქვეყნად, რათა ბოროტი ძალის მიერ დატყვევებული ადამიანი გამოიხსნას სიკვდილისა და ცოდვისგან, მაგრამ ის ამას აკეთებს არა მისი ყოვლისშემძლეობის გამოვლენით, არამედ მის მიერ ადამიანური უძლურების გათავისებით იქამდე, რომ იღებს ადამიანთა შორის ყველაზე სამარცხვინო სიკვდილის ფორმას - ავაზაკების დასასჯელად განკუთვნილ სასჯელს, ჯვარცმას. ეს სრულიად ეწინააღმდეგებოდა როგორც იუდეველების, ასევე წარმართთა წარმოდგენებს ღმერთზე. ამიტომ ამბობს პავლე მოციქული: „ჩვენ კი ჯვარცმულ ქრისტეს ვქადაგებთ: იუდეველთათვის - საცდურს, ბერძენთათვის - სიშლეგეს“ (1 კორ. 1:23). ეს საცდური და სიშლეგე მდგომარეობდა იმაში, რომ ღვთის ძალა ადამიანურ უძლურებაში ვლინდება (2 კორ. 12:9) და ის სიკვდილს სიკვდილით თრგუნავს, როგორც ვისმენთ აღდგომის ტროპარის გალობისას. და ეს არის ღმერთის, როგორც არსით სიყვარულის თავისი ქმნილებების მიმართ საქმით დადასტურება.

მაგრამ არა მხოლოდ იუდეველთა და წარმართთა, არამედ, როგორც ცნობილი თანამედროვე მკვლევარი აღნიშნავს, „იესოს სიკვდილი ჯვარზე სიშლეგე და საცდური იყო თვით ადრეული ხანის ქრისტიანთათვისაც“.[2] ამიტომ თავიდანვე გაჩნდა ეკლესიაში დაპირისპირება და დაყოფა ქრისტეს იდენტობის შესახებ. ღმერთია ის თუ ადამიანი? პირველივე ცთომილება, წარმოშობილი მრავალრიცხოვან გნოსტიკურ სწავლებათა სახით აღიარებდა მხოლოდ მის ღვთაებრივ წარმომავლობას, ხოლო მისი ადამიანური ბუნება მხოლოდ მოჩვენებითად ითვლებოდა. ამიტომ, ამ ქრისტოლოგიურ სწავლებას ეწოდა დოკეტიზმი, მიღებული ბერძნული სიტყვა „დოკეოდან“, რაც ნიშნავს ფიქრს, ანუ მხოლოდ ადამიანის გონებაში წარმოდგენილ და არა ობიექტურ რეალობას. ამის საპირისპიროდ, ეგრეთწოდებული ებიონელები ქრისტეს უბრალო ადამიანად აღიარებდნენ. მეორე-მესამე საუკუნეებში გავრცელებული სხვადასხვა სახის ადოპცი-

ანური მოძღვრებები იესოს ღმერთის მიერ შვილად აყვანილ ადამიანად მიიჩნევდნენ (მათი სახელი მომდინარეობს ლათინური „ადოპციოდან“, რაც ნიშნავს შვილად აყვანას). შემდეგ მეოთხე საუკუნეში ალექსანდრიელი მღვდელი არიოზის სწავლების მიმდევრები და მასთან არსებითად თანხმობაში მყოფი ბევრი გავლენიანი ეპისკოპოსი, მართალია, აღიარებდნენ ქრისტეს ზეადამიანურ წარმომავლობას, მაგრამ მისი ადამიანურ ბუნებასთან შეერთების შედეგად დამდაბლებისა და ადამიანური ტანჯვა-სიკვდილის განცდის გამო შეუძლებლად მიიჩნევდნენ, რომ მისი ზეადამიანური ბუნება ანგელოზურ ქმნილებებზე აღმატებული და თვით შემოქმედი ღმერთის ერთარსი ყოფილიყო. მეხუთე საუკუნის პირველ ნახევარში კი კონსტანტინოპოლის მთავარეპისკოპოსი ნესტორი ეთანხმება არიანელთა წინააღმდეგ გამართული პირველი ორი მსოფლიო კრების განჩინებებს ქრისტეს საღვთო ბუნების შესახებ, მაგრამ მისთვის შეუძლებელი ხდება ამ ბუნების ადამიანთან სრული რეალური ერთობის წარმოდგენა. იმავე საუკუნეში ამ დავის გადასაჭრელად გამართული მესამე მსოფლიო კრების შემდეგ კონსტანტინოპოლელი არქიმანდრიტი ევტიქი უკვე საუბრობს ამ ერთობის რეალურობაზე ღვთის ძის ჰიპოსტასში, ანუ პიროვნებაში, მაგრამ მისთვის ეს ერთობა აუცილებლად იწვევს ადამიანური ბუნების ღვთაებრივის მიერ შთანთქმას და მასში განზავებას. როგორც ვხედავთ, თითოეული ამ მცდარი სწავლებისთვის დამახასიათებელია ქრისტეს საღვთო და ადამიანურ ბუნებათა ერთობის სასწორის გადახრა ხან ერთ მხარეს, ხან მეორე მხარეს. მაგრამ ამ ორი პოლუსის ერთიანობაში მოცვა მათი გონებისთვის შეუძლებელი ჩანს, რაც გულისხმობს ასევე სიყვარულის პარადოქსის მიუწვდომლობას, რომელიც „მეს“ და „სხვას“ ერთობას გულისხმობს ორივე მათგანის უნიკალურობისა და თავისუფლების შენარჩუნებით.

ამ ერთგვარი ქრისტოლოგიური სასწორის ისტორიულად მორიგი გაწონასწორების ამოცანა იდგა მცირე აზიის ზღვისპირა ქალაქ ქალკედონში 451 წლის გამართულ მეოთხე მსოფლიო კრების წინაშე, რომელმაც მიიღო ქრისტეს საღვთო და ადამიანურ ბუნებათა ერთობის შესახებ შემდეგი სახის განსაზღვრება, ანუ ჰოროსი:

> „ამიტომ წმინდა მამათა
> მიმდევარნი ვაღიარებთ ერთსა
> და იმავე ძეს, ჩვენს უფალს, იესო
> ქრისტეს, და ყველა ერთხმად

ვასწავლით, რომ იგივე არის სრული ღმრთეებით, იგივე არის სრული ადამიანურობით (τέλειον τὸν αὐτὸν ἐν θεοτῆτι, τέλειον τὸν αὐτὸν ἐν ἀνθρωπότητι), ჭეშმარიტად ღმერთი და ჭეშმარიტად ადამიანი, ერთი და იგივე მოაზროვნე სულისა და სხეულისგან, ერთარსი მამისა ღმრთეების მიხედვით, და ჩვენი ერთარსი ადამიანურობის მიხედვით, ყველაფრით ჩვენი მსგავსი, გარდა ცოდვისა; საუკუნეთა უწინარეს მამისგან შობილი ღმრთეების მიხედვით, ხოლო უკანასკნელ ჟამს იგივე ჩვენ გამო და ჩვენი გამოხსნის გამო [შობილი] ღვთისმშობელი ქალწული მარიამისგან ადამიანურობის მიხედვით, ერთი და იგივე ქრისტე, ძე, უფალი მხოლოდშობილი, ორ ბუნებაში შეურწყმელად, უცვლელად, განუყოფლად, განუცალკევებლად შეცნობილი (ἐν δύο φύσεσιν ἀσυγχύτως, ἀτρέπτως, ἀδιαιρέτως, ἀχωρίστως γνωριζόμενον); ბუნებათა განსხვავება არანაირად არ უქმდება ერთობის გამო, უმალ შენარჩუნებულია თითოეული ბუნების თვისება, და ერთ პირსა და ერთ ჰიპოსტასში თანხვდებიან (σωζομένης δὲ μᾶλλον τῆς ἰδιότητος ἑκατέρας φύσεως, καὶ εἰς ἓν πρόσωπον καὶ μίαν ὑπόστασιν συντρεχούσης), როდესაც არ ნაწილდება ან განიყოფა ორ პირად, არამედ [არის] ერთი და იგივე ძე და მხოლოდშობილი ღმერთი, სიტყვა, უფალი იესო ქრისტე, როგორც წინათ წინასწარმეტყველნი [აუწყებდნენ] მის შესახებ და, ასევე, თვით უფალმა იესო ქრისტემ დაგვმოძღვრა, და მამებმა გადმოგვცეს [მრწამსის] სიმბოლო“.[3]

ამ კრების მსვლელობაში უაღრესად მნიშვნელოვანი როლი შეასრულა რომის პაპმა, წმინდა ლეონ დიდმა, რის დანახვაც ადვილია, თუ შევადარებთ კრების ამ განსაზღვრებას ქვემოთ თარგმნილ მის ქადაგებას ქრისტეს შობის შესახებ, რომელიც მან წარმოთქვა კრების გამართვამდე თერთმეტი წლით ადრე, 440 წლის 25 დეკემბერს. ამ ქადაგების შესახებ მისი ცხოვრებისა და მოღვაწეობის ერთ - ერთი თანამედროვე მკვლევარი აღნიშნავს: რომის პაპად „მისი არჩევიდან სამ თვეში, ლეონმა წარმოადგინა ზუსტი სწავლება ჩამოყალიბებული, გამოკვეთილი ენით. მანამდე ლეონს ღვთისმეტყველებისა და დოგმატიკის მოძღვრის არანაირი ნიშანი არ გაუმჟღავნებია, მაგრამ ის აქ გვთავაზობს შესანიშნავად დახვეწილ მოძღვრებას, უხვად გამყარებულს წმი-

ნდა წერილზე მითითებებით“.[4] მასში გადმოცემული სწავლებით, „ქრისტეს მთელ ცხოვრებას აქვს გამომხსნელი ღირებულება, რადგან მისი მთელი ცხოვრება არის უცოდველი თავმდაბლობის ბრძოლა ბოროტების უკიდურეს სისასტიკესთან“. ამ ბრძოლაში გამარჯვების შედეგად ის ადამიანს უბოძებს „გამოხსნას, როგორც ღმერთის გამარჯვებას, ადამიანურ ბუნებაში და ამიტომ არსებითად გამარჯვებას, განკუთვნილს მთელი ადამიანური მოდგმისათვის“.[5] ამ ქადაგებიდან მთელი რიგი დოგმატური ფორმულირებები ლეონმა მოგვიანებით გადაიტანა მის მიერ შედგენილ ტომოსში, რომელიც წმინდა კირილე ალექსანდრიელის წერილებთან ერთად იქცა ქალკედონის კრების მამებისთვის მათი განსაზღვრების ფუძემდებლურ ტექსტად. მთელი შემდგომი ქრისტოლოგიური აზროვნების ტრადიციისთვის კი ათანასე დიდთან, გრიგოლ ღვთისმეტყველთან და კირილე ალექსანდრიელთან ერთად წმინდა ლეონი გახდა ერთ-ერთი უდიდესი საეკლესიო ავტორიტეტი.[6] თვითონ ლეონისთვის, ისევე როგორც ყველა ეკლესიის მამის და საეკლესიო კრებისთვის, უმაღლესი ავტორიტეტი იყო სახარება და სამოციქულო სწავლება, რომელიც არის „ფუნდამენტური უცვლელი ნორმა, რასაც უნდა დაეყრდნოს ეკლესია“. ამიტომ, მისთვის ნებისმიერი კრების „ლეგიტიმაცია და ავტორიტეტი იზომებოდა ამ სტანდარტით“.[7] ეს სახარებისეული სტანდარტი, ანუ „რწმენის წესი“ (regula fidei), რომელზეც ცხადად დაამოწმა ქალკედონის კრებამ და წმინდა ლეონ დიდმა, გადმოგვცემს სწავლებას მხსნელი ღმერთის შესახებ, რომელიც სრულად ითავისებს თავისი მარადიული სიყვარულით შექმნილი ადამიანის დამდაბლებულ მდგომარეობას და მასთან ერთად მდაბლდება, განიცდის ყოველივეს, რაც ადამიანურია, დაწყებული შობით და დასრულებული სიკვდილით, რათა ადამიანი აღამაღლოს საკუთარ საღვთო დიდებამდე. და ეს სტანდარტი ბუნებრივად იქცევა ყოველი ქრისტიანის მოყვასის სიყვარულის ეთიკურ სტანდარტად, როგორც პავლე მოციქული შეგვაგონებს, „იგივე ზრახვები გქონდეთ, რაც იესო ქრისტეს“ (ფილ. 2:5).

XXI ქადაგება შობაზე[1]

წმინდა ლეონ დიდი

I

საყვარელნო, დღეს იშვა ჩვენი მხსნელი, გიხაროდეთ! დაუშვებელია, მწუხარებას ჰქონდეს ადგილი იქ, სადაც იშვება სიცოცხლე, რომელიც განაქარვებს მოკვდაობის შიშს და ჩვენთვის მოაქვს აღთქმული მარადიული სიხარული. ნურავინ გამოეყოფა ამ ამაღლებული განწყობის თანაზიარებას.[8] ერთი მიზანი აქვს ყველას ერთობლივ სიხარულს. ჩვენი უფალი, ცოდვასთან ერთად სიკვდილის გამანადგურებელი,[9] როდესაც არავინ აღმოჩნდა დანაშაულისგან თავისუფალი, მოდის ყველას გასათავისუფლებლად. დაე, უხაროდეს წმინდანს, რადგან ახლოსაა [გამარჯვების] პალმასთან. დაე, უხაროდეს ცოდვილს, რადგან მოწვეულია მისატევებლად. დაე, გამხნევდეს წარმართი, რადგან მოწვეულია სიცოცხლესთან. რადგან საღვთო თათბირის გამოუკვლეველი სიმაღლის გადაწყვეტილებით, დადგენილი ჟამის სისავსისას[10] ღვთის ძემ დამბადებელთან შესარიგებლად შეითვისა ადამიანთა მოდგმის ბუნება,[11] რათა სიკვდილის გამომგონებელ ეშმაკს[12] მისივე ძლევით სძლიოს. ამ ჩვენთვის დაწყებულ ბრძოლაში იმართება დიდი და საოცარი თანასწორუფლებიანი შერკინება.[13] ყოვლისშემძლე ღმერთი ხვდება უსასტიკეს მტერს არა თავისი სიდიადით, არამედ ჩვენეული სიმდაბლით, მას უპირისპირებს ამავე მსგავსებას და ამავე ბუნებას, ჩვენი მოკვდაობის თანაზიარს, მაგრამ ცოდვისგან სრულებით თავისუფალს.[14] ცხადია, მისი შობიდანვე უცხოა მისთვის ის, რაც ყველაზე ითქვა: „ვინ არის სიბინძურისგან წმინდა? არავინ. თუნდაც ერთი დღე იყოს მისი ამქვეყნად ცხო-

ვრება“ (იობ. 14:4).[15] ეს ნიშნავს, რომ ამ ერთადერთ შობაში არავითარი ხორციელი გულისთქმა არ გადასულა, და ცოდვის კანონით არ ჩაღვრილა. დავითის შტოდან გამორჩეული სამეფო ქალწული წმინდა მუცლადღებისას ჩაისახავს საღვთო და ადამიანურ ნაყოფს ჯერ გონებით და შემდეგ სხეულით.[16]და რათა უჩვეულო მოვლენით არ შეშინებულიყო უზენაესი თათბირის არმცოდნე, ანგელოზმა მასთან საუბრისას აუწყა, რომ მასში იმოქმედებდა სულიწმიდა. ის არ მიიჩნევს ქალწულობის დაკარგვად მალე ღვთისმშობლად[17] გახდომას. რატომ უნდა წარეკვეთოს სასო ამ ახლებური ჩასახვის გამო, რის ნაყოფიერებაც უზენაესის ძალით არის აღთქმული? ამ რწმენას ასევე ადასტურებს მოწმობა წინმსწრებ სასწაულზე, რაც არის ელისაბედისთვის მინიჭებული მოულოდნელი ნაყოფიერება. ვინც უნაყოფოს მიანიჭა მუცლადღება, მას უეჭველად ძალუძს ქალწულისთვისაც ამავეს მინიჭება.

II

ამიტომ, ღვთის სიტყვა - ღმერთი, ღვთის ძე, რომელიც დასაბამში ღმერთთან იყო, რომლის მეშვეობით ყოველივე შეიქმნა, და რომლის გარეშე არაფერი შექმნილა (იოან. 1:1-3), მარადიული სიკვდილისგან ადამიანთა გასათავისუფლებლად გახდა ადამიანი. ამგვარად, ჩვენი სიმდაბლის მისაღებად საკუთარი სიდიადის დაუკნინებლად მოიდრიკა, რათა იმად დარჩენილმა, რაც იყო, ხოლო მიმღებელმა იმისა, რაც არ იყო, შეეერთებინა მონის ჭეშმარიტი ხატება იმ ხატებისთვის, რომლითაც ის არის მამა ღმერთის თანასწორი (ფილ. 2:6).[18] და ასეთი შეთანხმებით შეკრა ორივე ბუნება, რომ არც დაბალი შთაინთქა დიდებით, და არც უპირატესი დაკნინდა შეთვისებით. ამიტომ თითოეული არსის თვისება დაცულია,[19] სიმაღლეს შერთულია სიმდაბლე, ძალას - უძლურება, მარადიულს - მოკვდაობა. და ჩვენი მდგომარეობის ვალი რომ გადაეხადა, უვნებლის ბუნება არის ვნებად ბუნებასთან შეერთებული, ჭეშმარიტი ღმერთი და

ჭეშმარიტი ადამიანი უფლის ერთიანობაშია შერწყმული.[20]და როგორც ჩვენს კურნებას ეთანადებოდა, „ერთსა“ და იმავე „შუამავალს ღმერთსა და ადამიანს შორის“ (1 ტიმ. 2:5), ერთი [ბუნებით] ძალუძს სიკვდილი, ხოლო მეორით ძალუძს აღდგომა. ამიტომ მართებულად, [ადამიანის] გამოხსნის შობამ არავითარი ხრწნილება არ შესძინა ქალწულის უბიწოებას, რადგან ჭეშმარიტების გამოსვლა[21] იყო მისი ღირსების მცველი.

საყვარელნო, ასეთი შობა შეეფერებოდა ქრისტეს, „ღვთის ძალას და ღვთის სიბრძნეს“ (1 კორ. 1:24), რომლითაც ჩვენ გვემსგავსება ადამიანურობით, ღმრთეებით კი აღგვემატება. რადგან ჭეშმარიტი ღმერთი რომ არ ყოფილიყო, ვერ მოგვიტანდა კურნებას, ხოლო ჭეშმარიტი ადამიანი რომ არ ყოფილიყო, ვერ გვიბოძებდა მაგალითს. უფლის შობით აღფრთოვანებული ანგელოზები გალობენ: „დიდება მაღალთა შინა ღმერთსა, ქვეყანასა ზედა მშვიდობა და ადამიანთა შორის სათნოება“ (ლუკ. 2:14). ისინი ხედავენ ზეციურ იერუსალიმს შემდგარს მთელი ქვეყნიერების ერებისგან. რაოდენ უნდა უხაროდეს ადამიანის სიმდაბლეს ღვთის ენითუთქმელი სიქველის მოქმედება,[22] როდესაც ეს ასე უხარიათ ანგელოზთა სიმაღლეს?!

III

ამიტომ, მოდით, საყვარელნო, მადლი მივუძღვნათ მამა ღმერთს ძის მეშვეობით წმინდა სულში, ვინც „თავისი უხვი გულმოწყალებით, რითაც მან ჩვენ შეგვიყვარა,“ შეგვიბრალა და „ცოდვით მკვდარნი გაგვაცოცხლა ქრისტეთი“ (ეფეს. 2:5), რათა მასში ვიყოთ ახალი ქმნილება,[23] და ახალი ნაკეთობა.[24] „მოდით, განვიძარცვოთ ძველი ადამიანი მისი საქმეებით“ (ეფეს. 4:22, კოლ. 3:9), და ქრისტეს მოდგმაში ზიარების მიღებით[25] უარვყოთ ხორცის საქმეები. ო, ქრისტიანო, შეიცან შენი ღირსება, საღვთო ბუნების ზიარი რომ გახდი,[26] არ დაუბრუნდე ძველ უღირსებას შენი გადაგვარებული ქცევით! გახსოვდეს, რომელი თავის და რომე-

ლი სხეულის ასო ხარ![27] გაიხსენე, წყვდიადის ძალთაგან როგორ იქენ გამოტაცებული და გადაყვანილი ღმერთის ნათელში და სამეფოში! ნათლისღების საიდუმლოს მეშვეობით გახდი სულიწმიდის ტაძარი. არ გააქციო ასეთი მკვიდრი შენი ბოროტი საქმეებით და კვლავ არ დაემორჩილო ეშმაკის მსახურებას, რადგან შენი გამოხსნის ფასი არის ქრისტეს სისხლი; რადგან ის ჭეშმარიტებით განგსჯის, რომელმაც გამოგიხსნა გულმოწყალებით, რომელიც მამასთან და სულიწმიდასთან ერთად მეფობს უკუნითი უკუნისამდე. ამინ.

ლათინურიდან თარგმნა ზურაბ ჯაშმა

1 თარგმანი შესრულებულია ლათინური დედნის კრიტიკულად დადგენილი ტექსტის შემდეგი გამოცემიდან: Léon le Grand, Ser mons, Tome 1, intro. Dom Jean Leclercq, trad. Dom Rene Dolle, Sources Chrétiennes 22 (Par is: Les Éditions du Cerf, 1947), 68-74.
2 Martin Hengel, The Cross of the Son of God, trans. J. Bowden (London: SCM Press, 1986), 95.
3 ამონარიდი ქალკედონის ჰოროსიდან თარგმნილია ბერძნული დედნის შემდეგი გამოცემიდან: T. H. Bindley, The Oecumenical Documents of the Faith (London: Methuen & Co, 1899), 233.
4 Bernard Green, The Soteriology of Leo the Great (Oxford: Oxford University Press 2008), 102.
5 Ibid., 105.
6 Brian E. Daley, God Visible: Patristic Christolo gy Reconsidered (Oxford: Oxford University Press, 2018), 21.
7 Aloys Grillmeier, Christ in Christian Tradition: From the Council of Chalcedon (45a) to Gregory the Great (590-604), Vol. II, P. 1, trans. P. Allen, J. Cawte (Atlanta: John Knox Press, 1987), 121.
8 alacritatis participatione secernitur.
9 peccati mortisque destructor.
10 შდრ. გალ. 4:4; ეფეს. 1:10.
11 reconciliandum auctori suo naturam generis assumpsit humani.
12 inventor mortis diabolus. შდრ. სიბრძ. 2:24.
13 aequitatis jure certatum est.
14 dum omnipotens Dominus cum saevissimo hoste, non in sua majestate, sed in nostra congreditur humilitate, objiciens ei eamdem formam eamdemque naturam, mortalitatis quidem nostrae participem, sed peccati totius expertem.
15 დედანში ციტატა მოყვანილია ბიბლიის „სამოცდაათთა “ ბერძნული თარგმანის, ანუ სეპტუაგინტის მიხედვით. შდრ. ძვ. ქართული თარგმანი: „ვინმე უკუე წმიდაჲ იყოს მწინკულევანებისაგან? არამედ არავინ, დაღათუ ერთ დღე იყოს ცხორებაჲ მისი ქუეყანასა ზედა“.
16 Virgo regia Davidicae stirpis eligitur, quae sacro gravidanda fetu divinam humanamque prolem prius conciperet mente quam corpore.
17 Dei genitrix.
18 ita se ad susceptionem humilitatis nostrae sine diminutione suae majestatis inclinans, ut manens quod erat, assumensque quod non erat, veram servi formam ei formae in qua Deo Patri est aequalis uniret.
19 Salva igitur proprietate utriusque substanti ae. იგულისხმება, რომ ღმერთის და ადამიანის არსთა, ანუ სუბსტანციების თვისებები არ უქმდება მათი შეერთებით, არამედ სრულად არის შენარჩუნებული. შემდეგ ჩამოთვლის თითოეული არსის შესატყვის თვისებებს მათ პოლარულ შეპირისპირებაში: ღმერთის არსის სიმაღლე, ძალა და მარადიულობა ადამიანის არსის სიმდაბლის, უძლურების და მოკვდაობის პირისპირ.
20 et ad dependendum nostrae conditionis debi tum, natura inviolabilis naturae est unita pas sibili, Deusque verus et homo verus, in uni tatem Domini temperatur.
21 editio veritatis - იგულისხმება ღვთის სიტყვის, როგორც ჭეშმარიტების, შობა.
22 inenarrabili divinae pietatis opere.
23 nova creatura. შდრ. 2 კორ. 5:17, გალ. 16:15.
24 novumque figmentum.
25 adepti partitipationem generationis Christi.
26 divinae consors factus naturae. შდრ. 2 პეტ. 1:4.
27 იგულისხმება, რომ ქრისტიანი არის ეკლესიის ქრისტეს სხეულის ასო (იხ. 1 კორ. 12:27: „ხოლო თქვენ ერთად ქრისტეს სხეული ხართ, ცალ-ცალკე კი - მისი ასონი“; ასევე იხ. რომ. 12:4-5. ეფეს. 5:23: „რადგანაც ქმარია ცოლის თავი, ისევე, როგორც ქრისტე თავია ეკლესიისა და თვითონვეა სხეულის მხსნელი“.)

ღვთის სიტყვა - ღმერთი, ღვთის ძე, რომელიც დასაბამში ღმერთთან იყო, რომლის მეშვეობით ყოველივე შეიქმნა, და რომლის გარეშე არაფერი შექმნილა (იოან. 1:1-3), მარადიული სიკვდილისგან ადამიანთა გასათავისუფლებლად გახდა ადამიანი. ამგვარად, ჩვენი სიმდაბლის მისაღებად საკუთარი სიდიადის დაუკნინებლად მოიდრიკა, რათა იმად დარჩენილმა, რაც იყო, ხოლო მიმღებელმა იმისა, რაც არ იყო, შეეერთებინა მონის ჭეშმარიტი ხატება იმ ხატებისთვის, რომლითაც ის არის მამა ღმერთის თანასწორი (ფილ. 2:6). და ასეთი შეთანხმებით შეკრა ორივე ბუნება, რომ არც დაბალი შთაინთქა დიდებით, და არც უპირატესი დაკნინდა შეთვისებით. ამიტომ თითოეული არსის თვისება დაცულია, სიმაღლეს შერთულია სიმდაბლე, ძალას - უძლურება, მარადიულს - მოკვდაობა. და ჩვენი მდგომარეობის ვალი რომ გადაეხადა, უვნებლის ბუნება არის ვნებად ბუნებასთან შეერთებული, ჭეშმარიტი ღმერთი და ჭეშმარიტი ადამიანი უფლის ერთიანობაშია შერწყმული.

წმინდა ლეონ დიდი

ქრისტეს განკაცების შესახებ - მიტროპოლიტი იოანე ზიზიულასი

გურამ ლურსმანაშვილი

სულხან-საბა ორბელიანის უნივერსიტეტის ლექტორი

პერგამოს მიტროპოლიტი იოანე ზიზიულასი თანამედროვე ეპოქის გამორჩეული თეოლოგი და მოაზროვნეა, რომლის წერილობითი მემკვიდრეობა დროის გასვლასთან ერთად უფრო მეტ აქტუალურობას იძენს.[1] ზიზიულასის თეოლოგიაში განსაკუთრებით შესამჩნევია თანმიმდევრული სწავლებები ქმნილისა და უქმნელის გაერთიანების, სამების ჰიპოსტასებს შორის ურთიერთობის, პიროვნების რაობისა და თავისუფლების შესახებ. მიტროპოლიტის წერილობითი მემკვიდრეობა, უამრავ სხვა საკითხთან ერთად ძე ღმერთის განკაცებას, მაცხოვრის ხორციელად შობასაც ეხება. ჩვენი სტატიის მიზანიც სწორედ ესაა - გამოვყოთ ის ძირითადი მახასიათებლები, რომლებითაც განკაცების მისტერია ხასიათდება პერგამოს მიტროპოლიტ იოანე ზიზიულასის თეოლოგიაში.

როგორც ზემოთ უკვე აღვნიშნეთ, ქმნილისა და უქმნელის გაერთიანება ზიზიულასის თეოლოგიის ერთ-ერთი საკვანძო საკითხია, შესაბამისად, ლოგიკურია იმის თქმა, რომ მისთვის, ქრისტეს ხორციელი შობა მჭიდროდაა დაკავშირებული შესაქმესთან,[2] უფრო მეტიც, ეს მოვლენა სწორედ შესაქმის ლოგიკური განსრულებაა, რადგან ამგვარად ინება მამა ღმერთმა: „ამ შესაქმის მნიშვნელობა ჩვენთვის ხელახალ შესაქმეში გამოცხადდება, რომელიც მოხდა ღვთის სიტყვის ხორცშესხმით, რომელი სიტყვაც ღვთის ძე იყო და მიწის ძე გახდა. ღვთის სიტყვა ყოველივეს არქეტიპია და სწორედ მასში განსრულდება და შემოიკრიბება ყველა. სწორედ ასეთია „მამის ნების საიდუმლო“, რომელსაც მოციქული ეფესელებს ამცნობს: რითაც წინასწარ განსაზღვრა თავის თავში, განეგო ჟამთა სისრულე და ყოველივე ზეციურისა და მიწიერისთვის თავი მოეყარა ქრისტეში (ეფ. 1:10).“[3]

ქრისტეს ხორციელი შობა, იმის გარდა, რომ ბიბლიურ სიმბოლოებს

მოიცავს, უფრო ღრმა მნიშვნელობასაც ატარებს. განკაცება არსებითადაა დაკავშირებული ჯვარცმისა და დაფვლის საიდუმლოსთან, ხოლო მათი გააზრება კი გასაღებია კაცობრიობის ისტორიაში ყველაზე იდუმალი და საოცარი მოვლენის - ქრისტეს აღდგომის მისტერიისა. უფრო მეტიც, ადამიანს აქვს საშუალება, არა მხოლოდ გაიგოს ეს ყოველივე, არამედ თავადაც უშუალოდ, პიროვნულად და გამოცდილებით ჩაერთოს მასში: „ღვთის სიტყვის განკაცების მისტერია თავის თავში მოიცავს როგორც წმინდა წერილის ყველა სიმბოლოსა და ენიგმათა მნიშვნელობას, ასევე ყოველგვარი გრძნობითი და გონისმიერი შესაქმის დაფარულ მნიშვნელობასაც. მან, რომელმაც უწყის ჯვრისა და საფლავის მისტერია, ასევე იცის, ყოველივეს არსებითი პრინციპი. დასასრულ, ვინც კი უფრო სიღრმისეულად გაიაზრებს ამ ყოველივეს, თავის თავს აღდგომის მისტერიაში ჩართულად აღმოაჩენს და ჩასწვდება იმ სიღრმეს, რომლისთვისაც დასაბამითგან ღმერთმა ყოველივე შექმნა.“[4]

ზიზიულასის თეოლოგიაში განკაცებასა და აღდგომას შორის ასეთი მჭიდრო კავშირი შეუმჩნევლად არ დარჩენილა სხვა მკვლევრებისთვის. მაგალითად, რობერტ ტერნერი ამბობს, რომ „განკაცებას ქმნილების გადარჩენის ონტოლოგიური შესაძლებლობა მოაქვს თან, რაც აღდგომისას სრულად რეალიზდება. მხოლოდ განკაცება არ უზრუნველყოფს ხსნას.“[5] ამის დასტურად მკვლევარი იშველიებს ზიზიულასს, რომელიც პირდაპირ წერს, რომ „ქრისტოლოგიის ყველა კომპონენტი აღდგომის შუქზე განიხილება. თავისთავად განკაცება ხსნის გარანტიას არ უზრუნველყოფს. მოცემულობა, რომ საბოლოოდ სიკვდილი შეიმუსრა, გვაძლევს უფლებას, გვწამდეს, რომ სიკვდილის შემმუსვრელი უმთავრესად სწორედ ღმერთი იყო“.[6]

ყოველივე ზემოთქმულის ლოგიკური გაგრძელებაა, რომ, ზიზიულასის აზრით, ქრისტე იშვა არა მხოლოდ კაცობრიობის, არამედ მთელი შესაქმის გადასარჩენად, რაც პავლე მოციქულის მიერაც იყო ნაუწყები. ავტორი წერს: „ქრისტე მხოლოდ კაცობრიობის კი არა, არამედ, როგორც პავლე მოციქული იტყოდა, მთელი შესაქმის გადასარჩენად მოვიდა: ვიცით, რომ მთელი ქმნილება ერთიანად გმინავს და წვალობს დღემდე (რომ. 8:22).“[7]

ამგვარად, შეიძლება ითქვას, რომ განკაცებით ხდება ჭეშმარიტი ადამიანური პიროვნულობის აღდგენა. რამდენადაც ქრისტემ მიიღო ადამიანური ბუნება, სხვა ადამიანთა არსებობაც მხოლოდ ბიოლოგიური ან

მატერიალური არსებობით კი აღარ შემოიზღუდება, არამედ მათ ეძლევათ საშუალება, რომ აღემატონ დაცემის შედეგად აგებულ საზღვრებს, რომლის იქითაც უკვე დაუბრკოლებლადაა შესაძლებელი ქმნილის პირდაპირი ურთიერთობა უქმნელთან.

ქრისტეს შობის შესახებ საუბრისას აუცილებლად უნდა აღვნიშნოთ მოტივის საკითხიც. მეოცე საუკუნის თეოლოგიაში აქტუალური იყო საუბარი განკაცების მოტივის შესახებ, უფრო კონკრეტულად რომ ვთქვათ, განკაცდებოდა თუ არა ქრისტე, ადამი რომ არ დაცემულიყო. ამ საკითხზე საკმაოდ ვრცელი ტექსტი დაწერა ზიზიულასის პროფესორმა - გიორგი ფლოროვსკიმ და იგი გამოსცა სახელწოდებით Cur Deus Homo. ფლოროვსკი, ერთი მხრივ, პირდაპირ ამბობს, რომ ამგვარ მოსაზრებასთან დაკავშირებით მხოლოდ ჰიპოთეზაზე დაყრდნობით თუ ვისაუბრებთ, მეორე მხრივ კი, პატერიკულ ტრადიციაზე დაყრდნობით აცხადებს, რომ სავსებით დასაშვებია განკაცებაზე, როგორც დაცემისგან დამოუკიდებელ მოვლენაზე მსჯელობა: „უაღრესად ნათელია, რომ კითხვას, თუ რა იყო განკაცების პირველი ან უმთავრესი „მოტივი“, ჰიპოთეზურ (ან სხვა რომელიმე „მარჯვე“) პასუხზე უკეთესი ვერ მოეძებნება [...] და როგორც ჩანს, მართლმადიდებლურ საღვთისმეტყველო სისტემაში დაშვებულია დაცემისგან დამოუკიდებელი განკაცების ჰიპოთეზა და საკმაოდ ჯეროვნადაც თანხვდება პატრისტიკულ სწავლებას, ხოლო განკაცების მოტივის შესახებ ადეკვატური პასუხის მოძიება მხოლოდ შესაქმის ძირითადი სწავლების კონტექსტშია შესაძლებელი.“[8] იმავე აზრს გამოთქვამს ზიზიულასიც, ოღონდ, ფლოროვსკისგან განსხვავებით, იგი უფრო მეტად მტკიცებით ფორმაში ამბობს სათქმელს, როდესაც აცხადებს, რომ ადამის დაცემით განკაცების მხოლოდ ფორმა განისაზღვრა,[9] თორემ თავად განგებულება არ შეცვლილა: „ჩვენ განკაცებასთან დაკავშირებით ადამის დაცემის გარეშეც უნდა ვისაუბროთ, მაგრამ ადამის დაცემამ განკაცების ფორმა განსაზღვრა. ადამი რომ არ დაცემულიყო, საკუთარი პიროვნების მეშვეობით, მთელ შესაქმეს ღმერთთან გაერთიანებაში ძღვნად მიიტანდა. ამგვარი კავშირი სიკვდილის მიერ გამოხატული ქმნილების საზღვრებს დაძლევდა.“[10]

შესაქმესთან კავშირისა და ადამიანის გამოხსნის გარდა, მაცხოვრის განკაცებაზე საუბრისას, ზიზიულასისთვის ძალიან მნიშვნელოვანია ურთიერთობის საკითხი, რომელიც ისე-

დაც რეფრენად გასდევს პერგამოს მიტროპოლიტის მთელ თეოლოგიას. მისი აზრით, „ქრისტეს პიროვნებად ხდის მამასთან ურთიერთობა, რომელ ურთიერთობაშიც ყველა სხვა ურთიერთობა არსებობს და რომლითაც ისინი (ურთიერთობები) განისაზღვრება. განკაცებაში ქრისტე სხვა ურთიერთობებს იღებს, როგორიცაა ურთიერთობა თავის დედასთან, მოწაფეებთან და ისრაელის მთელ ერთან.“[11] ზიზიულასის თანახმად, მამასთან ურთიერთობა ისეთი მნიშვნელოვანი რამაა, რომ ქრისტეს ღვთაებრიობაც კი ამით შემტკიცდება, ხოლო რადგან ეს ურთიერთობა განკაცებით არ იცვლება, ნიშნავს იმასაც, რომ მამასთან ურთიერთობაც უცვლელია ხორციელად შობის შემდგომ, ჯვარცმის დროსაც კი: „ქრისტეს ღვთაებრიობა მტკიცდება მამასთან ურთიერთობით და ეს ურთიერთობა არანაირად არ იცვლება განკაცებით. ქრისტეს ბუნება იგივეა მამასთან მიმართებით და ეს ბუნება უცვლელად არსებობს. ქრისტე შეიძლება ივნოს, რადგან მან ადამიანის ბუნება მიიღო. ქრისტეს ღვთაებრიობიდან არაფერი დამცრობილა ან განქარვებულა განკაცებით. იგი იყო სრული კაცი და სრული ღმერთი, როგორც ეს ქალკედონის კრებამ (451) განაჩინა.“[12]

რამდენადაც ზიზიულასის თეოლოგიისთვის სამების პირებს შორის ურთიერთობა არსებითი საკითხია, სწორედ მასთანაა დაკავშირებული შესაქმის დასაბამიერი გამიზნულების – ქმნილის უქმნელთან გაერთიანების მისტერიაც: „განკაცება არის მოძრაობა, რომელიც იწყება მამისგან და ქრისტეს მეშვეობით, სულიწმიდაში, მამასთან ბრუნდება. გაერთიანების ეს მოდელი, ქმნილის უქმნელთან გაერთიანების შესაძლებლობას იძლევა.“[13] შედეგად, მას მოაქვს ის ჭეშმარიტება, რაც გამიზნული იყო ჯერ კიდევ შესაქმემდე: „განკაცება ჭეშმარიტებას ძირითადი წესით კი არ ასაჩინოებს, არამედ წინაარსებულ ჭეშმარიტებას აცხადებს.“[14] რამდენადაც ქრისტე თავის თავში აერთიანებდა საღვთო და ადამიანურ ბუნებებს, მისი განკაცებით შესაძლებელი გახდა ადამიანსა და ღმერთს შორის პირადი ურთიერთობის დამყარება.

განკაცებაზე საუბრისას პერგამოს მიტროპოლიტი ერთმანეთისგან განასხვავებს საღვთო და ადამიანურ სიყვარულს. მისი აზრით, ადამიანური სიყვარული მაინც გარკვეულ აუცილებლობებთანაა დაკავშირებული, ხოლო იმისათვის, რომ ჭეშმარიტ, უქმნელ სიყვარულში ადამიანები და ზოგადად ქმნილებები ჩართულიყვნენ, საჭირო იყო განკაცება: „ადამიანებს, როგორც ადამი-

ანური ბუნების მქონეთ, რა თქმა უნდა, სიყვარული შეუძლიათ, მაგრამ ეს სიყვარული ყოველთვის გარკვეულ აუცილებლობებთანაა დაკავშირებული (იქნება ეს ბიოლოგიური, მორალური, ეთიკური თუ სიკეთისადმი ესთეტიკურად მიმსგავსებითი). მოცემულობა, რომლითაც ჭეშმარიტი და უქმნელი (ე.ი. თავისუფალი) სიყვარული ხდება ადამიანთა, ქმნილებათა სიყვარული, ის კი არაა, რომ იგი ხდება მათი – ქმნილებათა ბუნების ნაწილი [...], არამედ ის, რომ იგი ღმერთთან ურთიერთობას იწყებს და შეკავშირდება მამასთან და ძესთან ურთიერთობით. ეს ხორციელდება ღვთის ძის პიროვნებით, რომელმაც თავისი განკაცებითა და შემდგომში სულიწმიდით ნათლობით კაცობრიობა თავისუფალი ნებით ჩართო ამ ურთიერთობაში, რითაც მისცა მას ახალი იდენტობა. ეს იდენტობა კი განსხვავდება იმისგან, რასაც ბიოლოგიური შობის დროს ბუნებას აძლევს ადამიანებს."[15] ამგვარად, განკაცების მეშვეობით ადამიანს მიეცა საშუალება, გამოცდილებითად შეეგრძნო საღვთო, სრულყოფილი თავისუფლება, რომელიც არა აუცილებლობით, არამედ უსაზღვრო სიყვარულით მოქმედებს.

ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე, შეგვიძლია ვთქვათ, რომ განკაცების ასპექტი მიტროპოლიტ იოანე ზიზიულასის თეოლოგიაში კომპლექსური და მნიშვნელოვანი თემაა. განკაცების მეშვეობით შესაძლებელი გახდა, რომ აღსრულებულიყო ადამის დაცემით შეწყვეტილი განგებულება, რომელიც ქმნილისა და უქმნელის შეერთებას გულისხმობდა. ქრისტეს ხორციელი შობა თავის თავში იმარხავს, როგორც წმინდა წერილისეულ, ასევე, აღდგომის მისტერიებს, რაც სამყაროს არსებობისთვის უმნიშვნელოვანესი მოვლენაა. ამ საკითხზე საუბრისას ზიზიულასი განსაკუთრებით აღნიშნავს, რომ ქრისტე მოვიდა არა მხოლოდ კაცობრიობის, არამედ, მთელი შესაქმის გამოსახსნელად და გადასარჩენად, რაც ქრისტიანული თეოლოგიისთვის არსებითი ასპექტია. მიტროპოლიტი დარწმუნებულია იმაშიც, რომ ადამის დაცემა არ განსაზღვრავდა, მოხდებოდა თუ არა განკაცება, არამედ მისით დადგინდა მხოლოდ ის ფორმა, რომლითაც ეს მისტერია აღსრულდა. ამასთანავე, მიტროპოლიტი მკაფიოდ განასხვავებს ერთმანეთისგან საღვთო და ადამიანურ სიყვარულს და, შესაბამისად, სრულყოფილ და ნაკლულევან გრძნობებს, ხოლო იმისათვის, რომ ქმნილება ამაღლდეს საკუთარ თავზე და მათ შორის საკუთარ ნაკლულევან სიყვარულზე, აუცილებელია, თავად ღვთის ძე განკაცდეს

და მან მოიტანოს მიწაზე ეს ღვთ-
იური გრძნობა. მიტროპოლიტის თე-
ოლოგიის თანახმად, განკაცების წყ-
ალობით ადამიანური ბუნება განი-
კურნა, განახლდა და ქრისტეში ამა-
ღლდა, რამდენადაც ადამიანს მიე-
ცა განღმრთობის საშუალება. ამდე-
ნად, განკაცება - იესო ქრისტეს ხორ-
ციელი შობა, არის ქრისტიანული
თეოლოგიის, ანთროპოლოგიის, სო-
ტერიოლოგიისა და კოსმოლოგიის
არსებითი ასპექტი, რომლის ირგვ-
ლივაც ბრუნავს მთელი დოგმატური
და ლიტურგიკული ღვთისმეტყველება.

1 ქართულად გამოცემულია: იოანე ზიზიულასი, თანაზიარება და სხვადყოფნა. თარგმანი: თამარ გოგუაძე, ზურაბ ჯაში. თბილისი 2021.

2 სტატიაში, აქაც და ქვემოთაც, ხაზგასმა ჩვენია (ავტ. შენიშვ.).

3 Metropolitan John (Zizioulas) of Pergamon, "A Theology of Creation", Zurich 10.03.1989. http://www.oodegr. com/english/koinwnia/perivallon/Theology_of_creation.htm [23.12.2024].

4 ამ შემთხვევაში ზიზიულასი ახდენს მაქსიმე აღმსარებლის ციტირებს: Capita Theologica et Oeconomica, PG, 90, 1108A-B.

5 Robert Turner, "Eschatology and Truth", იხ. ციტირება: Douglas H. Knight, ed. The Theology of John Zizioulas Personhood and the Church, (Farnham: Ashgate, 2007), 21.

6 Zizioulas, "Personhood and Being", 55, იხ. ციტირება, Knight, The Theology of John Zizioulas, 21.

7 Intervento del Metropolita John (Zizioulas) di Pergamo, http://press.vatican.va/ content/salastampa/it/bollettino/pubblico/2015/06/18/0480/01050.html#ziziou [23.12.2024].

8 გიორგი ფლოროვსკი, განკაცების მოტივი (Cur Deus Homo), თარგმნა გურამ ლურსმანაშვილმა, 141-156, აქ. 156. თარგმანი იხ. კრებულში: პროტოპრესვიტერი გიორგი ფლოროვსკი, საღვთისმეტყველო სტატიათა კრებული. ინგლისურიდან თარგმნეს და სქოლიოები დაურთეს გიორგი გველესიანმა და გურამ ლურსმანაშვილმა. წმინდა თეოდორე ტარსელის დისტანციური სწავლების ცენტრი, თბილისი 2017.

9 უფრო ვრცლად განკაცების მოტივის შესახებ გიორგი ფლოროვსკისა და იოანე ზიზიულასის თეოლოგიაში, იხ. ჩვენი სტატია: Guram Lursmanashvili, Incarnation in Fr Georges Florovsky and Metropolitan John Zizioulas, 2021 Publication Name: Ex Patribus Lux: Essays on Orthodox Theological Anthropology and Georges Florovsky's Theology, Volos Academy Publications & St. Chrysostom Orthodox Research Group, 71-78.

10 Lectures in Christian Dogmatics, edited by Douglas Knight, (New York: T&T Clark, 2008), 105.

11 Jesmond Micallef, Communion and otherness in John Zizioulas' theology of personhood as basis for true otherness, identity and unity, Sophia XI (2019-2), 221-245, აქ: 234.

12 იქვე, 98.

13 იქვე, 97.

14 John Zizioulas, J. Zizioulas, Being as Communion, ed. by Paul McPartlan, T & T Clark: London 2006, 77.

15 John Zizioulas, Communion and Otherness, T&T Clark 2009, 277-278.

ქმნილისა და უქმნელის გაერთიანება ზიზიულასის თეოლოგიის ერთ-ერთი საკვანძო საკითხია, შესაბამისად, ლოგიკურია იმის თქმა, რომ მისთვის, ქრისტეს ხორციელი შობა მჭიდროდაა დაკავშირებული შესაქმესთან, უფრო მეტიც, ეს მოვლენა სწორედ შესაქმის ლოგიკური განსრულებაა, რადგან ამგვარად ინება მამა ღმერთმა.

გურამ ღურსმანაშვილი

პიტერ ბრეიგელის საშობაო გზავნილები საქართველოსთვის

ბექა მინდიაშვილი

პიტერ ბრეიგელი. აღწერა ბეთლემში (1566)

1.

პიტერ ბრეიგელის „მოსახლეობის აღწერა ბეთლემში“ (1566). დათოვლილი სოფელი ყოველდღიურ ყოფით საზრუნავშია ჩაფლული, ყველა თავჩარგული ფუსფუსებს: ვინ აღწერის რიგში დგას, ვინ საქათმეს აშენებს, ვინ წყალს იღებს, ვინ ურიკას აწვება, ვინ, ტვირთმოკიდებული, შინისკენ მიიჩქარის, ვინ კასრიდან ლუდს ისხამს, გოჭს კლავს და სადილს იმზადებს, ვინ სამიკიტნოს წინ ეწაფება სასმელს; ბავშვები ყინულზე დასრიალებენ, დედა შვილს უტყაპუნებს; ვიღაც კაცი, შორს, ზურგშექცევით, ჯიბეებში ხელებჩაწყობილი დგას და გაყინულ მდინარეს გაჰ-

ყურებს. ფლამანდიური სოფლის ცი-
ვი, ხმაურიანი საღამოა, ჰორიზონტ-
ზე მზე ჩადის და, კომპოზიციის ცენ-
ტრში, თოვლში ურმის დიდი ბორბა-
ლია ჩამხობილი – ტანჯვის, ბედის-
წერის, ამაოების ძველთაძველი სიმ-
ბოლო.

ყოველდღიურობის ხმაურში ვერა-
ვინ ამჩნევს მხარზე ხერხგადებულ
იოსებსა და ვირზე მჯდარ ორსულ
მარიამს, რომელმაც, სადაცაა ღმერ-
თი უნდა შვას. მათი ადგილი ადამია-
ნებს შორის არ არის კი არა, უფრო
იმის თქმა შეიძლება, რომ ეს ოჯა-
ხი აქ არავის აინტერესებს. ყველა თა-
ვისთვისაა; სხვისთვის არავის სცა-
ლია. ბრეიგელის სხვა შედევრებს შო-
რის ერთს „საბავშვო თამაშები“ ჰქ-
ვია. მას დაახლოებით ოთხმოცი სხ-
ვადასხვა იმდროინდელი თამაში აქვს
ტილოზე დახატული, მაგრამ ოთხმ-
ოცივე ერთმანეთისგან იზოლირე-
ბულია, მოთამაშეებს ერთმანეთთან
არაფერი აკავშირებთ. აქაც, ბეთლ-
ემში, ასეა, ადამიანები მხოლოდ თა-
ვისი ცხოვრებით არიან გართულები,
სხვისა არ ადარდებთ.

ღმერთი კი იბადება იქ, სადაც ადა-
მიანი ჩერდება, როგორც შაბათ დღეს
იუდეველი, და საკუთარი თავით კი
არა, სხვით, სხვისი, უცხოს არსებო-
ბით ინტერესდება, თავს სწევს და სხ-
ვას ხედავს; სხვისთვის ხელის გაწო-
დება, კარის გაღება ან რამის ჩუ-
ქება შეუძლია. მაგრამ სახარები-
სეულ ბეთლემში იოსებს და ქალ-
წულ მარიამს კარს არავინ გაუ-
ღებს, არავინ შეიფარებს, მათი მას-
პინძელი საქმეებით დაკავებულ,
ამ თავჩაღუნულ ადამიანებს შორის
არავინ არის.

აქ ისიც არავის აინტერესებს, ვინ
ხედავს მათ, – ჩვენკენ არავინ იყუ-
რება, უფრო სწორად, თითქმის არა-
ვინ, – სოფლის ამ საქმიანი თუ უსა-
ქმო ხმაურიდან, საკუთარ თავში გა-
მოკეტილი ფუსფუსიდან, კარგად თუ
დავაკვირდებით, დავინახავთ, რომ
მხოლოდ ხარი გვიყურებს ცალი თვა-
ლით, – ის თითქოს სურათის მიღ-
მური სამყაროდან გვაკვირდება გამ-
ჭოლი მზერით და თან ვირთან
ერთად მარიამს გომურისკენ მიაცი-
ლებს.

შეიძლება სიმბოლოების ზედმიწე-
ვნით მცოდნე და მოყვარულმა ბრეი-
გელმა ხარის სახით ზეციური მა-
მის ძალაუფლება და ზრუნვა გად-
მოსცა, – ხარი ძველ აღთქმაში ხომ
ღმერთის ძალასა და მორჩილ მსხვ-
ერპლს განასახიერებს. მის მზერაში
იკრიბება სოფლის ამაოება, კაცის
ძის დაბადება, მისი მომავალი მსხ-
ვერპლშეწირვა, და ერთდროულად
ჩვენც, ნახატის მაყურებლებიც, იქ-
ვე ვართ მოქცეულები.

პიტერ ბრეიგელი. მოგვთა თაყვანისცემა თოვლში (1563)

2.

„მოგვთა თაყვანისცემა თოვლში“ (1563) – ეს ბრეიგელის საშობაო ციკლში თემატურად მეორე ტილოა. ისევ ფლამანდიური ზამთრის სოფელი. მისი შესანიშნავი ლანდშაფტი, შემოწერილი სოფლის დათოვლილი სახლების სითბოთი და სიმყუდროვით. რაც მთავარია, თოვა, რომელიც გამჭვირვალე სივრცის ეფექტს ქმნის – ჰაერში ფანტელები ირევა, ჩვენსა და პეიზაჟს შორის თოვლის ფანტელების ფარდაა ჩამოფარებული. ჩვენ ამ ფარდის მიღმა ვხედავთ იმას, რასაც ვხედავთ. ამიტომ, ძნელია, გაარჩიო სახისა და სხეულის კონტურები.

აქაც ყოველდღიურობის ხმაურია, რომელშიც ახლა უკვე არათუ ორსულ მარიამს, ღმერთის, სამყაროს მხსნელის განკაცებასაც ვერავინ ამჩნევს. ამ სასწაულს, ქრისტეს შობას, რენესანსის დიდი ოსტატები საგანგებოდ კომპოზიციის ცენტრში, ხშირად სამეფო დიდებულებითა და ამაღლებული საზეიმო განწყობით გამოსახავენ ხოლმე, მაგრამ ბრეიგელის ტილოზე შობა, ზუსტად ისევე მარგინალურია, როგორც სახარება გვიამბობს ამის შესახებ: ბეთ-

ლემის განაპირას, არა რომელიმე სახლსა და სასტუმროში, არამედ, პირუტყვის სადგომში, გომურში დაიბადა ძე ღმრთისა, - უნივერსუმის საზრისი და შემოქმედი.

ნახატის ცენტრს დიაგონალურად ჭრის მუქ სამოსში გამოწყობილი ადამიანების რიგი. რიგის ბოლოში ორი დატვირთული ცხენი მოჩანს, - ეს მოგვთა ქარავანია, მაგრამ სად არიან თავად მოგვები და, რაც მთავარია, სად არის ის, ვის სანახავადაც ჩამოსულან ისინი აქ შორეული აღმოსავლეთიდან?

ჩვენ სათაურით უკვე ვიცით, რომ ის, რაც აქ ხდება, უფრო მეტია, ვიდრე თოვლის ბარდნა, ზამთრის პროვინციული პეიზაჟი და მოფუსფუსე სოფლელები: პატარა ბავშვი, რომელიც ყინულზე ციგით სრიალებს, მისკენ დახრილი დედა, მისი ხმა, რომლითაც ბავშვს აფრთხილებს, არ ჩავარდეს ყინულჭრილში, გლეხკაცი, რომელსაც გულში ძაღლი ჩაუხუტებია და თოვლში მიაბიჯებს, მაგრამ, ის, რაც აქ მთავარია, არ არის იოლად დასანახი. ჩვილ ღმერთკაცს სოფლის ყოფითობა თოვლის ნამქერის ფარდასავით ეფარება. და აქაც, პეიზაჟის სიღრმეში, თოვლში ჩამხობილი ურმის ბორბალი მოჩანს.

შობა კომპოზიციის საგანგებო ცენტრში კი არა, ნახატის ქვედა, მარცხენა კუთხეში, ჩამოფხავებული გომურის კედლის მიღმა, თითქმის შეუმჩნევლადაა დახატული, სოფლელების გასწვრივ, მათთან ერთად, მათთან თანასწორად. ახლად ნამშობიარებ მარიამს მიმტკნარებული, მაგრამ შინაგანი სიხარულით აღბეჭდილი სახე აქვს. ის გლეხი გოგონას სამოსშია გამოწყობილი. კალთაში კი მარცვლისოდენა იესო უზის.

იოლი არ არის ამოძვრე შენი ყოველდღიურობიდან, ყოვლისშემძლე ღმერთზე შენი ტრადიციული წარმოდგენებიდან, დაინახო მარიამი, მიაგნო მხსნელს, რომელიც არც სასახლეში ბატონობს, არც ტაძარში მეუფებს, ძნელია, აღიარო სამყაროს შემოქმედი, ყოველივეს საზრისი, მეფე და უზენაესი მღვდელმთავარი ამ პურის მარცვლისოდენა, დაუცველ და უმწეო ჩვილში, რომელიც სხვა ბავშვებს ჰგავს, სხვა ბავშვების თანასწორია, მათგან არაფრით განსხვავდება.

პიტერ ბრეიგელი. ჩვილთა ჟლეტა (1567)

3.

თუ ნახატისგან მოშორებით დგახარ, ზამთრის კრიალა დღეს ხედავ. დათოვლილ და მზემოკიდებულ ფლამანდიურ სახლებს შორის მოედანზე მხიარულად ირევა გამოფენილი ხალხი. მაგრამ დაშორება ოპტიკურ ილუზიას გიქმნის, რადგან, ახლოდან თუ დააკვირდები, - ეკლესიის ფონზე - შეჯგუფებული მხედრების რკინის აბჯარი ლაპლაპებს, მათი შუბები ცისკენაა შემართული. ნახატის მოსმენასაც თუ შეეცდები, სოფელს კაცების საზარელი ღრიალის, ქალების კივილის, მოთქმისა და გოდების ხმები აყრუებს. მხედრები და ხელისუფლების მიერ დაქირავებული ავაზაკები კარზე წიხლების ცემით სახლებში იჭრებიან, დედებს და მამებს შვილებს ართმევენ და დაუნდობლად ჩეხენ, რადგან სახელმწიფო მოსაკლავად დაეძებს პატარა ქრისტეს, ახალშობილ მეფეს. ცხენზე შემჯდარი ერთი მოხელე ხელებს ნეტარი სახით ასავსავებს, - აბა, მე რა შემიძლია, ბრძანება გვაქვს, - ეუბნება გამწარებულ ხალხს. „ჩვილთა ჟლეტა“(1567) - ასე ჰქვია პიტერ ბრეიგელის მესამე საშობაო ტილოს.

ეს ბოროტება ჰეროდეს ნახელავია, რომელსაც ძალაუფლების დათმობის, კონკურენტის გაჩენის სულ ოდნავი დაშვებაც კი ახელებს; იმდენად უმღ-

ვრევს გონებას, შეუძლია, ორ წლამდე ბავშვები ამოწყვიტოს, უმანკო სისხლით მორწყოს იუდეა, სახლებში შეეჭრას ნებისმიერს, ყელი გამოსჭრას ყველა ჩვილს. ეს ჰეროდეს ძალაუფლებაა, მაგრამ ბრეიგელი ესპანელი ჰაბსბურგების გერბს ხატავს დროშაზე, რომელიც მხედარს აქვს აღმართული, – უმოწყალო ძალაუფლების სახე ეპოქიდან ეპოქაში უცვლელი რჩება.

შემთხვევითი როდია, რომ სახელმწიფოს, მეფეს ხრწნად ღმერთს უწოდებდნენ. მეფე, თუ იმპერატორი თავს ღმერთად აღიქვამს, ოღონდ წარმავალ, დროებით ღმერთად, ამიტომ მას, ამ თავის ღმერთობაში არავინ უნდა შეეცილოს, მათ შორის არც მარადიული ღმერთი. არც სახელმწიფოს, არც რელიგიური დაწესებულების ადმინისტრაციას აქ მყოფი, ჩვენ შორის დაბადებული ღმერთი არ სჭირდებათ. ის მხოლოდ მაშინ არის მისაღები და სათაყვანებელი, როცა ზეცაშია, შორეულია და სამეფო თუ სამღვდელმთავრო ძალაუფლებას აკურთხებს, როცა იერარქიული პრივილეგიების გამართლების საშუალება ხდება. ღმერთის ადგილი აქ დაკავებულია. მარადიული ღმერთი ბატონთა დროის დინებაში ზედმეტია.

ღმერთი კი მაინც სადღაც აქ, დურგალი იოსების ოჯახში იბადება და ახლა იოსებსა და მარიამს მხოლოდ ისა აქვთ საზრუნავი, რომ ჩვილი იესო ხელისუფლების რისხვას გადაუმალონ. ქრისტეს შობა წუთისოფლის დიდებულებს მოსვენებას უკარგავს, ახელებს და მკვლელებად აქცევს მხოლოდ და მხოლოდ იმიტომ, რომ ის ჩვეულებრივი ბავშვია, ადამიანია, – მათი მიწიერი ძალაუფლების, მათი თვითმარქვია ღმერთობის სახიფათო კონკურენტი.

პიტერ ბრეიგელის ამ უმშვენიერეს საშობაო პეიზაჟებში ყოველდღიურობა, ყოვლისმომცველი ამაოება, გულგრილობა, ძალადობა და ტანჯვაა ჩამალული. ჩვენი საშობაო ხედებიც ასეთია: სადღესასწაულოდ მორთული ქალაქები, ზეიმის სიმულაციით სავსე ქუჩები, სახლები და ადამიანები, რომელთა მიღმა გულგრილობა და ძალაუფლების პყრობის სასტიკი კერპი იმალება. კერპს ზარავს იმის წარმოდგენა, რომ ვინმემ შეიძლება მისი ადგილი დაიკავოს, ვინმემ შეიძლება ის შემუსროს.

4

რა შეგვიძლია ამოვიკითხოთ შობის მოვლენაში, შობის სიმბოლოში? მერაბ მამარდაშვილი მუდამ იმეორებდა, რომ აზროვნება არის შეუძლებლის შესაძლებლობა. ეს იმას ნიშნავს, რომ ადამიანი აზროვნების აქტამდე იმდენად არასწორად აგებს

თავის თავსა და გზას, იმდენად უსწოროა მისი ცნობიერების ხვეულები, იმდენად მოცულია ის იმით, რასაც ემოციები, ვნებები, სურვილები, ილუზიები, სააზროვნო აჩრდილები შეიძლება ვუწოდოთ, იმდენად მოცულია ცხოვრება და გონება კულტურული და სოციალური კლიშეებით, კონიუნქტურით, ე.წ. „უმრავლესობის ტირანიით“: მეგობრის, მეზობლის, უბნის, საზოგადოების, შენი პარტიის, შენი მრევლის, შენი უმრავლესობის, ავტორიტეტებისა და სისტემების ძალაუფლებით, და ბოლოს, იმდენად ძნელია, გაემიჯნო საკუთარ თავს, კანივით გადაიძრო შენი ბიოგრაფია, შენი „ცოდვის სხეული“, რომ აზროვნება აქ, ამ დეფორმირებული სარკეების სამყაროში შეუძლებელი ჩანს.

აზრი რომ იშვას, საჭიროა დისტანცირება, საკუთარი თავის იმ წერტილში აღმოჩენა, სადაც შენ თავისუფალი ხარ ცნობიერების წინასწარ განმაპირობებელი იდენტობისა თუ ავტორიტეტისგან, აზროვნებას სჭირდება საკუთარი თავის გარედან დანახვა: გარემოს, საზოგადოების თუ პოლიტიკის, მოვლენათა ჯაჭვის გარედან, – სააზროვნო დისტანციიდან დანახვა. და ამას, – დისტანცირებას, ამ გარედან დანახვის შესაძლებლობას, შეგვიძლია, ღმერთის თვალი ვუწოდოთ.

რა გამოდის? იმისთვის, რომ ვიაზროვნოთ, ღმერთის პოზიციიდან უნდა შევხედოთ ჩვენს თავს, და შევძრწუნდეთ იმით, რა უბედურებასაც ამ წერტილიდან დავინახავთ, ანუ იმისთვის, რომ ვიაზროვნოთ, უნდა შევძლოთ ის, რაც ადამიანისთვის იმთავითვე შეუძლებელია, – უნდა ამოვიდეთ საკუთარი ეგოიზმიდან, – მეობით, ერით, სოციუმით, სარწმუნოებით, ტრადიციით, ინტელექტით, ჩვენი შესაძლებლობებით, ზოგადად, „ჩვენ“-ით ტკბობიდან, უნდა გადავლახოთ სიამაყე, გავარღვიოთ ილუზიები, შიშები და იმედები, დავთმოთ ის, რაც გვიყვარს, ის, რაც გვძულს, ის, რაც ჩვენი იდენტობის საყრდენად მიგვაჩნია, ის, რასაც ვართ მიჯაჭვულები და მიუკერძოებლად შევხედოთ ამ ყველაფერს ერთად, ერთიანად, ერთბაშად – შევხედოთ გარედან.

მაგრამ, ვთქვათ, ჩავატარეთ ეს ოპერაცია, გარეთ გავედით, გადავლახეთ ჩვენი „საზიზღარი მე“, ოღონდ, შემდეგ საით წავიდეთ და სად უნდა გავჩერდეთ? სად არის ეს ღმერთის თვალი, ეს შეუძლებელი ადგილი? ქრისტიანული ტრადიცია გვეუბნება, რომ ღმერთის ადგილი, ანუ ის წერტილი, სადაც იწყება შენი მეორედ დაბადება, შენი გარდაქმნა, სადაც შესაძლებელი ხდება ის, რაც კაცთაგან შეუძლებელია, ის ადგილი,

სადაც შესაძლებელია იმის გააზრება, როგორ სძლიო ბოროტებასა და სიკვდილს, ხრწნასა და ვერაგობას, სიცრუესა და უგუნურებას, მონობასა და ტირანიას, აი, აქ, ბეთლემის ბაგაშია. ბეთლემის ბაგა ჯადოსნური კარია, სადაც სამყაროს შემოქმედი ღმერთი გხვდება; ის ჩვილ ბავშვად გვევლინება იმისთვის, რომ ადამიანი მისი, ღმერთის თანაზიარი გახდეს, - განიღმრთოს. ეს არის საშობაო ძღვენი.

5.

რატომ ვწერ ამას? იმიტომ, რომ ჩვენ, მთელი ამ წლების განმავლობაში, ყველამ ერთად, ვინც ახლა გაოგნებული ვართ იმით, რაც რუსულმა რეჟიმმა დაგვატეხა თავს, ბიბლიური ენით რომ ვთქვათ, თავად მოვიწიეთ ეს უბედურება, რადგან ყველაფერი თუ არა, მეტისმეტად ბევრი რამე არასწორად ვაკეთეთ, - ვინ დროულად და გულწრფელად არ შევინანეთ, ვინ ვარდისფერი სათვალე მოვირგეთ, ვინ პასიურ მომლოდინედ ვიქეცით, ვინ გავჩუმდით და გავიყურსეთ, ვინ გავიქეცით და გადავიმალეთ, ვინ მთავრობისმოყვარების სულმა დაგვამხო, ვინ ამპარტავნებამ, ვინ შიშმა. ერთი სიტყვით, დავემგვანეთ იმ კერპთმსახურებს, ვისაც „პირი აქვთ და ვერ ლაპარაკობენ, თვალები აქვთ და ვერ ხედავენ. ყურები აქვთ და არ ესმით, ცხვირი აქვთ და ვერ იყნოსავენ. ხელები აქვთ და ვერაფერს ეხებიან, ფეხები აქვთ და ვერ დადიან, ხმას ვერ გამოსცემენ თავიანთი ხორხიდან“ (ფს.113. 13-15).

ბიბლიური წინასწარმეტყველი იერემია უკანასკნელი სიტყვებით რომ იწყევლის გაჩენის დღეს და ისრაელის უბედურებას დასტირის, იმავდროულად ამბობს, რომ ეგვიპტის მონობა რჩეულმა ერმა თვითონ დაიტეხა თავს, რადგან ღმერთის სიტყვა არ ისმინა, ჭეშმარიტებას უღალატა. ჩვენც შეგვიძლია ამის თქმა, - ის, რამაც ახლა ასე დაგვცა თავზარი, შეგვაძრწუნა და განგვარისხა, სინამდვილეში უკვე დიდი ხანია, მოხდა. ახლა მომხდარის ხილულ და მეტისმეტად მძიმე შედეგებს ვიმკით. ის, რაც დიდი ხნის წინ ჩვენს პოლიტიკურ და რელიგიურ ყანებში მოტყუებით დაითესა, როგორც კეთილი თესლი, ბოროტი გამოდგა. ჩვენ, ამ ბოროტების ამოცნობისათვის მეტისმეტად დიდი დრო გავფლანგეთ.

ახლა რა? მივიღოთ ეს ღალატი, სისასტიკე, ეს უკანონობა და უღმერთობა, როგორც ღმრთის სასჯელი? ცხადია არა! ჯერ ის, რომ ღმერთი არ გვსჯის, მეორეც ის, რომ ჩვენვე ვართ ჩვენი თავის სასჯელი. ნამდვილი მონა ისაა, ვინც მონობას ეგუება, ვი-

საც მონობა სიკეთე ჰგონია, ვისაც მონობა აკმაყოფილებს, ვინც მონობაში დიდკაცდება, ვინც მონობაში თავს იტყუებს, თავისუფალი ვარო, მაგრამ იმისათვის, რომ მონობას თავი დავაღწიოთ, ანუ თავი დავაღწიოთ იმას, რასაც აქამდე ვერ ვამჩნევდით, აი, ამისთვის, - ამ გათავისუფლებისთვის, ჩვენ უნდა შევძლოთ შეუძლებელი, უნდა დავდგეთ ჩვენი თავის და შესაძლებლობების გარეთ, უნდა დავდგეთ ზღვარზე, იქ, სადაც ღმერთი ხდება ადამიანი.

დღეს ჩვენი ეროვნული, სამოქალაქო ბეთლემი შეიძლება იყოს ის, რაც აქამდე არასოდეს, ანდა უკიდურესად ძნელად გამოგვდიოდა. „ნუ თანა-ხატ ექმნებით სოფელსა ამას, არამედ შეიცვალენით განახლებითა მით გონებისა თქუენისაჲთა“ (რომ.12.2): ნონკონფორმისტული, მასობრივი არაძალადობრივი დაუმორჩილებლობა მონობის ცოდვას, მონობისა და ღალატის რჯულს, დაუმორჩილებლობა მონობის დამკანონებელ ხელისუფლებას. თითოეულ ჩვენგანს ეს შეგვიძლია, რადგან ადამიანი მონად არ იბადება; ადამიანში იმთავითვე, დაბადებიდანვე, ჩაბუდებულია ღმერთის სასწაული, მისი ხატება - თავისუფლება.

კიდევ რა? ბოროტების შეუწყნარებლობასთან ერთად, მნიშვნელოვანია ერთიანობა თავისუფლებისკენ მიმავალ გზაზე, - ერთიანობა ყველა პარტიის, იდეოლოგიის, ყველა ფენისა და პროფესიის ადამიანისა, ყველა ეთნოსისა და კუთხის შვილისა, ყველა მრწამსისა და შეხედულების მქონე პიროვნებისა, ერთიანობა სიცრუის, მონობისა და უღმერთობის კერპების შესამუსრავად.

მართლმადიდებლური ტრადიციის საშობაო იკონოგრაფია ოთხ სხვადასხვა დროს ერთ დრო-სივრცეში აერთიანებს: ანგელოზთა დიდება და მწყემსების თაყვანისცემა, შემდეგ - მოგვების აღიარება და ბოლოს განბანა; შობის ვარსკვლავი და შობის ბაგა ყველა გზასა და ისტორიას, ყველა ბედისწერასა და საქმეს, ყველა რწმენას და გონებას, ყველა სივრცესა და დროს ერთ წერტილში უყრის თავს, როგორც რაღაც წამს დიდ აფეთქებამდე, რომლის ზღვარზეც ხდება ის, რაც შეუძლებელია, ხდებოდეს, - იბადება სიცოცხლე, იბადება სამყარო, ღმერთი ხდება ადამიანი.

ჩვენ ახლა ეს ზღვრული და შეუძლებელი ძალისხმევა უნდა გავწიოთ, რომ შევძლოთ ის, რაც აქამდე შეუძლებელი გვეგონა: ჩვენი სიბრმავით, ძალადობით და ტყუილით მონობაში მომწყვდეულები, ხელახლა დავიბადოთ როგორც თავისუფალი საქართველო, როგორც თავისუფალი ადამიანების ერთობა.

პიტერ ბრეიგელის უმშვენიერეს საშობაო პეიზაჟებში ყოვლისმომცველი ამაოება, გულგრილობა, ძალადობა და ტანჯვაა ჩამალული. ჩვენი საშობაო ხედებიც ასეთია: სადღესასწაულოდ მორთული ქალაქები, ზეიმის სიმულაციით სავსე ქუჩები, სახლები და ადამიანები, რომელთა მიღმა გულგრილობა და ძალაუფლების პყრობის სასტიკი კერპი იმალება. კერპს ზარავს იმის წარმოდგენა, რომ ვინმემ შეიძლება მისი ადგილი დაიკავოს, ვინმემ შეიძლება ის შემუსროს.

ბექა მინდიაშვილი

დროის ფილოსოფიურ-საღვთისმეტყველო გააზრება საქართველოში

ნარი ჩხაბერიძე

ადამიანის მიერ დროის აღქმის თავისებურება, დროის ფაქტორი, ერთ-ერთი ყველაზე განხილვადი თემაა მსოფლიოს მოაზროვნე ფილოსოფოსებისა თუ თეოლოგებისათვის.

ჩვეულებრივ, აღიარებულია, რომ ღვთითბოძებული დრო ის უძვირფასესი და არგანახლებადი რესურსია, რომელსაც განსაკუთრებულად სჭირდება მართებულად გამოყენება, რადგან მისი (წარმავალი დროის) აღდგენა ან უკან დაბრუნება შეუძლებელია.

მარადმედინი დრო და მარადისობა

დროის უწყვეტ მდინარებას, ჯერ კიდევ ანტიკური ფილოსოფიის იონიური სკოლის წარმომადგენელი, ჰერაკლიტე განიხილავდა და მას ერთ მდინარეში ორჯერ შესვლის შეუძლებლობას ადარებდა. დროის მდინარების ამგვარ ხედვას, ცხადია, უნდა გამოეწვია დიდი კრძალვა და ყურადღება როგორც უწყვეტად მედინი პროცესისადმი, რათა მისი სათანადოდ გამოყენების აუცილებლობაზე დაეფიქრებინა კაცი.

როგორც პლატონი ამტკიცებს, სამყაროს შექმნამდე დრო არ არსებობდა, ანუ შემოქმედი (დემიურგოსი) სამყაროს შექმნასთან ერთად ქმნის დროსაც, რომელსაც „ტიმეოსი“ ახასიათებს, როგორც ერთადერთი და უძრავი მარადისობის მოძრავსა და რიცხვთა კანონის მიხედვით მარადმედინ ხატებას. „მარადისობა“ („აიონ“) პლატონისათვის ძირეულად განსხვავდება ამ სიტყვის ჩვენეული გაგებისაგან. ამ ტერმინით „ტიმეოსში“ აღინიშნება არა ბუნდოვანი, გაურკვეველი და ჯერ კიდევ არარსებული მომავლიდან აწ უკვე აღარ არსებული წარსულისაკენ ცალსახად და უკუუქცევლად მედინი „დროის“ („ქრონოს“) უსასრულო ოდენობა, რომელიც წინ უსწრებს, ან მოსდევს აწმყოს, არამედ ერთგვარი ექსტრატემპოლარული (დროის მიღ-

მური, დროის გარეშე არსებული) რეალობა (ჩვენი „უჟამო ჟამი“, ალბათ, ყველაზე სრულად და ამომწურავად გამოხატავს ამ ცნების შინაარსს). დღევანდელი გაგებით „დრო“ სასრულია, „მარადისობა“ კი უსასრულო, მაშინ, როდესაც, პლატონის აზრით, ამ ორ ცნებას შორის რაოდენობრივი (კვანტიტატური) კი არა, თვისებრივი (კვალიტატური) სხვაობა არსებობს (პლატონი, 1994: 235-236). ანტიკური სიბრძნისმეტყველება მნიშვნელოვანწილად განაპირობებს დროის ნეტარი ავგუსტინესეულ კონცეფციასაც, რომლის მიხედვით, დროის გაზომვა შესაძლებელია ადამიანური ცნობიერებით, რომელსაც მომავლის მოლოდინი აქვს, წარსული ახსოვს, აწმყოს კი უშუალოდ აღიქვამს (11:26; 11:33). წმინდანი დროს სულიერ განფენილობად მიიჩნევს (11:33), სულთან დაკავშირებით კი ასეთი შთამბეჭდავი სიტყვებით გოდებს ღვთის წინაშე: ჩემი ფიქრი, ჩემივე სულის უიდუმალესი ნაყოფი, დაფლეთილ - დაქუცმაცებულია ცვალებადობის ბობოქარი დინებით და ასე იქნება მანამდე, სანამ არ შეგერწყმი შენ, განწმენდილი და გამოწრთობილი შენი სიყვარულის ცეცხლში. მაშინ აღვდგები და დავემკვიდრები შენს ჭეშმარიტებაში (11: 39-40) (ნეტარი ავგუსტინე, 1995).

დროის ამგვარი ცნობიერებით აღქმა, ცხადია, გვაძლევს შესაძლებლობას, ამ წუთისოფელშივე შევძლოთ მისი ფიზიკური საზღვრების გარღვევით დროის მეტაფიზიკაზე ვიმსჯელოთ და გავიაზროთ ღვთაებრივი მარადისობა, რომელიც წარსულს, აწმყოს და მომავალს იმ საერთო, მარადიულ განზომილებაში აქცევს, როცა დროის არსებობა აზრს კარგავს. თუკი სამყაროს შექმნას ახლავს დროის ქმნადობა (შდრ. პლატონი), მაშინ მეშვიდე დღე, როცა ღმერთმა სამყაროს შექმნისგან დაისვენა, შეგვიძლია წარმოვიდგინოთ დროიდან - მარადისობაში განსვლის შესაძლებლობად, მითუმეტეს, თუ გავითვალისწინებთ ნეტარი ავგუსტინესეულ კონცეფციას, რომელიც დროს სულიერ განფენილობად აღიქვამს.

მარადისობის ხატი – შაბათი

დროის სულთან მიმართებით, ყველაზე ცხადი მითითებაა, ბიბლიურად, როცა შემოქმედი ადამიანს ათ მცნებაში აფრთხილებს, „ახსოვდეს შაბათი დღე, რომ წმიდაყოს იგი“ (გამოსვლა 20,8). იმაზე მეტად წმინდაყოფა შეუძლებელია, ვიდრე ამ დღის უფლისადმი მიძღვნა - შეწირვაა. ჩვენ გვაქვს ექვსი სადაგი დღე იმისათვის, რომ მეშვიდე დღეს წარვდგეთ უფლის წინაშე. დრო, რომელიც

მოგვეცა უფლისგან, ვითარცა „ტალანტი“, საჭიროა, ვუძღვნათ მისი სიკეთის გამრავლებას ჩვენში. შედეგად, უფლისგანვე გვებოძება და ვუერთდებით მერვე დღის ტრანსცენდენტულობას იქ, სადაც თავად უფალი გვეგულება. ამგვარი ყოველკვირეული ციკლი, მარადიული სასუფევლის დასამკვიდრებლად მეორდება ადამიანის საწუთისოფლო დროში მყოფობისას, ვიდრე მისთვის ბოლომდე არ გათავდება ეს დრო, და განღმრთობისთვის ამგვარად გაწვრთნილი ადამიანის სული სამარადისოდ არ შეუერთდება უფალს (შდრ. ნეტარი ავგუსტინე (11: 39-40)). საუკუნო ცხოვრების შაბათს ჩვენ განვისვენებთ შენში. და მაშინ შენც განისვენებ ჩვენში (13:35,36) (ნეტარი ავგუსტინე, 1995).

ბიბლეისტი ზურაბ კიკნაძე დროს უწოდებს ბიბლიის მდუმარე პერსონაჟს, რომელიც განსაზღვრავს მის ხასიათს. დროის აღქმის თავისებურება განაპირობებს ბიბლიური ნარატივის თავისებურებას. ექვსდღიანი წარმავლობა შაბათის სახით მარადისობაში გადადის და მისი (ექვსი დღის) განსრულებაა. შაბათი მარადისობის ხატს ატარებს, ამდენად, იგი „ამ წუთისოფელშივე ამზადებს ადამიანს მარადისობისთვის“. აქვე ავტორი გვაცნობს იუდაისტი ფილოსოფოსის აბრაჰამ ჰენშელის საინტერესო აზრს დროის უპირატესობაზე სივრცესთან შედარებით. მისი თქმით, დასაწყისში დრო ერთი იყო. დროის შვიდ დღედ დანაწილებით იგი მჭიდროდ დაუკავშირდა სივრცის სამყაროს. თითოეულ დღესთან ერთად, გარდა შაბათისა, საგანთა გარკვეული სფერო წარმოიშვა. შაბათი, ანუ წმინდა დრო, ერთადერთია, როცა არაფერი შექმნილა. მაგრამ ამის გამო იგი არ არის ცარიელი დრო. იგი თავისუფლების გამოხატულებაა, რადგან, სხვა დღეებისგან განსხვავებით, არ არის მიბმული ნივთიერ სამყაროზე. „მისი თავისუფლება სულშია, რადგან ის სამეუფოა, უფლის დღეა“ – ამბობს ჰენშელი (კიკნაძე, 2010).

კვლევისას ზურაბ კიკნაძე გვამცნობს ფილოსოფოს ბერდიაევის თვალსაზრისსაც კოსმოსური და ისტორიული მოვლენების სხვადასხვა დროში მიმდინარეობის შესახებ, რასაც უპირისპირებს დროის ბიბლიურ ერთიან აღქმას. ამგვარი აღქმით ბიბლიამ საზღვრები წაუშალა პანთეისტური დროის ონტოლოგიას და გაერთიანებულ დროში წარმოიდგინა კოსმოსურ - ისტორიული მოვლენები ადამიანურ - ეგზისტენციალურთან ერთად. დასასრულ, ავტორი ასკვნის, რომ დროის მიზანი იმ მარადიული სივრცის მოპოვებაა, სადაც ყველაფერი ერთჟამობაში მოექცე-

ვა. დრო მხოლოდ ამის მისაღწევი საშუალებაა (იქვე).

დროის ერთჟამობაში მოქცევა – მესიის მოლოდინი

მესიის მოლოდინთან კავშირში დროის ერთჟამობაში მოქცევას გვიმოწმებს ენათმეცნიერი მედეა ღლონტი, რომელიც ეტიმოლოგიურად განიხილავს ქართული სიტყვა – მომავლის საღვთისმეტყველო ასპექტებს. იგი ამბობს: გაქრისტიანდა არა მარტო ქართველი ერი, არამედ ქართულმა სიტყვამაც შეიმოსა ქრისტეს ნათელი. სიტყვა – მომავალი თავისი მორფოლოგიური წარმოებით, თავდაპირველი სემანტიკითადა საღვთისმეტყველო გააზრებით უშუალოდ უკავშირდება, ერთი მხრივ, მარადისობისა და დროის, მეორე მხრივ, ბუნებითი და გრამატიკული დროის ქრონომეტრული ურთიერთმიმართების პრობლემას. ენათმეცნიერის ახსნით, თავისი მორფოლოგიური წარმოებით (ახლანდელი დროის მიმღეობა: „ვინც ან რაც მოდის“) მომავალი აღბეჭდავს „დროში გაწელილ, აწმყოთი აქტუალიზებულ“ გრადაციას, რომელსაც ნეტარი ავგუსტინე უწოდებს „აწმყო მომავლისას“; ხოლო თავისი ორკეცი, წინააღმდეგობრივი სემანტიკით („ვინც ან რაც მოდის“ — „ვინც ან რაც მოვა, იქნება; მომავალი დრო“), იგი იმოსება „მოლოდინით შეკუმშული“ მომავლის მესიანისტურ - ესქატოლოგიური განცდით - მომავლის მოლოდინით. ავტორის შენიშვნით, მომავალი გვამცნობს, რომ მართლმორწმუნე ქრისტიანი მთელი თავისი გულით და მთელი თავისი სულით და მთელი თავისი გონებით უნდა განიცდიდეს არა იმას, რომ უფალი მოვა, არამედ რწმენითა და სასოებით დღენიადაგ ფხიზლობდეს იმის მოლოდინით, რომ უფალი მარადის მოდის! (ღლონტი, 2013:57-68).

მსგავს თვალსაზრისს გამოხატავენ უცხოელი მოაზროვნეებიც, მაგ., თანამედროვეობის ერთ-ერთი დიდი იტალიელი მეცნიერი – ჯორჯიო აგამბენი, რომელიც საუბრობს „მესიის დროის“ მნიშვნელობაზე. მისი აზრით, „მესიის დრო“ აღნიშნავს არა ქრონოლოგიურ ხანგრძლივობას, არამედ განცდილი დროის ხარისხობრივ ტრანსფორმაციას, ანუ გარკვეულწილად ქრონოლოგიური დაგვიანების მსგავსს, როდესაც, მაგალითად, ამბობენ: „მატარებელი იგვიანებს“ - ამაში დრო სრულიადაც არ იგულისხმება. სიტყვა „მოვა”, ბერძნულად „ἔρχεται – ერხეტაი“, ორიგინალ ტექსტში გამოიყენება აწმყო დროში, ზუსტად იმგვარადვე, როგორც სახარებაში მესია იწოდება „მომავლად“ (ho ερχομενος – ჰო ერხო-

მენოს), ანუ იმად, ვინც არასდროს წყვეტს მოსვლას (ანუ მარადის მოვალს მ.მ). „1. ხოლო დროთა და ჟამთათვის, ძმანო, არ გჭირდებათ რამის მოწერა. 2. რადგან თქვენ თვითონაც მშვენივრად იცით, რომ დღე უფლისა მოვა, როგორც მპარავი ღამით“. - სწერს პავლე მოციქული თესალონიკელებს“ (1 თეს . 5, 12). ვალტერ ბენიამინმა შესანიშნავად აითვისა პავლე მოციქულის მიერ თქმული და იმეორებს თავისი ჩვეული მანერით: „ყოველდღე და ყოველ წამს – ეს ის პატარა კარია, რომელშიც მესია შემოდის“. დრო, რომელზეც მოციქული ლაპარაკობს, არ არის ჟამთა აღსასრული. „მესიანური დრო ჟამის აღსასრული კი არ არის, არამედ თანაფარდობა ყოველი წამისყოფისა, ყოველი ჟამისა (καιρός კაიროს) ჟამის აღსასრულთან და მარადისობასთან“. - წერს ჯორჯიო აგამბენი (აგამბენი, 2017).

მესიის მოლოდინი სახარებისეულად ქრისტეს განსაზღვრული მოლოდინია, რომელიც, თავის მხრივ, დროსთან დაკავშირებით გვაფრთხილებს, რომ: კაცის ძის მოსვლა იქნება ისევე მყისიერად, როგორც წარღვნა მოვიდა და წალეკა ყველაფერი (მათე 24,39); რომ, რომელ საათზეც არ ვფიქრობთ, მაშინ მოვა ძე კაცისა (მათე 24,44); რომ „მა-შინ ცათა სასუფეველი დაემსგავსება ათ ქალწულს, რომელთაც აიღეს ლამპრები და გამოვიდნენ მეფის შესახვედრად“ (მათე 25,1) და ა.შ. ცხადია, დროს ცხონებისთვის გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება, მეორედ მოსვლისას, მყისიერად მოსული უფლის მიერ. იგავში „ათ ქალწულზე“, ქრისტე გვაუწყებს, რომ დაგვიანებულ ხუთ სულელ ქალწულს უკვე ვეღარაფერმა უშველა დროის არყოფნის გამო, და ასე დარჩნენ „დახურულ კარს მიღმა“. ამ იგავიდან კარგად ჩანს, რომ, მიუხედავად იმ პრეცედენტის არსებობისა, ქრისტეს გვერდით ჯვარზე გაკრულმა ავაზაკმა მყისიერად რომ შეძლო სამოთხის დამკვიდრება, მეორედ მოსვლისას ასეთი რამე შეუძლებელი იქნება, ვინაიდან, დრო არც ერთი წამით აღარდარჩება ამისთვის. ვერავინ იტყვის, რომ „ხუთ უგუნურ ქალწულს“ ქრისტესთან მყოფობა არ უნდოდა., თუნდაც მათი ქალწულებრივი ცხოვრებაა ამის დასტური. მიუხედავად ამისა, როგორც მამები განმარტავენ, ისინი ვერ გახდნენ „საქორწილო დღესასწაულის ნაწილნი“ დროულად ვერ მომზადების გამო, და ამიტომაც რჩებიან დახშულ კარს მიღმა (ბიბლიური კომენტარები. რუს. 2007: 273).

ცხადია, სახარებისეული იგავით „ათ ქალწულზე“ (მათე 25:113), დროის საათანადოდ გამოყენების თაობაზე უნ-

და ვიმსჯელოთ. აღსანიშნავია, რომ იქვე გრძელდება იგავი ტალანტების შესახებაც (მათე 25:14-30), რაც საშუალებას გვაძლევს ჩავთვალოთ, რომ უფალი დროის სათანადოდ გამოყენების შესახებ დამოძღვრას აგრძელებს. ამის დადასტურება შეგვიძლია იმ ფაქტითაც, რომ მათეს სახარება, როგორც ებრაელთათვის მიძღვნილი და, შესაბამისად, მათთვის გასაგებად განკუთვნილი, ცხადია, იგავთა გაგების იმდროინდელ – რაბინულ ტრადიციას ექვემდებარება. ამ ტრადიციის მიხედვით კი ერთი იგავის ახსნა, მის მომდევნო იგავში იკითხება. ამდენად, საფიქრებელია, რომ დროის გააზრება გვმართებს ტალანტებთან დაკავშირებულ სიმბოლურ ასახვაშიც. სწორედ, იგავისეული ტალანტებივით მოგვეკითხება ამქვეყნიური ყოფის ნებისმიერი წუთისთვის.

წმინდა მამები, „ტალანტებზე" იგავის განმარტებისას, ყურადღებას ამახვილებენ სიტყვაზე „მეყსეულად" („მაშინვე" „იმწამსვე"). „და მისცა ხუთი ქანქარი და რომელსამე ორი ქანქარი და რომელსამე ერთი, კაცად კაცადსა მსგავსად ძალისა თვსისა, და მეყსეულად წარვიდა"(მათე 25, 15). კირილე ალექსანდრიელის თქმით, რაც ღმერთმა ადამიანს მისცა საჩუქრად, მყისვე და დაუყოვნებლივ, შეუფერხებლად უნდა იქნეს გამოყენებული მის მიერ. წინააღმდეგ შემთხვევაში მას წაერთმევა ღვთითბოძებული ნიჭი, რომელიც მისგან დაკონსერვებულია, და გადაეცემა შრომისმოყვარეს, რომელსაც შეუძლია მისი ღვთაებრივ საქმეში გამოყენება (ბიბლიური კომენტარები. რუს. 2007: 276).

ჟამისწირვა – დროის შეწირვა

ზემოგანხილულ მყისიერებასთან განგრძობითი თანაფარდობა სიტყვიერად გამოხატა და გადმოგვცა ჩვენმა ენამ ტერმინ „ჟამისწირვის" შექმნისას. რამდენადაც ენა არის ერის მეხსიერება და ერის ცნობიერება, გამოვლენილი ნიშნებში, მისი დროითი პარამეტრები ამოუწურავ მასალას იძლევა. მაგალითად, ჰაიდეგერი მუნყოფიერების წესის ისტორიულად განსაზღვრულობაზე საუბრობს.

„ტრადიციის აღმოჩენა და იმის ახსნა, თუ რას გადმოგვცემს იგი და როგორ გადმოგვცემს, შეიძლება გაგებულ იქნეს, როგორც დამოუკიდებელი ამოცანა. მუნყოფიერებას ასევე შეაქვს თავისი თავი ჟამთააღმწერლურ კითხვებსა და გამოკვლევებში. მაგრამ ჟამთა აღმწერლობა, როგორც შემკითხველი მუნყოფიერების წესი – შესაძლებელია მხოლოდ იმიტომ, რომ იგი თავისი

ყოფიერების საფუძველში ისტორიულობითაა განსაზღვრული“ (ჰაიდეგერი, 1989, გვ.713).

ამ ისტორიულობის შინაარსს ჩვენი საეკლესიო სიმბოლიკა თავის განსაკუთრებულობით მსჭვალავს. ერთ-ერთი, რითაც ქართული საეკლესიო საღვთისმეტყველო აზროვნების წვლილი და ორიგინალური ხედვა განსაკუთრებულად გამოიკვეთა, ვფიქრობთ, დაკავშირებულია სწორედ ლიტურგიული ღვთისმსახურების სახელ - დებასთან – „ჟამისწირვასთან“. იგი თავისი შინაარსით უკავშირდება მსხვერპლშეწირვასაც და, რამდენადაც გამოვიკვლიეთ, ევქარისტიის კოსმოგონიურ ესქატოლოგიურ გაგებასაც, როგორც დროის შეწირვის შედეგად აღქმულ სინამდვილეს.

საქართველოში, ისევე როგორც სხვა ქრისტიანულ ქვეყნებში, საეკლესიო ღვთისმსახურება ქრისტიანობის ისტორიის უმთავრესი განმსაზღვრელი, მისტერიული შემოქმედებაა, რომელსაც საფუძვლად უდევს ჟამისწირვა, იგივე საღვთო ლიტურგია (ბერძ. Λειτουργία – საერთო - სახალხო, საზოგადო საქმე. Λαός - ერი, ხალხი, ἔργον – საქმე). საღვთო ლიტურგიის - ჟამისწირვად სახელდებაში ჩვენი კვლევით, მისი ერთ-ერთი, მეტად მნიშვნელოვანი ფუნქციის აზრობრივი დატვირთვა იკითხება, რის დანახვაც სპეციფიკურად ქართულმა აზროვნებამ რწმენით შეძლო და სიტყვაში, ენობრივად გააცხადა, როცა პერიოდულად საკითხავ ლოცვანს - ჟამნი უწოდა, ხოლო შემდეგში საღვთო ლიტურგიას - ჟამისწირვა.

რამდენადაც ადამიანს, გარდა ცოდნის და გამოცდილებისა, ახასიათებს რწმენა, რომელიც სულიერი მისწრაფებაა ინტუიციურად შეიმეცნოს ის, რასაც აზროვნება ვერ სწვდება და ამ ღრმად შინაგანი, ცნობიერებისა და ქვეცნობიერების ზღვარზე არსებული სწრაფვის გაცხადებას ენით ახდენს. სიტყვის მნიშვნელობის პირველადობის ბიბლიურ შეხედულებაზე აღარ განვავრცობთ, აღვნიშნავთ მხოლოდ, ადამიანური ენების აგებულების სხვადასხვაობისა და კაცობრიობის გონითს განვითარებაზე მისი გავლენის შესახებ ზოგადი ენათმეცნიერებისა და ენის ფილოსოფიის ფუძემდებელი გერმანელი ენათმეცნიერის, ვილჰელმ ჰუმბოლდტის კონცეფციას, რომლის ძირითადი დებულებებია:

- ენა არის მსოფლხედვა;
- ენა არის ერის სულის უშუალო გამოხატულება;
- ახალი ენის დაუფლება ახალი მსოფლხედვის შეძენაა (ჯორბენაძე,1997:11).

ვფიქრობთ, ქართულმა ენამ, სწორედ ერთ-ერთი ახალი მსოფლმხედველობა შესძინა საეკლესიო ღვთისმსახურებას ტერმინით „ჟამისწირვა“, რომელიც საღვთო ლიტურგიის, ქართულ ტრადიციაში დამკვიდრებული შესატყვისობაა. ვფიქრობთ, საღვთო სიტყვა „ჟამისწირვა“, უძველესი ქართული ტერმინია, რომელიც იმ ცნობილი ფიუსეი (φύσει) თეორიის მეცნიერული პრინციპის მიხედვითაა შექმნილი, სათავეს სოკრატესა და პლატონის ფილოსოფიაში რომ იღებს. ამდენად, თავისი ბუნების ზუსტ შესატყვისობას შეესაბამება, ანუ „ჟამისწირვა“ მიგვანიშნებს ჟამის, ანუ დროის შეწირვის შესახებ.

ტერმინ „ჟამისწირვის“ ისტორიულობა გვაუწყებს მისი შექმნის ისტორიას, როგორც დროსთან დაკავშირებული რამ ნიშანი, რომლის წარმოშობა აფიქსირებს მარადისობისკენ მომზირალი ერის ცნობიერებას საღვთო ლიტურგიასთან მიმართებით. ამ ერმა ადამიანის ამქვეყნიურ მთლიან ცხოვრებას უწოდა „წუთისოფელი“. აღსანიშნავია, რომ ზოგიერთ სიტყვაში „ჟამის“ სემანტიკურ მნიშვნელობად ხშირად მოიაზრება სრულიად ისტორიული ცხოვრება. ამის დასტურია სიტყვა „ჟამთააღმწერელი“, რაც ისტორიული ამბების აღმწერ მემატიანეს ნიშნავს (ქეგლ.-V: 374). ასევე, მსგავსი სიტყვაა „ჟამიანობა“. იგი შავი ჭირის ეპიდემიას აღნიშნავს (იქვე).

ამდენად, გასაკვირი არ არის, რომ საღვთო ლიტურგიის ჟამისწირვად დასახელებაც, ისეთი ყოვლისმომცველი თვალსაზრისით ყოფილიყო მიჩნეული, როგორც ყოველივე ამქვეყნიურის, იმავე ისტორიული დროის ღვთისადმი მიძღვნა - შეწირვაა. დროის ამგვარი გააზრება, ვფიქრობთ, განსაკუთრებით მნიშვნელოვანია. როცა წმინდანი ამქვეყნიურ ყოფას აღიქვამს მოზომილ დღეებად, ანუ ამ წუთისოფლისთვის განსაზღვრულ დროდ, რომლის მდინარებაც შეუცნობელია, მაგრამ, ამავდროულად, სულში ზომავს მას, რადგან მეტად ეძვირფასება და იცის მისი მაღალდანიშნულებითი ღირებულება. ნეტარი ავგუსტინეს მისტაგოგიური ხედვა და დასკვნები დროსთან დაკავშირებით თითქოს ერთგვარად ეხმიანება ტერმინ „ჟამისწირვის“ ჩვენეულ გაშინაარსებას. ვფიქრობთ, „ჟამისწირვის“ სახელმდებელმაც სწორედ ასევე იცოდა დროის ფასი და ღვთივსულიერად ცდილობდა, ღმერთისთვის მიეძღვნა ყველაზე ძვირფასი, ანუ დრო, რომელიც ამ წუთისოფლისთვის ჰქონდა მოზომილი, შეეწირა უფლისთვის, ლიტურგიული ღვთისმსახურებისას, მადლობისა და ქების მსხვერპლთან ერთად. ყველა-

ზე ძვირფასისა და საუკეთესოს შეწირვა ხომ თავიდანვე იყო დაწესებული მსხვერპლშეწირვისას.

ჟამისწირვის ტექსტებში იხსენიება სიტყვები: „შენნი – შენთაგან, შენდა შემწირველნი ყოველთა და ყოვლისათვის“, ანუ ამით ნათქვამია, რომ ადამიანი ყველაფერ ამქვეყნიურს უნდა სწირავდეს უფალს (შდრ. „შენდა შემწირველნი ყოველთა“), შესაბამისად, სწირავს დროს, რომელიც თავისთავად არის ყოველივე ამქვეყნიურის მომცველი. ჩვენს წინაპართა მიერ, ღვთითბოძებულ დროსთან მიმართებით, განსაკუთრებულად გონივრული დამოკიდებულების დასტურია, თუნდაც ამქვეყნიური ცხოვრების „წუთისოფლად“ სახელდება და ხალხური სიმღერა „მრავალჟამიერი“. ორივე შემთხვევაში საოცრად ბრძნული, ფილოსოფიური ხედვაა დროის მიმართ გამოხატული. მსგავს ბრძნულ ტრადიციას აგრძელებს აგრეთვე ქართველი ფილოსოფოსის, მერაბ მამარდაშვილის ცნობილი განმარტება სიცოცხლის შესახებ – „სიცოცხლე არის ძალისხმევა დროში“.

შეგვიძლია ვიფიქროთ, რომ ჩვენს ქრისტიან წინაპარს დროსთან მიმართებით განსაკუთრებულად კრძალვითი და საზრიანი დამოკიდებულება ჰქონდა, ამიტომაც ასე გონივრულად შეათავსა ტერმინში ლიტურგისა და დროის პერცეფცია. თეოლოგების ნააზრევში აქცენტი ყოველთვის გამახვილებულია ფიზიკური დროიდან ტრანსცენდენტურ, მეტაფიზიკურ დროში გადასვლაზე, რაც საღვთო ლიტურგიას ხელეწიფება. ფიზიკური დროის განწმენდით იგი ახერხებს განწმინდოს მთელი სამყარო. როგორც ღვთისმეტყველება ამტკიცებს, საღვთო ლიტურგიის კოსმოგონიურობისა და ესქატოლოგიურობის წყალობით, მთელი სამყაროს ფერისცვალებას უნდა ველოდოთ. ამდენად, „ყოველი დროის მონაკვეთს და, საზოგადოდ, ისტორიასაც წმინდა შინაარსს ანიჭებს საეკლესიო კალენდარი და მსახურებათა ციკლი. ადამიანს კი ევალება, მოიხელთოს მათი განზომილება და განავრცოს მათივე ტრანსცენდენტულობა პირად დროსა და სივრცეზე“ (ევდოკიმოვი. რუს. 2007:132)

ჟამისწირვით – მერმისთან კავშირი

ცნობილია, რომ წმ. გრ. ნოსელი დროს შესაქმეს უწოდებს. როგორც თეოლოგები შესაქმის შესახებ წმ. მამების ნააზრევით მსჯელობენ, „მეშვიდე დღე“ ამჟამადაც გრძელდება, ხოლო მკვდართა აღდგომის შემდეგ კი დადგება მარადიული „მერვე დღე“, ანუ მომავალი საუკუნო სიცოცხლე

(თინიკაშვილი, 2004, გვ.63). როგორც უკვე აღინიშნა, „მერვე დღე“ იმავე მერმისის მნიშვნელობით არის ქართულ ენაში მოხსენიებული. ვფიქრობთ, ამ სიტყვით მინიშნება მოგვცა ჩვენმა კეთილმეტყველმა ქართულმა ენამ ჟამისწირვასთან მიმართებით. თითქოსდა გვითხრა, რომ უფლისადმი ამქვეყნიური ჟამის შეწირვით ვუკავშირდებით მერმისს, ანუ მერვე დღეს, როგორც მარადისობას. ქრისტიანობამ მთელი სამყარო გაიაზრა და გამოხატა სიტყვით. ამ თვალსაზრისითაა შესაცნობი ღმრთის სიტყვის (ლოგოსის) განკაცების საიდუმლოც. როგორც ნიკოლოზ სერბი (ველიმიროვიჩი) წერს, ამიტომაცაა, რომ ქრისტიანობა თავად ამ სამყაროს სწორედ სიტყვის მეშვეობით ხსნის (წმ. ნიკოლოზი, რუს. 2003: 64).

ტერმინ „ჟამისწირვის“ ღვთისადმი ამქვეყნიური, ფიზიკური დროის შეწირვის შინაარსიდან გამომდინარე, გამოითქმება მოსაზრება იმის თაობაზე, რომ ჟამისწირვის მეოხებით „მერვე დღესთან“, მარადისობასთან, ანუ „მერმისთან“ მიახლება მართლმადიდებლური სარწმუნოების განმსაზღვრელი სიმბოლოს, „მრწამსის“ მე-12 მუხლის აღსრულების მიმანიშნებელი ხდება, ვინაიდან, მრწამსის მიხედვით მორწმუნე ადამიანი მოელის ცხოვრებასა – „მერმისსა მის საუკუნისასა“. ასე რომ, ნაშრომში ასახული კვლევებით დასტურდება, რომ დღეს, ქართული საეკლესიო სიმბოლიკა და ტერმინთა სემიოტიკა მიგვითითებს დროის მართებულად გამოყენებაზე.

ამრიგად, ქართული საღვთისმეტყველო ტერმინი „ჟამისწირვა“, უკვე ტერმინ „მერმისთან“ კავშირში, გვაჩვენებს, რომ ჩვენი წინაპრების მიერ ქართულ ენაზე შექმნილ ამ ორ ტერმინს შეუძლია სრული სიზუსტით გადმოსცეს ლიტურგიული ღვთისმსახურების, როგორც კოსმოგონიურ-ესქატოლოგიური მოვლენის ფუნქციური, უმნიშვნელოვანესი დანიშნულების შინაარსი. საქმე გვაქვს საეკლესიო ღვთისმსახურების მაღალკულტურული ისტორიული განვითარების შედეგთან, რომლითაც მსოფლიოს წინაშე შეგვიძლია, ორიგინალურად წარვდგეთ, როგორც დროის გააზრების მეტად გონივრულ - რეალისტური ფილოსოფიით ლიტურგიულ ღვთისმსახურებაში.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. ბიბლია. http://www.orthodoxy.ge/tserili/gadasatseri/sarchevi.htm
2. აგამბენი, ჯ. (2017). ეკლესია და დრო. თარგმნა მიქაელ მთაწმინდელმა. http://sheimetsne.blogspot.com/2017/12/blog-post.html
3. ნეტარი ავგუსტინე. (1995). აღსარებანი. თბილისის დამოუკიდებელი უნივერსიტეტი, თბილისი: ნეკერი.
4. Библейские коментарии отцов Церкви и других авторов I – VIII веков. Новый Завет Iб. Евангелие от Матфея 14-28. (2007) Герменевтика
5. Евдокимов П.Н., Искусство иконы. Богословие красоты. Клин: Христианская жизнь.
6. Святитель Николаи (Велимирович). (2003), Символы и сигналы. Москва: Покров.
7. თინიკაშვილი, დ. (2004). შესაქმის განმარტება (ნაწილი პირველი). §4. თბილისი: თბილისის სასულიერო აკადემია.
8. კიკნაძე, ზ. (2009, ოქტომბერი 8). ადამიანი ბიბლიურ დროში Posted by: burusi https://burusi.wordpress.com/2009/10/08/ zurab-kiknadz/
9. პლატონი, (1994). „ტიმეოსი“, ძველი ბერძნულიდან თარგმნა, წინასიტყვაობა და კომენტარები დაურთო ბ.ბრეგვაძემ, თბილისი: ირმისა.
10. ღლონტი მ. (2013). ბუნებითი და გრამატიკული დროის ქრონომეტრული ურთიერთ მიმართებისათვის ქამომავალი-ს საღვთისმეტყველო ასპექტები), კრებული ეტიმოლოგიური ძიებანი, X, არნოლდ ჩიქობავას სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტი.
11. ჯორბენაძე ბესარიონ. ენა და კულტურა. თბილისი 1997

სახარებისეული იგავით „ათ ქალწულზე“ (მათე 25: 113), დროის სათანადოდ გამოყენების თაობაზე უნდა ვიმსჯელოთ. აღსანიშნავია, რომ იქვე გრძელდება იგავი ტალანტების შესახებაც (მათე 25:14-30), რაც საშუალებას გვაძლევს ჩავთვალოთ, რომ უფალი დროის სათანადოდ გამოყენების შესახებ დამოძღვრას აგრძელებს. ამის დადასტურება შეგვიძლია იმ ფაქტითაც, რომ მათეს სახარება, როგორც ებრაელთათვის მიძღვნილი და, შესაბამისად, მათთვის გასაგებად განკუთვნილი, ცხადია, იგავთა გაგების იმდროინდელ – რაბინულ ტრადიციას ექვემდებარება. ამ ტრადიციის მიხედვით კი ერთი იგავის ახსნა, მის მომდევნო იგავში იკითხება. ამდენად, საფიქრებელია, რომ დროის გააზრება გვმართებს ტალანტებთან დაკავშირებულ სიმბოლურ ასახვაშიც. სწორედ, იგავისეული ტალანტებივით მოგვეკითხება ამქვეყნიური ყოფის ნებისმიერი წუთისთვის.

ნარი ჩხაბერიძე

ოლივერ სქოლასტიკოსის სამყარო და საქართველო

ბექა ჭიჭინაძე

ოლივერ სქოლასტიკოსი (1170–1227) კათოლიკე ეკლესიის კარდინალი და შუა საუკუნეების ერთ-ერთი ყველაზე ქარიზმატული ინტელექტუალური ფიგურაა. გერმანული წარმოშობის მქონე ეს ცნობილი მოძღვარი სხვადასხვა დისციპლინებში საფუძვლიანად იყო განათლებული და სამართლიანად ითვლებოდა მრავალმხრივ ნიჭიერ კაცად. ოლივერი თავისი დროის მათემატიკოსი, ფიზიკოსი და გამომგონებელიც იყო, სწავლის დასრულების შემდეგ იგი პადერბონის მოძღვარი გახდა. 1213 წლიდან ქადაგება დაიწყო ჯვაროსნული ლაშქრობების მოსაწყობად და შესანიშნავი ორგანიზატორის უნარები გამოავლინა. 1219 წელს დამიეტის აღება, რასაც მაშინვე დიდი აღფრთოვანებით გამოეხმაურნენ ქართველები, დიდწილად სწორედ ოლივერის გამოგონების დამსახურება იყო, რომელმაც ქალაქის ასაღები რამდენიმე ახალი მანქანა შექმნა. „ურჯულოთა“ წინააღმდეგ ჯვაროსნული ლაშქრობების ეს მგზნებარე მქადაგებელი ჯვაროსნულ შენაერთებთან ერთად, სულთან ალ კამილს ტყვედ ჩაუვარდა, რომელიც მის მიმართ ტყვეობაში დიდ კეთილგანწყობას იჩენდა, ოლივერი წერს: „კაცი, ვისი მშობლები, ვაჟები და ქალიშვილები, დები და ძმები, ჩვენს ხელში დაიღუპნენ შეძრწუნებულები (ჯვაროსნებთან ომში, ბ. ჭ.), ვისი მიწებიც ჩვენ დავიპყარით, საიდანაც [ხალხი] შიშველი გავრეკეთ საკუთარი სახლებიდან, გვამარაგებდა თავისი საკვებით, როცა შიმშილით ვიხოცებოდით და გვხედევდა კეთილშობილებით, მიუხედავად იმისა, რომ მის ხელში ვიყავით“.[1]

საბოლოოდ, მუსლიმთა წინააღმდეგ ჯვაროსნული ომის ეს იდეოლოგი სულთან ალ კამილს დაუმეგობრდა და მასთან აზრთა საინტერესო გაცვლა-გამოცვლაც ჰქონდა, სულთანმა ის ტყვეობიდან გაათავისუფლა. მუსლიმ მეგობრებთან ურთიერთობამ და მადლიერებით აღსავ-

სე ამ გამოცდილებამ ოლივერს უბიძგა, ისლამთან თავისი ფანატიკური დამოკიდებულებისათვის გადაეხედა. შედეგად, შუა საუკუნეების ევროპის კვალობაზე, ამ დიდმა ქრისტიანმა ინტელექტუალმა რევოლუციური დასკვნა გააკეთა: ქრისტიანებს და მუსლიმებს სინამდვილეში ძალიან ცოტა რამ ყოფთ ერთმანეთისგან. ისლამიც ღვთის გამოცხადებაა, ისევე, როგორც იუდაიზმი, მაგრამ, არა აბსოლუტური.

ჩვენთვის განსაკუთრებით საყურადღებო ისაა, რომ ამ შესანიშნავი მოაზროვნის მრავალფეროვან სამყაროში საქართველოს გამორჩეული ადგილი ეჭირა. წინამდებარე სტატიის პირველ ნაწილში მიმოვიხილავ ოლივერ სქოლასტიკოსის იმ ცნობებს ქართველთა შესახებ, რომლებიც უკვე ცნობილია ქართულ ისტორიოგრაფიაში, დასასრულკი წარმოვადგენ მის ერთ უცნობ ჩანაწერს დავით აღმაშენებლის შესახებ, რომელიც უაღრესად მაღალღირებული მონაცემია ჩვენი სამეცნიერო ლიტერატურისათვის.

ოლივერის პირველი, ქართველებთან დაკავშირებული ცნობა ეფუძნება ჯვაროსანთათვის ქართველთა მიერ გაგზავნილ წერილს:

„იმ ერმა [ქართველებმა], მეტად აღშფოთებულმა და განრისხებულმა, გადაწყვიტა და დაიფიცა, რომ მას შემდეგ, რაც მათმა მეფემ დიდებულები შეყარა, დაეპყროთ სარკინოზების რომელიმე განთქმული ქალაქი, და აგრეთვე თქვეს, რომ მათთვის სირცხვილია [იმის ყურება], თუ როგორ მოვიდნენ ფრანკები დიდი და საშიშროებით სავსე ზღვის გავლით ზღვის გადაღმა მხარეებიდან, დედამიწის უკიდურეს განაპირა მდებარე ქვეყნებიდან და აიღეს ასე კარგად გამაგრებული ქალაქი ალყის შემდეგ, როდესაც თვითონ, ვისთვისაც გაცილებით ადვილია ურწმუნოებთან ბრძოლა, არ იპყრობდნენ დამასკს ან სხვა რომელიმე განთქმულ ქალაქს. ქართველები ქრისტიანები არიან, ცხოვრობენ სპარსეთის მეზობლად, აღთქმული ქვეყნიდან ძალზე შორს. მათი საბრძანებელი გადაჭიმულია კასპიის მთებამდე, სადაც დამწყვდეული ათი ტომი ელოდება ანტიქრისტეს მოსვლას. მაშინ ისინი გამოანგრევენ და ყოველივეს გააჩანაგებენ. ქართველები მეომარი ერია. სასულიერო პირებს თავზე აქვთ მრგვალი ტონზურა, ხოლო საეროებს – ოთხკუთხა. ასევე გამოცდილი არიან ბრძოლებში მხედართა

[თანმხლები] ქალები. როდესაც ჯარები საბრძოლო წყობაში დგებიან ერთმანეთის პირისპირ და კაცები მოწინააღმდეგეზე თავდასასხმელად მზად არიან, ყოველი მათგანი სვამს ღვინოს მათარიდან და მაშინვე მხედრული ძალით იწყებს ბრძოლას.“ [2]

ოლივერის ამ ცნობის თითოეული მონაკვეთი მონოგრაფიულ შესწავლას იმსახურებს. აქ ყურადღებას გავამახვილებ მე-13 საუკუნის ქართულ გეოგრაფიულ წარმოდგენებზე, რომლის თანახმადაც ევროპა „დედამიწის უკიდურეს განაპირა მხარეებშია“, ამ შეხედულებას თავისებურად ეხმიანება თამარ მეფის გეოგრაფიაც, რომელიც საკუთარ სამეფოს შუაგულად მიიჩნევდა უკიდურეს დასავლეთს („ღადირნი“) და აღმოსავლეთს („ედემი“) შორის.

კასპიის - კავკასიის მთებში დამწყვდეულ ათ ტომში ოლივერი გულისხმობს სამარიის აღების შემდეგ გადასახლებულ ათ ებრაულ ტომს. ლეგენდის მიხედვით, ისინი კავკასიის მთიანეთში მკვიდრობდნენ. ამგვარი თვალსაზრისის გაჩენა, შესაძლოა, გამოეწვია იუდაიზმის გავრცელებას ხაზართა შორის.

ოლივერის შემდეგი ცნობა ეხება ანტიოქიის შავი მთის ქართულ მონასტერს და ხელნაწერებს, მის საერთო ისტორიულ კონტექსტში ლოკალიზაციაში დაგვეხმარება ბერძენი ბერის – იკოდომოპულოსის წერილი ოჰრიდის არქიეპისკოპოსისადმი, სადაც მრავლისმეტყველადაა აღწერილი 1204 წელს ბიზანტიაში შეჭრილ ლათინებთან ქართველი ათონელი ბერების დამოკიდებულება:

„ქართველები არ
დაუპირისპირდნენ ლათინებს,
როგორც მართებდათ, ისინი
სამარცხვინოდ ეახლნენ პაპის
კარდინალს თესალონიკში
და ლათინთა ხელზე ხელების
დადებით განგვეშორნენ ჩვენ,
ბერძნებს... პაპის ნებას დაჰყვნენ
და ლათინური წესი აღიარეს“.
ოჰრიდელმა არქიეპისკოპოსმა
დიმიტრიოსმა მოუწოდა ბერძნებს,
გაეწყვიტათ ყველა სახის კავშირი
ქართველებთან, რამდენადაც მათ
„ლათინთა ყველა დოგმა მიიღეს“. [3]

მე-13 საუკუნეში ქართველი მთაწმინდელები აგრძელებდნენ პირველი მთაწმინდელების ტრადიციულ ხაზს, რომელიც რომის ეკლესიას სამოციქულო მოძღვრების უმწიკვლო აღმსარებლად მიიჩნევდა. ყველაფერი ის, რასაც იკოდომოპულოსი და დიმიტრიოს ოჰრიდელი გადმოგვცემენ ქართველი ბერების ქმედებასთან დაკავშირებით, ბუნებრივად თავ-

სდება რომის ეკლესიის წარმომადგენლებთან გიორგი და გაბრიელ ათონელების ურთიერთობების საერთო სულისკვეთებაში. ქართველი ათონელების ეს გადაწყვეტილება რომ მხოლოდ ლოკალური ტრადიციის შედეგი არ ყოფილა და წარმოადგენდა ეპოქის ქართული სასულიერო ელიტის ერთგვარ პროროომაულ კურსს, დასტურდება ანტიოქიის შავი მთის ქართველი ბერების მსგავსივე გადაწყვეტილებით. ისინი ლათინი ეპისკოპოსის – რეიმონდის სულიერ ხელმძღვანელობაში შევიდნენ და ასურელ ბერებთან ერთად გაერთიანდნენ ერთ საძმოში ბენედიქტელ ბერებთან.[4] უფრო ადრე შავი მთის ქართველმა ბერებმა ანტიოქიასთან ბიზანტიელთაგან მიტოვებული ჯვაროსნები სურსათით მოამარაგეს.[5] ქართველთა ეს მჭიდრო სულიერი ურთიერთობა დასავლეთევროპელებთან, რომელსაც ზოგჯერ საერთო სამონასტრო ორგანიზაციის სახეც კი ჰქონდა, ქმნიდა კულტურული შეხვედრების ასპარეზსაც. სწორედ ამ გარემოებამ მისცა საშუალება ოლივერს, საგულდაგულოდ დაეთვალიერებინა ანტიოქიის შავი მთის ქართული მწიგნობრული სკოლა, რომელსაც ქართული კულტურის ისტორიაში უმნიშვნელოვანესი ადგილი უჭირავს.

ოლივერი ეწვია ქართული კულტურის ამ უდიდეს კერას – შავი მთის ქართულ მონასტერს, სადაც, როგორც თვითონ აღნიშნავს, საგულდაგულოდ გადახედა მის წიგნებს, თავის აღწერაში იგი ცდილობს იმ საერთო ლიტერატურული ტრადიციების ხაზგასმას, რომელიც, მისი აზრით, ქართველ და ევროპელ ქრისტიანებს აერთიანებს. წინამდებარე მონაკვეთში მოცემულია ოლივერის ცნობის ლათინური ტექსტი და ქართული თარგმანი, მაგრამ პერიფრაზირებულად მისი ცნობა ჩვენს სამეცნიერო ლიტერატურაში იქამდეც ცნობილი იყო. [6]

ტექსტი

"Georgiani et Greci per omnia concordant in officiis divinis, sed Georgiani litteram habent propriam, quorum codices in monte sancti Symeonis in columpna, ubi propriam habent ecclesiam, diligenter inspicientes per interpretem intelleximus, eos eundem ordinem ewangeliorum habere, quem habent Latini, canones etiam ewangeliorum per columpnellas arcuatas sicut et nos. Epistolarum Pauli idem prorsus apud eos est ordo cum nostro, omnibus aliis epistolam Pauli ad Romanos premittunt". [7]

თარგმანი:

„ქართველები და ბერძნები
საღვთო მსახურებაში
ყველაფერზე თანხმდებიან, მაგრამ
ქართველებს აქვთ თავიანთი
დამწერლობა, რომლის წიგნებიც
[მოიპოვება] წმინდა სვიმონის
სვეტზე, სადაც საკუთარი ეკლესია
აქვთ. განმმარტებლის მეშვეობით
საგულდაგულო დათვალიერებით
შევიტყვეთ, რომ სახარებათა
ისეთი რიგი აქვთ, როგორიც
ლათინებს, მათი სახარებების
კანონები თაღოვანი სვეტებითაა
[შემკული], როგორც ჩვენი.
(საყურადღებოა, რომ ოლივერ
სქოლასტიკოსის თანამედროვის,
ეპიფანე ქართლის კათალიკოსის
ბრძანებით გადაწერილი იენაშის
ოთხთავი, რომელიც იონამ
მოხატა, შემკულია სწორედ
თაღოვანი სვეტებით, კამარებით.
ბ. ჯ.). პავლეს ეპისტოლეთა რიგიც
სწორედ ისეთია, როგორიც ჩვენი.
პავლეს ყველა სხვა ეპისტოლეს
წინ უსწრებს რომაელთა მიმართ
[ეპისტოლე]“.

ოლივერის ცნობები ქართველ მხედრებზე, ასევე შავმთელ ქართველ ბერებსა და ქართულენოვან სახარებაზე უკვე მოვიხმეთ, მაგრამ, ვინაიდან იგი საკმაოდ ნაყოფიერი ავტორია, მის მრავალმხრივ მემკვიდრეობაში შეიძლება მოძიებულ იქნეს ჩვენი სამეცნიერო ლიტერატურისთვის ჯერ კიდევ უცნობი მასალები. სწორედ ასეთია მისი შთამბეჭდავი ცნობა დავით აღმაშენებელზე.

ოლივერი დაწვრილებით მოგვითხრობს ეგვიპტელთა ერთ-ერთი ტრადიციული სამხედრო ხრიკის შესახებ, რომელიც გულისხმობდა მოწინააღმდეგის ზურგში წყლის არხის გაყვანას და ამგვარად, მათთვის უკანდასახევი გზის დატბორვას, მოსპობას. ეს ხრიკი საკმაოდ ეფექტიანად მუშაობდა და მტრის დემორალიზებას ახდენდა. ეგვიპტელთაგან ჯვაროსნებისთვის უკან დასახევი გზის დატბორვის შემდეგ სულთნის ბანაკში მოითხოვდნენ, რომ უკან დასახევ გზამოჭრილ ჯვაროსნებს დაუყოვნებლივ დასხმოდნენ თავს, მაგრამ წინდახედული სულთანი ფრთხილობდა, რადგანაც ამ ეტაპზე გენერალური შეტევისათვის მზად ჯერ არ იყო. ოლივერი წერს: სულთანმა

„თათბირისას უბრძანა მათ (თავის სარდლებს), შეეწყვიტათ
ყველანაირი სამხედრო მოქმედება
ჩვენ (ჯვაროსნების) წინააღმდეგ.
მისი ძმები, განსაკუთრებით კი ემესის
მთავარი, გაცხადებული მტრები
ქრისტიანებისა, ცდილობდნენ,
შემოებრუნებინათ იგი. ისინი

მას ეუბნებოდნენ, რომ წყლით გარემოცულ ფრანგებს (ჯვაროსნებს) აღარ შეეძლოთ გაქცევა, მაგრამ სახიერმა და წინდახედულმა სულთანმა, მშვიდობისმოყვარემ და არა სისხლისღვრის მოსურნემ, თავის ძმებთან და სასახლის დიდებულებთან განბჭო და წარმოუსახა მათ თვალწინ მაგალითი სპარსეთის სულთნისა, რომელსაც, თავისი წარმატებებით მეტად გადიდგულებულს, ჰქონდა სურვილი, თავად დაენიშნა კაიროს მეფეც და ასევე სხვა მმართველები აზიაში, და რომელიც ბოლოს დამარცხებულ იქნა დავით მეფის, საქართველოს უფლისაგან, და რომელმაც (სულთანმა) დაკარგა თავისი სამფლობელო“ (ამ მაგალითის გათვალისწინებით, ოლივერის მიხედვით, ეგვიპტელებმა ჯვაროსნებთან მოლაპარაკებები დაიწყეს).[8]

სპარსეთის სულთანი ამ შემთხვევაში უბრალოდ აღმოსავლეთის მუსლიმ მმართველს უნდა გულისხმობდეს, როგორც ეს ხშირად ხდებოდა მოცემული ეპოქის ევროპულ წყაროებში. მართალია, ეს სიტყვები სულთნის მიერ წარმოითქვა, მაგრამ ის ქრისტიანი ოლივერის მიერ არის გადმოცემული და, სავარაუდოდ, გაფორმებულიც. წყაროს შინაარსი, ვფიქრობ, საკმაოდ ცხადი და მრავლისმეტყველია. ჯვაროსანთა ყველაზე ძლიერი მტრების, ეგვიპტელი მუსლიმებისთვის, დავით აღმაშენებლისაგან ილ ღაზის (ან სულთან მაჰმუდის) დამარცხების ფაქტი, თითქმის ერთი საუკუნის შემდეგაც, იმდენად მრავლისმეტყველია, რომ მას ჯვაროსნებთან ურთიერთობისას სახელმძღვანელო მაგალითადაც იყენებენ. თუკი განდიდებული სულთანიც კი დამარცხდა ქრისტიანებთან (დავით მეფესთან) ომში, შესაძლოა, იგივე განმეორდეს ახლაც და ეგვიპტის სულთანიც ასევე დაეცეს ჯვაროსანთა წინაშე. ამიტომ საჭიროა მათი სათანადოდ დაფასება და მოლაპარაკება. აშკარაა, რომ აქ დავითი, მუსლიმური პერსპექტივიდან დანახულია, როგორც ჯვაროსანთა წინამძღოლი, რომელიც ერთიან ჯვაროსნულ/ქრისტიანულ სამხედრო პოტენციალს განასახიერებს. ეს გვახსენებს, ერთი მხრივ, ძველ თურქულ ეპიკურ პოემას, „მელიქ დანიშმენდს“ და, მეორე მხრივ, მუსლიმურ ენშებს, რომელიც ქართველებს ფრანგებს, ანუ ჯვაროსნებს უწოდებს, ქართველთა მეფეს კი „ფარანგის მარზპანს“, ანუ ჯვაროსნული სამყაროს მენაპირე მცველს. ნიშნეულია, რომ ეს ფუნქცია აქვს მიკუთვნებული დავითს ქრისტეს საფლავის ფრანგი ბერის – ანსელუსის მიერაც,

რომელიც მას ჯვაროსანთა წინაბურჯად მიიჩნევს. ხსენებული წმინდა საფლავის ფრანგი ბერი პარიზის ეპისკოპოს გალონისადმი წერილში ნათლად ამბობს დავით აღმაშენებლის ამ მისიის შესახებ. მისი ჩვენებით, საქართველოს მეფე კეტავს კავკასიის აპოკალიფსურ კარიბჭეს და იცავს ცივილიზებულ მსოფლიოს კავკასიელი წარმართების, გოგისა და მაგოგის თავდასხმისაგან: „...დავით, რომელსაც მის წინაპრებივით კასპიის კარი – გოგსა და მაგოგს რომ ზღუდავს - ეჭირა და დარაჯობდა, რასაც მისი შვილი აქამომდე ასრულებს, ვისი ქვეყანა და სამეფო, მედელთ და სპარსთა წინააღმდეგ, ჩვენი წინა ბურჯია“.

ოლივერის დამოკიდებულებაში საქართველოს მიმართ, თვალსაჩინოა მისი სურვილი ევროპული და ქართული სამყაროს კულტურულ-პოლიტიკური მთლიანობის წარმოჩენისა, მან იცის, რომ ქართველი და ევროპელი ქრისტიანები ერთმანეთისგან დაცილებულები არიან გრძელი მანძილით, მათ შორის „დიდი და საშიში ზღვით“, მაგრამ, ამის მიუხედავად, მისი დაკვირვებით, ქართული წიგნები ევროპულ წიგნებს ჰგავს, საქართველოს დიდი მეფის, დავითის გამარჯვება კი სახელმძღვანელო მაგალითია ევროპელებისა და მუსლიმების ურთიერთობებშიც.

1 Judge Weeramantry, Christopher G. (1997), Justice Without Frontiers,136–137

2 საქართველო და კავკასია ევროპულ წყაროებში: XII-XVI საუკუნეთა ისტორიოგრაფიული და კარტოგრაფიული მასალის საფუძველზე, ა. თვარაძე, 2004, 143-144

3 Chomatianos, Analecta sacra et classica, Spicilegio Solesmensi parata, VI, ed. J.B. Pitra, Paris-Rome, 1891, col. 245-250

4 Morray D.W., The Defences of the Monastery of St Simeon the Younger on Samundag, Ori entalia Christiana Periodica, Vol. 60, 1994, 623

5 Hamilton B., Latins and Georgians and the Cru sader Kingdom, Al-Masaq, Vol. 23, No. 2, 2011, 119

6 იხ. ჯავახია ბ., ჯვაროსანთა ეპოქის ლათინური წყაროები საქართველოს შესახებ, წიგნში: გივი ჟორდანია – 90, თბილისი, 2001, 230-236

7 Die schiriften des kölner domscholasters, späteren bischofs von Paderbon und kardinal – bischofs von S. Sabina Oliverus herausgege ben von dr. Hoogeweg kgl. Archivar in Han nover. Gedruckt für den litterarischen verein in Stuttgart, Tübingen, 1894, 265

8 Michaud J.F., Bibliothèque des Croisades, Paris, 1829, 158

ყველაფერი ის, რასაც იკოდომოპულოსი და დიმიტრიოს ოჰრიდელი გადმოგვცემენ ქართველი ბერების ქმედებასთან დაკავშირებით, ბუნებრივად თავსდება რომის ეკლესიის წარმომადგენლებთან გიორგი და გაბრიელ ათონელების ურთიერთობების საერთო სულისკვეთებაში. ქართველი ათონელების ეს გადაწყვეტილება რომ მხოლოდ ლოკალური ტრადიციის შედეგი არ ყოფილა და წარმოადგენდა ეპოქის ქართული სასულიერო ელიტის ერთგვარ პროტესტულ კურსს, დასტურდება ანტიოქიის შავი მთის ქართველი ბერების მსგავსივე გადაწყვეტილებით. ისინი ლათინი ეპისკოპოსის – რეიმონდის სულიერ ხელმძღვანელობაში შევიდნენ და ასურელ ბერებთან ერთად გაერთიანდნენ ერთ საძმოში ბენედიქტელ ბერებთან. უფრო ადრე შავი მთის ქართველმა ბერებმა ანტიოქიასთან ბიზანტიელთაგან მიტოვებული ჯვაროსნები სურსათით მოამარაგეს. ქართველთა ეს მჭიდრო სულიერი ურთიერთობა დასავლეთევროპელებთან, რომელსაც ზოგჯერ საერთო სამონასტრო ორგანიზაციის სახეც კი ჰქონდა, ქმნიდა კულტურული შეხვედრების ასპარეზსაც.

ბექა ჭიჭინაძე

მღვდელმონაზონი თეოდორე ჩიხლაძე

ორმოცი წელი საქართველოში საბჭოთა რეჟიმის მიერ სასულიერო პირის უკანასკნელად დახვრეტიდან

ლაშა დეისაძე – შარვაშიძე

ისტორიის დოქტორი

საქართველოს სამოციქულო მართლმადიდებელი ეკლესიის მეოცე საუკუნის ოთხმოციანი წლების ისტორიაში, ერთ-ერთ ყველაზე ტრაგიკულ ფურცელს წარმოადგენს მღვდელმონაზონი თეოდორეს (ჩიხლაძე) საქმე. მამა თეოდორე აღმოჩნდა საქართველოს ეკლესიის უკანასკნელი სასულიერო პირი, რომელიც დახვრიტა საბჭოთა ხელისუფლებამ.

ერისკაცობაში თეიმურაზ ვლადიმერის ძე ჩიხლაძე, დაიბადა 1951 წლის 30 ივნისს, ქ. თბილისში. ის ბავშვობიდანვე გამოირჩეოდა ანტიკომუნისტური აზროვნებით, რაც ზრდასრულ ასაკში მის ანტისაბჭოურ მსოფლმხედველობაში გამოიხატა. 1979 წელს იგი ხელდასხმულ იქნა იეროდიაკვნად. ამავე წელს ჯიხეთის მონასტერში ბათუმ – შემოქმედელმა ეპისკოპოსმა (შემდგომში ცხუმ – აფხაზეთის მიტროპოლიტი) დავითმა (ჭკადუა) მას ხელი დაასხა მღვდელმონაზონად.

მამა თეოდორე ჯერ კიდევ ბავშვობიდან ვერ ეგუებოდა საბჭოურ რეჟიმს, მის ყალბ იდეებსა და ქმედებებს, თუმცა დანაშაულის ნიშნები არასდროს იკვეთებოდა მისი ცხოვრების წესში.

მღვდელმონაზონ თეოდორეს ბრალად წაუყენეს ე.წ. „თვითმფრინავის ბიჭების“ საქმეში მონაწილეობა. 1983 წლის 18 ნოემბერს შვიდმა ქართველმა შეიარაღებულმა ახალგაზრდამ: გეგა კობახიძემ, დავით მიქაბერიძემ, სოსო წერეთელმა, კახა ივერიელმა, პაატა ივერიელმა, გია ტაბიძემ და თინა ფეტვიაშვილმა, თბილისის აეროპორტიდან სცადეს გაეტაცათ თვითმფრინავი, რომელსაც უნდა შეესრულებინა რეისი თბილისი-ბათუმი. ახალგაზრდების მიზანი იყო, რომ ამ თვითმფრინავის საშუალებით დაეტოვებინათ საბჭოთა კავშირი და გადასულიყვნენ თურქეთში, ანუ საბჭოთა კავშირის შემდეგ არსებულ უახლოეს ქვეყანაში, საიდანაც

თავისუფლად შეძლებდნენ ამერიკ-ის შეერთებულ შტატებში წასვლას. მიზეზი გახლდათ პროტესტი იმჟამად არსებული რეჟიმისადმი...

გატაცების ფაქტსა და მის თანმ-დევ ტრაგიკულ მოვლენებში არსად ფიგურირებს მღვდელმონაზონი თეო-დორე. მისი არავითარი კვალი არ იკვეთება, თვითმფრინავში ყოფნაზე ხომ საერთოდ ზედმეტია საუბარი.

საბჭოთა ხელმძღვანელობა ცდი-ლობდა, რომ საერთაშორისო არე-ნაზე აეცილებინა მომხდარით გამო-წვეული სირცხვილი და დაეფარა რეალობა, რომლის მიხედვითაც, შვი-დმა ახალგაზრდამ, არსებული წყო-ბილების წინააღმდეგ პროტესტი ამ-გვარი უკიდურესი ფორმით გამო-ხატა. ამისათვის საჭირო იყო ისე-თი პირის მოძებნა, ვისაც დაჰბრა-ლდებოდა მომხდარის ორგანიზე-ბა და ახალგაზრდების მიზანმიმარ-თულად შეცდომაში შეყვანა. ასეთ პირს საბჭოთა ხელმძღვანელობა თვითმფრინავის გატაცების მცდე-ლობის დღიდანვე ეძებდა, თუმცა მხოლოდ 1984 წლის 2 თებერვალს იპოვეს და დააკავეს პირი, რომელ-საც დაჰბრალდა დანაშაულის იდეუ-რი და ფაქტობრივი მომზადება. სწო-რედ ეს აღმოჩნდა მღვდელ-მონაზონი თეოდორე, რომელიც დააპატიმრეს თავის სახლში, თბილისში, წითე-ლი პარტიზანების ქ. N 19. ბინა 3-ში.

მამა თეოდორეს დაკავების შემდეგ თვითმფრინავის გატაცების მცდე-ლობის საქმეს ეწოდა „საქმე N 201 ჩიხლაძე თ. ვ. და სხვები“. მეტად უცნაურია საქმის სათაურში მხო-ლოდ მამა თეოდორეს გვარის გამო-ყოფა და დანარჩენების ზოგადი სა-ხით, „სხვებად“ მოხსენიება, იმ ფო-ნზე, რომ მამა თეოდორე, დანაშა-ულის ჩადენისას საერთოდ არ ფიგუ-რირებდა. მაგრამ გასაგებია საბჭო-თა მთავრობის განზრახვა, რომ და-ნაშაულის ორგანიზება და ახალგაზ-რდების მომზადება დაჰბრალებოდა სასულიერო პირს, ეკლესიის წარმო-მადგენელს. საქმის ამგვარად შეთხ-ზვა ორმაგად მომგებიანი გახლდათ იმჟამინდელი ხელისუფლებისათვის:

1. ასაკით უფროსმა პირმა წააქეზა ახალგაზრდები და რეალურად ისინი არ იყვნენ უკმაყოფილონი არსებუ-ლი წყობილების მიმართ;

2. წამქეზებელი და ორგანიზატო-რი იყო მღვდელი, რითაც მთავრობას ეძლეოდა მორიგი დიდი შესაძლე-ბლობა, მოეხდინა ეკლესიის დისკრ-ედიტაცია და საეკლესიო პირი წარ-მოეჩინა ახალგაზრდების გზიდან ამცდენად.

სასამართლოს განაჩენში ვკითხუ-ლობთ: „სამართალში მიცემული თეი-მურაზ ვლადიმერის ძე ჩიხლაძემ მართლმადიდებლური ეკლესიის ყო-ფილმა მსახურმა (იგი არ იყო ყო-

ფილი მღვდელმსახური. შენ. ავტ.), რომელსაც მოუწესრიგებელი ჰქონდა პირადი ოჯახური ცხოვრება, იმყოფებოდა რელიგიური ბანდისა და საზღვარგარეთის ანტისაბჭოთა რადიოსადგურების გადაცემების გავლენის ქვეშ, 1979 წლიდან განიზრახა არაკანონიერი გზით წასულიყო საბჭოთა კავშირიდან პირთა ჯგუფთან ერთად და ამ მიზნით შეუდგა თანამზრახველთა ძებნას.

ასეთი პირების შერჩევისა და მათზე ზემოქმედებისთვის ის იყენებდა ასევე ეკლესიასაც. სწორედ აქ დაამყარა თ. ვ. ჩიხლაძემ კავშირი იოსებ კონსტანტინეს ძე წერეთელთან და დავით რაჟდენის ძე მიქაბერიძესთან, რომლებიც თავად იყვნენ დასავლეთში ცხოვრების პირობების თაყვანისმცემლები. დადიოდნენ სიონის ეკლესიაში, ხვდებოდნენ თ. ვ. ჩიხლაძეს, თავდაპირველად როგორც ღვთისმსახურს. ამ უკანასკნელმა კი განაგრძო ი. კ. წერეთელზე და დ. რ. მიქაბერიძეზე ზემოქმედება რელიგიურ შეხედულებათა და ანტისაბჭოთა განწყობილების, რწმენის გაღრმავება...

თ.ვ. ჩიხლაძემ, 1981 წლისთვის ნება დართო, ჯგუფში გაერთიანებულიყვნენ, ჯერ კობახიძე გერმანე მიხეილის ძე (ზაფხულში), ხოლო მოგვიანებით (შემოდგომაზე) - კახა ვაჟას ძე ივერიელი; შემდეგში კი პაატა ვაჟას ძე ივერიელი, ფეტვიაშვილი თინათინ ვლადიმერის ასული, გრიგოლ თეიმურაზის ძე ტაბიძე.

თ.ვ. ჩიხლაძის ჯგუფმა მყარი ბანდიტური ორგანიზაციის სახე მიიღო, თავისი დამახასიათებელი ყველა (მათ შორის შეიარაღებული) ნიშნით“ (იქვე: 18-19).

ამ ჩანაწერიდან ნათელია, თუ რა მიმართულებით მიჰყავდა საქმე ათეისტურ ხელისუფლებას, რომელიც დანაშაულში მონაწილე ახალგაზრდებზე ზემოქმედების მომხდენად და მათთან კავშირის დამამყარებლად ასახელებდა ეკლესიას. სწორედ ეს იყო უპირველესი მოტივი მამა თეოდორეს დაკავებისა, რათა ეკლესია წარმოჩენილიყო, როგორც დანაშაულებრივი ინსტიტუცია, რომელიც თითქოს მტერია სახელმწიფოსი და ხალხისა, ამზადებს და ორგანიზებას უწევს დანაშაულებრივ ჯგუფებს.

ერთ-ერთი დაკითხვისას მღვდელმონაზონმა თეოდორემ განაცხადა: „სახარებას გეფიცებით, ყველაფერს ჭეშმარიტებას მოგახსენებთ... საქმეში საბრალდებო დასკვნის თანახმად, ბრალი მედება მასში, რომ 1979 წელს გავიცანი დათო მიქაბერიძე და სოსო წერეთელი. მე სოსო წერეთელი გავიცანი 1978 წელს და იგი ასრულებდა კერძო დიაკვნის სამსახურს, ოფიციალურად იგი ასრულებდა ღვთისმსახურის მოვალეობას.

იყო მოწოდება, რომ საქართველოში აღდგენილიყო სამონასტრო ცხოვრება. ჩვენ გვქონდა ოფიციალურად დავალებული, შეგვედგინა მსურველთა სია, შესდგომოდა საეკლესიო სამსახურს, აღკვეცილიყო ბერად და მთელი ცხოვრება გაეტარებინა მონასტერში. ეს დავალება ჰქონდათ მიცემული სხვა პირებსაც. მე შევუდექი ამ დავალების შესრულებას, სოსო წერეთელთან ერთად... ჩვენ დავალებული გვქონდა საზღვარგარეთ მყოფი ქართული მამაკაცთა მონასტრების მონაწილეობის მიღებაში. ჭეშმარიტი ქრისტიანი არ უნდა ეკუთვნოდეს თავის თავს...

მე, სოსო წერეთელმა და თემურ თევზაძემ შევქმენით „ქრისტიანული მრწამსის შემსწავლელი საზოგადოება“ ჭეშმარიტების შეცნობისა და სახარების შესწავლის მიზნით. სოსო წერეთელი იყო ძალიან სათნო და ნიჭიერი, ერთგული თავისი სამშობლოსა და ხალხისა. ჩვენ დავიწყეთ სახარების შესწავლა თავიდან ბოლომდე. როდესაც მივადექით ერთერთ თავს, სახარება გვასწავლის, რომ „თუ გდევნიან, გაერიდეთ ამ ქალაქებსა და ხალხსო“ და თუ გდევნიან ჩვენი ქვეყნიდან, უნდა წახვიდე კაპიტალისტურ საზოგადოებაში. თუ კაპიტალისტურიდან გდევნიან, მაშინ უნდა წამოხვიდე სოციალისტურ საზოგადოებაში. სოსომ მითხრა, უნდა წავიდეთ აქედანო. მე ვუთხარი, თუ წავალთ, უნდა წავიდეთ იერუსალიმში, ხოლო მე მიწვეული ვიყავი იმ ქვეყანაში. მე ამ დროს ვიყავი ბერად აღკვეცილი...

ერთ-ერთი მთავარი იყო შეერთო ებრაელი ეროვნების ქალი და ამ გზით წასულიყო, ან ვინმე საზღვარგარეთელ ქალიშვილთან მოეწერა ხელი. მეც მინდოდა წასვლა, მაგრამ რელიგიური გზით. სოსოს ვურჩიე, რომ შეერთო ცოლი, რომლის საშვალებითაც წავიდოდა ჩვენგან. მე დავიწყე მუშაობა ჯიხეთის მონასტერში, გურიაში და ამასთან დაკავშირებით მე სოსო აღარ მინახია...

სოსო წერეთელმა, თემო თევზაძემ და დავით მიქაბერიძემ გამოთქვეს სურვილი, ერთად გვემოღვაწევა იერუსალიმის ეკლესიაში. საჭირო იყო, შეგვესწავლა სახარება. სახარების შესასწავლათ ვიკრიბებოდით ჩემთან სახლში ანდა ისინიც იკრიბებოდნენ სახლში...

თევზაძემ მოიყვანა კახა ივერიელი ჩემთან სახლში. აღმოჩნდა, რომ იგი იყო კეთილი ახალგაზრდა, პატრიოტი თავისი ქვეყნისა. ჩემთან საუბრის დროს შევიტყვე, რომ და საფუძვლიანად დამისაბუთა, უცხოეთიდან ჩამოსული ახალგაზრდები ძალიან უკმაყოფილონი იყვნენ საბჭოთა ხელისუფლებისადმი ეგრეთ წოდებული სოციალისტური სისტემისა. იქ

სწავლობდნენ კომუნისტი ლიდერის შვილები და მათ უთქვამთ, ჩვენს ქვეყანაში როდესაც დავბრუნდებით, მამაჩვენებს მოვკლავთ, კომუნისტური გზით რომ აპირებენ ცხოვრების წაყვანას ხალხშიო. ზანგებს უთქვამთ, სიტყვა „რასიზმი“ რა არის, აქ გავიგეთ, ჩვენთან შედარებით მონები ხართო. მე ვუპასუხე, რა სამწუხაროა-მეთქი. ჩვენ მივედით იმ დასკვნამდე, რომ წავსულიყავით „პირუტყვული“ ქვეყნიდან საზღვარგარეთ, „თავისუფალ სამყაროში“. კახა ივერიელმა თქვა, ღმერთი არ მწამსო. მე ვუთხარი კახას, რომ შეესწავლა სახარება და მოიპოვებდა სულის სიმშვიდეს, იქ ყველა კითხვაზე ნახავდა პასუხს. მე დავუწყე მას სახარების ანბანის სწავლა. კახას შევხვდი ჩემთან სახლში ათჯერ. ჩვენ გვქონდა რელიგიაზე საუბარი. გამოითქვა აზრი, დასავლეთში იყო თავისუფლება. ითქვა, რომ ლუმუმბას სახელობის ინსტიტუტში იყო საშუალება უცხოელ სტუდენტებთან დაკავშირებით და აქვე მითხრა, რომ იქ სწავლობს ჩემი ძმა, პაატა ივერიელი.

რამდენიმე თვის შემდეგ შევხვდი ჩემთან სახლში პაატა ივერიელს... მე დავინტერესდი მისი პოლიტიკური მრწამსით. იგი რელიგიის მიმართ იყო მწყრალად და არ იყო რელიგიის მიმდევარი. გადავწყვიტე, მისთვის მექადაგა რელიგია, რომ გამხდარიყო ღვთის შვილი...

მე წინააღმდეგი ვიყავი, გერმანე კობახიძეს ურთიერთობა რომ ქონოდა ჩვენთან. მე ვიცნობდი მას ქართული ფილმიდან „ლაზარე“, მაგრამ იგი ძალიან პატარა მეგონა... სულ შევხვედრივარ ოთხი - ხუთჯერ.

თინათინ ფეტვიაშვილს შევხვდი სამჯერ, მასთან რაიმე საუბარი არ მქონია“ (იქვე: 19-21).

მამა თეოდორეს მიერ მიცემული ჩვენება არანაირად არ შეიცავს დანაშაულის რაიმე ელემენტსაც კი. იგი, როგორც ქრისტეს მსახური და მართლმადიდებელი სასულიერო პირი ინტერესდებოდა ახალგაზრდების აღმსარებლობით და ცდილობდა, რომ მათთვის შეემეცნებინა სახარებისეული სიბრძნე და სწავლებანი.

მღვდელმონაზონი თეოდორე აღნიშნავდა, რომ მან მხოლოდ ლეგალურად ურჩია ახალგაზრდებს საბჭოთა კავშირის დატოვება: ან რელიგიური გზით, ან დაქორწინებით უცხოელ გოგონაზე. დაკავებულმა სასულიერო პირმა დაკითხვისას განაცხადა: „მე არავისთვის მირჩევია თვითმფრინავის გატაცება, ხალხის მოკვლა, შეიარაღებული თავდასხმა და ასე შემდეგ... მე რომ გამეგო, მათ იარაღი ჰქონდათ, მე აუცილებლად ჩამოვართმევდი და ალბათ, სადმე მიწაში ჩავმარხავდი... როდესაც

მე სოხუმში ვიმყოფებოდი, მაშინ მოხდა მათ მიერ თვითმფრინავის გატაცების მცდელობა... მე ქორწილში დამპატიჟეს, მაგრამ ვერ ჩამოვედი. ამ დროს ვიყავი სოხუმში, მე შემოვუთვალე მათ, რომ ჩემი სახელით მისულიყვნენ სიონში და ჯვარს დასწერდნენ. მათი გასვლის შესახებ მე არაფერი ვიცოდი...“ (დეისაძე-შარვაშიძე, 2019: 113).

დაკითხვის ეს ნაწილიც კი აღსავსეა მართლმადიდებელი მღვდლის მოვალეობის პირნათლად აღსრულების მოტივითა და სათანადო ქმედებებით. ბუნებრივია, ახალგაზრდებისათვის იარაღის აღმოჩენის შემთხვევაში, მამა თეოდორე, როგორც სულიერი მოძღვარი, ვერ გათქვამდა ამ ფაქტს, რამეთუ ეს პირდაპირ აღსარების გაცემის ტოლფასი იქნებოდა, რაც შებღალავდა მისი, როგორც მღვდლის ხარისხის მქონე პიროვნების სიწმინდესა და ღირსებას.

დაკითხვისას მღვდელმონაზონმა თეოდორემ აღნიშნა: „უთანხმოება მოხდა ჩვენს შორის, ჩემზე დაიწყეს საუბარი გიჟიაო, მათ დაიწყეს სმა, მორწმუნე შვილს მორფინისტი გვირჩევნიაო, არ იარო ეკლესიაში და ასე შემდეგ...“ (პაიჭაძე, 2013: 23).

თვითმფრინავის გატაცებამდე არც თუ ცოტა ხნით ადრე, ახალგაზრდებმა გაწყვიტეს კავშირი მამა თეოდორესთან, ვინაიდან მოძღვარი მათ მოუწოდებდა ქრისტიანული მცნებებით ცხოვრებისა და კანონის ფარგლებში მოქმედებისაკენ. სასულიერო პირსა და ახალგაზრდებს შორის კავშირის გაწყვეტის შესახებ, თვით სასამართლომაც კი ჩაწერა განაჩენში: „1983 წლის ნოემბრის დასაწყისიდან 18 ნოემბრამდე (თვითმფრინავზე თავდასხმის შემდეგ) ბანდიტური ჯგუფის წევრები ღებულობენ ცალმხრივ გადაწყვეტილებას და რამდენიმე თავყრილობას აწყობენ თ. ვ. ჩიხლაძის მონაწილეობის გარეშე...

...ბანდიტური ჯგუფის წევრებმა თავისი ინიციატივით მიიღეს ზემოხსენებული გადაწყვეტილება იმ მოტივებით, რომ ამ პერიოდისათვის რაღაც საყოფაცხოვრებო საკითხებთან დაკავშირებით განაწყენდნენ ჩიხლაძეზე და, გარდა ამისა, აღარ უნდოდათ ყოფილიყვნენ ჩიხლაძის გავლენის ქვეშ, საზღვარგარეთ გასვლის შემდეგაც მათ სურდათ დამოუკიდებლად ეცხოვრათ...

1983 წლის 15 და 16 ნოემბერს, დაბა წყნეთში, დ. რ. მიქაბერიძის მშობლების აგარაკზე იკრიბებიან ბანდის წევრები: ი. კ. წერეთელი, დ. რ. მიქაბერიძე, კ. ვ. ივერიელი, პ. ვ. ივერიელი, გ. თ. ტაბიძე, გ. მ. კობახიძე, სადაც ბანდიტური ჯგუფის ხელმძღვანელის როლი თავის თავზე აიღო კ. ვ. ივერიელმა“ (იქვე: 24).

სრულიად ნათელი იყო, თვით სასამართლომაც კი უწყოდა და დაადასტურა, რომ მღვდელმონაზონ თეოდორეს არავითარი ორგანიზება გაუწევია თვითმფრინავის გატაცებისათვის და მას არ მოუმზადებია ეს საქმე.

მამა თეოდორემ სასამართლოს განუცხადა, რომ მას თავისმა რელიგიურმა მრწამსმა უკარნახა, რომ მოყვასისათვის თავი გაეწირა და ყველას დანაშაული აეღო საკუთარ თავზე... თვით საბჭოთა სასამართლომაც კი დაადასტურა თავის განაჩენში, რომ მამა თეოდორე აღიარებით ჩვენებებს აძლევდა, რათა შეემსუბუქებინა დამნაშავეების მდგომარეობა, ანუ სასამართლოსთვისაც კი ცხადი იყო, რომ სასულიერო პირი თავგანწირვის გზას დაადგა და მოყვასის გადასარჩენად მზად იყო, სიცოცხლე დაეთმო და გაეწირა.

მღვდელმონაზონმა თეოდორემ უკანასკნელი სიტყვით მიმართა სასამართლოს: „უფალო, მომეცი ძალა, ვილაპარაკო სიმართლე... სიტყვითა შენითა და არა სიტყვითა ჩემითა და თუ ღირსი ვარ, დამიცავი... უპირველეს ყოვლისა, მინდა გითხრათ, რომ მე, როგორც მსჯავრდებული, აქ არ უნდა ვიყო, არცერთ ქვეყანაში უდანაშაულო ადამიანს არ სჯიან, მით უფრო - არ ხვრეტენ. თქვენ იცით, რომ მე ღვთისმსახური ვარ და სწორედ ამის გამო მასამართლებთ... ვიცი, რომ აქ დამსწრე საზოგადოების ოთხმოც პროცენტს ვეზიზღები, როგორც მღვდელი და ჩემს ჩვენებას სიგიჟედ მიიჩნევს... მე არაფერს ვთხოულობ, თავს დამნაშავედ არ ვგრძნობ... სასამართლო ბრალად ბანდის ხელმძღვანელობას მდებს... დიახ, მე ვიყავი ჯგუფის ხელმძღვანელი, რომელსაც თეოლოგიას ვასწავლიდი, მაგრამ ბანდის ორგანიზატორი არასოდეს ვყოფილვარ... აქ მყოფ ბრალდადებულებთან მქონდა მხოლოდ სარწმუნოებრივი კავშირი, ისეთი, როგორიც ერთ მორწმუნეს მეორის მიმართ აქვს. მე კარგად ვიცნობ ამ ახალგაზრდებს, თითოეული მათგანი ნიჭიერი და ღრმად განათლებულია. თავადაც დამიდასტურებენ, რომ ყოველთვის ჭეშმარიტებისა და პატიოსნებისკენ მოვუწოდებდი მათ...

ხალხო! გულებში ჩაიხედეთ, თქვენსავე გულებში მაინც თქვით, რომ ისეთი არაფერი ჩამიდენია, დახვრეტის მუხლი დავიმსახურო. მე სახარებით ვცდილობდი მორწმუნეთა და ურწმუნოთა შემოერთებას... თავს დამნაშავედ არაფერში ვცნობ... თუ თქვენ სიცოცხლეს შემინარჩუნებთ, სახლში მაქვს ერთი ძველი ქართული რუკა, სადაც აღნიშნულია საქართველოს ყველა ტაძარი და მონასტერი... სადაც ხელს დამიდებთ, მთლად გადაკარგულ მთე-

ბშიც რომ იყოს, წავალ და იქ განვლევ ჩემს გატანჯულ ცხოვრებას... და თუ მაინც მომკლავთ და ამ ხალხს ჩემი სიკვდილით რამე ეშველება, მზად ვარ, სიამოვნებით მივიღო თქვენი განაჩენი... ოთხ კაცს რატომ ხვრეტთ, მე დამხვრიტეთ, მე არაფერში გამოგადგებით, ამათ კი სიცოცხლე შეუნარჩუნეთ, ამათ მაინც გამოიყენებთ... ეს კია, რომ ჩვენი საქმე დიდად გახმაურდა და ასე ადვილად ჩემი მოკვლა კარგს არაფერს მოგიტანთ...“ (იქვე: 27-29).

ეს უკანასკნელი სიტყვა სასამართლოზე ჩაიწერა მამა თეოდორეს დედამ, რის გამო მას დარბაზი დაატოვებინეს და სწორედ ამიტომ, სიტყვა მხოლოდ სანახევროდ არის ჩაწერილი.

1984 წლის 13 აგვისტოს უსამართლოდ დადანაშაულებულ მღვდელმონაზონ თეოდორეს სასჯელის უმაღლესი ზომა - დახვრეტა მიუსაჯეს.

„ჩიხლაძე თეიმურაზ ვლადიმერის ძე ცნობილი იქნას დამნაშავედ საქართველოს სსრ სსკ 78 და 242 -2 მუხლის მესამე ნაწილით, 19 და 84 მუხლის პირველი ნაწილით: საქ. სსრ სსკ 78 მუხლით მიესაჯოს სასჯელის უმაღლესი ზომა - დახვრეტა პირადი ქონების კონფისკაციით. საქ. სსრ სსკ 19 და 84 მუხლის პირველი ნაწილით მიესაჯოს თავისუფლების აღკვეთა 3 (სამი) წლით. საქ. სსრ. სსკ 40 მუხლის საფუძველზე, უფრო მკაცრმა სასჯელმა შთანთქას ნაკლებად მკაცრი სასჯელი და საბოლოოდ შეფარდებული დარჩეს სასჯელის უმაღლესი ზომა - დახვრეტა, პირადი ქონების კონფისკაციით“ (იქვე: 27).

ცოცხლად გადარჩენილი გამტაცებლებიდან მხოლოდ ერთს - თინა ფეტვიაშვილს მიესაჯა თავისუფლების აღკვეთა თოთხმეტი წლის ვადით, ხოლო დანარჩენებს, სასჯელის უმაღლესი ზომა - დახვრეტა.

სასამართლოს მიერ განაჩენის გამოტანიდან მეორე დღესვე, 1984 წლის 14 აგვისტოს, უწმინდესმა და უნეტარესმა სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა ილია მეორემ წერილი გაუგზავნა საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარეს, პავლე გილაშვილს:

„დიდად პატივცემულო პავლე გიორგის ძევ, საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის წმინდა სინოდისა და პირადად ჩემი სახელით მოგმართავთ მოკრძალებული თხოვნით, თქვენ და პრეზიდიუმის წევრებს, შეიწყალოთ და შეუცვალოთ სასჯელი, სიცოცხლის შენარჩუნებით, დამნაშავეთ, რომელნიც დაკავშირებულნი არიან თვითმფრინავის გატაცების მცდელობასთან“ (კაცაძე, ნაწ. 1, 2016: 352), - ნათქვამია კა-

თოლიკოს - პატრიარქის წერილში. სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა ილია მეორემ თავისი თხოვნა თვითმფრინავის გატაცების მცდელობის საქმეზე გასამართლებული პირების შეწყალების (მათი სიცოცხლის შენარჩუნებით) შესახებ უცვლელად დატოვა ძალაში.

1984 წლის 17 აგვისტოს მსჯავრდებულებს პირადად ჩაჰბარდათ მათ წინააღმდეგ გამოტანილი განაჩენის ასლები და განემარტათ, რომ კანონის შესაბამისად გააჩნდათ უფლება, შვიდი დღის ვადაში აღეძრათ შუამდგომლობა შეწყალების შესახებ, საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის წინაშე.

1984 წლის 22 აგვისტოს მღვდელმონაზონმა თეოდორემ (თეიმურაზ ჩიხლაძე), კახა და პაატა ივერიელებმა დაწერეს შეწყალების შესახებ შუამდგომლობები, რომლებიც ამავე დღეს გადაეგზავნა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმს.

1984 წლის 21 აგვისტოს რესპუბლიკის პროკურატურამ (რესპუბლიკის პროკურორის, ანზორ ბარაბაძის ხელმოწერით) და უმაღლესმა სასამართლომ (უმაღლესი სასამართლოს თავმჯდომარის, აკაკი კარანაძის ხელმოწერით) პრეზიდიუმს წარუდგინეს დასკვნები, რომ გამოტანილი განაჩენი კანონიერი იყო და შეწყალების საფუძველი არ არსებობდა.

1984 წლის 20 აგვისტოს საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმმა ამ საქმის შესახებ სათანადო დასკვნა გამოითხოვა სუკიდანაც. კანონით არ იყო გათვალისწინებული ამგვარი დასკვნის გაცემა, თუმცა სუკის თავმჯდომარემ, ალექსი ინაურმა თავის უფლებამოსილებაზე გადაჭარბებით, მეორე დღეს, 21 აგვისტოს, მხოლოდ ერთწინადადებიანი წერილი გაუგზავნა პრეზიდიუმს, რომ სუკი წინააღმდეგი იყო მსჯავრდებულთა შეწყალებისა.

მეტად საგულისხმო გარემოებაა, რომ რესპუბლიკის პროკურატურამ, უმაღლესმა სასამართლომ და სუკმა მანამდე წარუდგინეს დასკვნები უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმს, სანამ თავად მსჯავრდებულები დაწერდნენ შუამდგომლობებს შეწყალების შესახებ.

1984 წლის 23 აგვისტოს საქართველოს ტელევიზიის ეთერში გავიდა გადაცემა „ბანდიტები“, თვითმფრინავის გამტაცებელთა შესახებ, ხოლო მეორე დღეს, 1984 წლის 24 აგვისტოს გაიმართა საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის სხდომა, რომელმაც განიხილა მსჯავრდებულთა შეწყალების საკითხი. ამ სხდომის ჩასატარებლად, შვებულებიდან საგანგებოდ გამოიძახეს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პავლე გილაშვილი.

პრეზიდიუმის სხდომამდე გაიმართა პატიების საკითხთა კომისიის სხდომა, სადაც ერთხმად უარყვეს მსჯავრდებულთა თხოვნა, რომელიც, არსებითად არც განხილულა. სხდომას, რომელსაც თავმჯდომარეობდა პავლე გილაშვილი, აგრეთვე ესწრებოდნენ წევრები: ვიქტორია სირაძე, თამარ ლაშქარაშვილი, ანზორ ბარაბაძე, აკაკი კარანაძე, გურამ გვეტაძე, ვლადიმერ კაზმინი, ზურაბ რატიანი.

პატიების საკითხთა კომისიის სხდომის დასრულების შემდეგ გაიმართა პრეზიდიუმის სხდომა, რომელსაც ზემოთ აღნიშნული პირების გარდა, აგრეთვე ესწრებოდნენ: ვალერიან კობახიძე, გივი აბზიანიძე, ავლიპ ზურაბაშვილი, ივლიანე თოდუა, თამარ კაბულოვა, ზინაიდა კვაჭაძე, მედეა მეზვრიშვილი, ბორის სარალიძე, ანატოლი სახაცკი, ოთარ პატიაშვილი.

სხდომაზე სიტყვით წარსდგა ივლიანე თოდუა: „აღშფოთებული ვარ იმ ფაქტით, რომ ბანდიტების შეწყალებაზე თხოვნას ხელი მოაწერეს რესპუბლიკის ინტელიგენციის ცნობილმა წარმომადგენლებმა, ვის გამოსვლებსაც ვუკრავდი ტაშს და ვისი კეთილდღეობისთვისაც საბჭოთა მთავრობას არაფერი არ დაუშურებია. პრეზიდიუმის სხდომაზე წასვლისას თვითმფრინავში სამოცდაათი მგზავრი მსჯელობდა გუშინდელ ტელეგადაცემაზე და ისინი მოწონებით შეხვდნენ ბანდიტებისათვის სასჯელის უმაღლესი ზომის შეფარდებას“ (იქვე: 4).

სიტყვით გამოვიდა აგრეთვე მედეა მეზვრიშვილი, რომელმაც განაცხადა: „ვიწონებ რესპუბლიკის უმაღლესი სასამართლოს გადაწყვეტილებას ბანდიტების მიმართ. ახლა მოვდივარ მასწავლებელთა კონფერენციიდან და იქ დამსწრე ცხრაასმა მასწავლებელმა გამომატანა თქვენთან თხოვნა განაჩენის ძალაში დატოვების შესახებ. საჭიროდ მიმაჩნია, ვინც ჯერ არს, შეამოწმოს, თუ რამდენად მიზანშეწონილია ამა თუ იმ პირის მღვდლად კურთხევა. მაგალითად, ჩვენს რაიონში ასეთად უწინ ნასამართლევი და არასაიმედო პიროვნება აკურთხეს. რელიგიის სამოსელში იქნებ ბევრია ჩიხლაძისთანა გახვეული და არავინ იცის, ხვალ ვის დააწევს უბედურებას. რესპუბლიკის ახალგაზრდობის დიდი ნაწილი ეკლესიაში დადის და ჯვრებიც ჰკიდიათ გულზე. დროა, ვინმემ სერიოზულად მიხედოს ამ საქმეს“ (იქვე: 4). ეკლესიისა და სასულიერო პირთა მიმართ თავისი ანტიპათია ვერ დაფარა მედეა მეზვრიშვილმა, რომელსაც, როგორც ჩანს, ძალიან აფიქრებდა ეკლესიისკენ ახალგაზრდობის მობრუნება...

აღსანიშნავია, რომ სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენის შემდეგ, საქართველოს რესპუბლიკის უზენაეს საბჭოში, დეპუტატ ვიქტორ დომუხოვსკის თაოსნობით შეიქმნა ე.წ. „თვითმფრინავის ბიჭების“ საქმის შემსწავლელი სადეპუტატო კომისია, რომელმაც დაადგინა მრავალი გარემოება და მათ შორის: ივლიანე თოდუას მიერ ნათქვამი, რომ მან იმგზავრა თვითმფრინავით, სადაც სამოცდაათი მგზავრი მსჯელობდა წინა დღით გასული გადაცემის შესახებ, არ შეესაბამება რეალობას, რადგან თვითმფრინავში (იაკ-40), რომლითაც იგი მგზავრობდა, მხოლოდ ორმოც ადამიანამდე ეტევა; აგრეთვე, მედეა მეზვრიშვილის მიერ წარმოთქმული, რომ ცხრაასმა მასწავლებელმა გამოატანა თხოვნა პრეზიდიუმის წინაშე, ასევე არ შეესაბამება რეალობას, რადგან დარბაზში, სადაც ჩატარდა ხსენებული კონფერენცია, ორას ადამიანზე მეტი არ ეტევა. ესეც მორიგი დადასტურებაა სიყალბეზე აგებული საბჭოური სისასტიკის და ცილისმწამებლობისა...

პრეზიდიუმის სხდომაზე სიტყვით გამოვიდა ზინაიდა კვაჭაძე: „ვიწონებ სასამართლოს განაჩენს. მინდა შევეხო იმ კოლექტივებს, სადაც ბანდიტები მუშაობდნენ. ჩვენ აქ განვიხილეთ ინტელიგენციის წარმომადგენელთა წერილი მათი პატიების თაობაზე. ისინი მართალნი არ არიან. აღნიშნავენ მხოლოდ გამამართლებელ მოტივებს და მათ ბანდიტურ ქმედობაზე არაფერს არ ამბობენ. ეს არ არის ობიექტური შეფასება. როდესაც მშობელი წერს ასე, მას ეპატიება, მაგრამ ინტელიგენციას სწორი განსჯის უნარი უნდა ჰქონდეს. თბილისის პარტიის საქალაქო კომიტეტმა განიხილა ეს ინციდენტი და ვთვლი, სხვა კოლექტივებმა, მაღალ დონეზე უნდა იმსჯელონ ამ საკითხზე“ (იქვე: 4).

მსჯავრდებულთა შეწყალების შესახებ შედგა სათანადო თხოვნის წერილი, რომელსაც ხელი მოაწერეს ინტელიგენციის წარმომადგენლებმა, სხვადასხვა სფეროდან, თუმცა, ხელისუფლებამ მათზე მოახდინა ზეწოლა და მრავალმა მათგანმა დაშინებისა და ტერორის ფონზე გააუქმა თავისი თხოვნითი წერილები და საპირისპირო ხასიათის წერილებიც კი დაწერეს.

1991 წლის იანვარში, გაზეთ „თავისუფალ საქართველოში“ დაიბეჭდა მარიკა აბაიშვილისა და თამარ ებრალიძის წერილი „არაფერია საიდუმლო, რომელიც არ გაცხადდება და საიდუმლო, რომელიც არ შეიტყობა“. წერილი ეძღვნება ე.წ. „თვითმფრინავის ბიჭების“ საქმეს. სტატიაში გამოკვეთილია ამ საქმეში

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცკ-ს პირველი მდივნის ედუარდ შევარდნაძის მკვეთრად უარყოფითი როლი.

1984 წლის 11 სექტემბერს მსჯავრდებულმა შეწყალების თხოვნა დაწერეს სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისადმი, თუმცა ოთხი დღით ადრე, 1984 წლის 7 სექტემბერს, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის მოადგილემ, ვიქტორია სირაძემ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმს გაუგზავნა წერილი: „მოგახსენებთ, რომ განვიხილეთ დახვრეტამისჯილ პატიმართა თხოვნა შეწყალების შუამდგომლობაზე. საქართველოს სსრ უმაღლესმა საბჭომ მიიღო ექვსი ათასზე მეტი კოლექტიური და ინდივიდუალური წერილი და ტელეგრამები... მოითხოვენ მსჯავრდებულთა მკაცრად დასჯას და გამოტანილ სასჯელს უცხადებენ სოლიდარობას. ეს მომართვები დაწერილია მშრომელი კოლექტივების, მოწინავე მუშების, მოსამსახურეების, კოლმეურნეების და შემოქმედი მეცნიერი ინტელიგენციის მიერ. ამასთან ერთად იყო კოლექტიური წერილები მსჯავრდებულთა მშობლების თხოვნით, ხელმოწერილი რესპუბლიკის მეცნიერებისა და მოღვაწეთა ჯგუფის მიერ, რომლებიც თანხმობას გამოხატავენ განაჩენზე, მაგრამ შუამდგომლობენ შეწყალებაზე, თუმცა ყველა წერილზე ხელმომწერმა მიმართა უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმს განცხადებით, რომ სწორი ინფორმაციის მიღების შემდეგ შეიცვალეს აზრი და უარყოფენ შუამდგომლობას და ითხოვენ განაჩენის ძალაში დატოვებას“ (იქვე: 4).

სამწუხაროდ, საბჭოთა ხელისუფლებამ არ შეისმინა კათოლიკოს-პატრიარქისა და წმინდა სინოდის თხოვნა და არც იმ მცირერიცხოვანი ადამიანებისა, რომლებმაც, მიუხედავად ტერორისა და დაშინებისა, არ უარყვეს თავიანთი შუამდგომლობა, მსჯავრდებულთა შეწყალების თაობაზე... ოფიციალური ცნობით, 1984 წლის 3 ოქტომბერს, თექვსმეტ საათსა და ოცდაათ წუთზე, მამა თეოდორე დახვრიტეს.

მღვდელ-მონაზონი თეოდორე (ჩიხლაძე) გახლავთ უკანასკნელი დახვრეტილი ქართველი სასულიერო პირი, რომლითაც დასრულდა ის სიკვდილის ქრონიკები, რასაც ათეისტური წყობილება გასაბჭოებიდანვე უმოწყალოდ აწარმოებდა საქართველოს სამოციქულო მართლმადიდებელი ეკლესიის სასულიერო პირთა წინააღმდეგ. მრავალი მაღალიერარქი თუ მღვდელმსახური შეეწირა საბჭოეთის ვერაგულ პოლიტიკას, რომელმაც მეოცე საუკუნის

ოთხმოციანი წლების მეორე ნახევრის დამდეგსაც კი გამოაჩინა თავისი სისასტიკე და კვლავ, ცილისმწამებლური და არარეალური ბრალდებით, ამქვეყნიურ სიცოცხლეს გამოასალმა კიდევ ერთი სასულიერო პირი - მამა თეოდორე.

მღვდელმონაზონ თეოდორეს მიმართ საბჭოეთის სისხლიანმა რეჟიმმა აღასრულა ის ჩანაფიქრი, რაც თავდაპირველად, საქმის წარმოების ჩანასახშივე განიზრახა... გამოტანილი განაჩენი იმდენად უსუსურად უარგუმენტოა და მეტიც, თავადვე ადასტურებს მამა თეოდორეს უდანაშაულობასა და თავგანწირვას მოყვასისადმი, რომ ვერავითარ კრიტიკას ვერ უძლებს და იგი წარმოადგენს ერთ-ერთ საუკეთესო ნიმუშს კომუნისტური მმართველობის სიყალბის, ცილისმწამებლობის, კაცთმოძულეობის და, ზოგადად, დანაშაულებრიობისა.

სასამართლო პროცესი მხოლოდ ციინიზმით აღსავსე ფორმალობა იყო და არავითარი რეალური განხილვა არ მომხდარა არსებული საქმისა. განაჩენი თავიდანვე გამოტანილი იყო, 1984 წლის 13 აგვისტოს კი მხოლოდ გააჟღერეს და სხვა არაფერი. არც ის არის გამორიცხული, რომ მამა თეოდორე იმაზე გაცილებით ადრე დახვრიტეს, ვიდრე დოკუმენტურად დაფიქსირებული რიცხვი მიუთითებს, თუმცა, ის ნამდვილად 1984 წელს აღესრულა მოწამებრივად.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. დეისაძე-შარვაშიძე, 2019: ლაშა დეისაძე-შარვაშიძე, „საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესია და თანამედროვე გამოწვევები (XX საუკუნის 80-იანი წლებიდან დღემდე“)“ (სადოქტორო დისერტაცია), თბილისი, 2019 წ.
2. კაცაძე, ნაწ. 1, 2016: მზია კაცაძე, „ილია II, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი; პირადი წერილები, ჩანაწერები, ფოტოები“, ნაწ. I, თბილისი, 2016 წ;
3. პაიჭაძე, 2013: დეკანოზი კონსტანტინე პაიჭაძე, „საქმე N 201 ჩიხლაძე თ. ვ. და სხვები“, თბილისი, 2013 წ.
4. გაზ. „თავისუფალი საქართველო“, იანვარი, 1991: მარიკა აბაიშვილი, თამარ ებრალიძე, „არაფერია საიდუმლო, რომელიც არ გაცხადდება და საიდუმლო, რომელიც არ შეიტყობა“, გაზ. „თავისუფალი საქართველო“, 1991 წ; იანვარი.

ხალხო! გულებში ჩაიხედეთ, თქვენსავე გულებში მაინც თქვით, რომ ისეთი არაფერი ჩამიდენია, დაჰვრეტის მუხლი დავიმსახურო. მე სახარებით ვცდილობდი მორწმუნეთა და ურწმუნოთა შემოერთებას... თავს დამნაშავედ არაფერში ვცნობ... თუ თქვენ სიცოცხლეს შემინარჩუნებთ, სახლში მაქვს ერთი ძველი ქართული რუკა, სადაც აღნიშნულია საქართველოს ყველა ტაძარი და მონასტერი... სადაც ხელს დამიდებთ, მთლად გადაკარგულ მთებშიც რომ იყოს, წავალ და იქ განვლევ ჩემს გატანჯულ ცხოვრებას... და თუ მაინც მომკლავთ და ამ ხალხს ჩემი სიკვდილით რამე ეშველება, მზად ვარ, სიამოვნებით მივიღო თქვენი განაჩენი... ოთხ კაცს რატომ ხვრეტთ, მე დამხვრიტეთ, მე არაფერში გამოგადგებით, ამათ კი სიცოცხლე შეუნარჩუნეთ.

მღვდელმონოზონი თეოდორე ჩიხლაძე

კონსტანტინოპოლის - ახალი რომის მთავარეპისკოპოსის და მსოფლიო პატრიარქი ბართლომეოსის სამშვიდობო პოლიტიკა

გიორგი ფარეშიშვილი

პოლიტიკის მეცნიერებათა დოქტორანტი;

გიორგი მხეიძე

პოლიტიკის მეცნიერებათა დოქტორანტი

21-ე საუკუნის საერთაშორისო პოლიტიკაში ერთ-ერთ მნიშვნელოვან გამოწვევას წარმოადგენს ლიდერი პოლიტიკოსების საკითხი, რომლებსაც მაღალი დონის პოლიტიკური კლასი და ნდობა უნდა ჰქონდეთ საერთაშორისო დონეზე. ამ თვალსაზრისით მნიშვნელოვანი კრიზისია პოლიტიკურ არენაზე. ამგვარი რეალობიდან გამომდინარე, საკუთარი ღვაწლისა და ავტორიტეტის გათვალისწინებით, უდიდესი ფუნქცია აქვს კონსტანტინოპოლის მართლმადიდებელი ეკლესიის წინამძღვარს, ბართლომეოსს. მისი სამშვიდობო პოლიტიკა დიდ როლს თამაშობს გლობალური სტაბილურობის უზრუნველყოფაში. მსოფლიო პატრიარქის სამშვიდობო პოლიტიკა შეგვიძლია დავყოთ რამდენიმე კონკრეტულ მიმართულებად:

1. საერთაშორისო კონფლიქტების მოგვარება;
2. რელიგიათშორისი დიალოგის წარმოება;
3. გარემოს დაცვის პოლიტიკა;
4. სოციალური სამართლიანობის უზრუნველყოფა.

დღევანდელი საერთაშორისო პოლიტიკის განუყოფელ ნაწილად და ერთ-ერთ უმთავრეს პრობლემად რჩება სახელმწიფოებს შორის შეიარაღებული კონფლიქტები, დაპირისპირებები. ამგვარ მოცემულობაში დიდი მნიშვნელობა აქვს დიპლომატიას, მხარეებს შორის მოლაპარა-

კებებს. მსოფლიო პატრიარქი ბართლომეოსი ჯერ კიდევ 90-იან წლებში, იუგოსლავიის დაშლის შემდგომ გაღვივებულ კონფლიქტებში ცდილობდა, შუამავლის როლი შეესრულებინა სხვადასხვა ეთნიკურ და რელიგიურ ჯგუფებს შორის ბალკანეთის რეგიონში. ამასთან ერთად, ცნობილია, რომ დღეს საკმაოდ მძიმეა პოლიტიკური ურთიერთობა თურქეთსა და საბერძნეთს შორის. მას, როგორც კონსტანტინოპოლის პატრიარქს, არაერთი მცდელობა ჰქონდა დიალოგის ხელშეწყობისა დაპირისპირებულ მხარეებს შორის. გარდა ზემოხსენებული დაპირისპირების კერებისა, მსოფლიო პატრიარქი[1] დაძაბულობის განმუხტვას ცდილობდა სხვადასხვა რეგიონებში, მაგალითად: ახლო აღმოსავლეთში, უკრაინაში, სომხეთ-აზერბაიჯანში, საქართველოში, ტაჯიკეთში და სხვ. საყურადღებოა, რომ ბართლომეოსი არ იცავდა მხოლოდ ქრისტიანების ინტერესებს კონფლიქტურ ზონებში, იგი, ასევე, საკუთარი ყველა რესურსით მხარს უჭერდა მუსლიმებს, ებრაელებს, ბუდისტებს და სხვადასხვა რელიგიურ უმცირესობებს, ამის ნათელი გამოვლინება, შეგვიძლია, თურქეთის მაგალითზე გავიხსენოთ.

აღსანიშნავია მსოფლიო პატრიარქის ჩართულობა მართლმადიდებელი ეკლესიების შიდა საეკლესიო კონფლიქტებში. უკრაინის შიდა საეკლესიო კონფლიქტში ბართლომეოსმა[2] გადამწყვეტი ფუნქცია შეასრულა. უკრაინის მართლმადიდებელი ეკლესიისთვის ავტოკეფალიის მინიჭება განაპირობა უკრაინაში გრძელვადიანმა საეკლესიო განხეთქილებამ. 2019 წელს ყოვლადუწმინდესმა ბართლომეოსმა უკრაინის მართლმადიდებელი ეკლესიის მეთაურს, ეპიფანეს ოფიციალურად გადასცა უკრაინ-ის ეკლესიის ავტოკეფალიის შესახებ ტომოსი - საეკლესიო დოკუმენტი. ტომოსს საჯაროდ მოაწერა ხელი კონსტანტინოპოლის პატრიარქმა. გარდა წმინდა წყლის რელიგიური აქტისა, ამ გადაწყვეტილებას მსოფლიო პატრიარქის მხრიდან უდიდესი დატვირთვა ჰქონდა პოლიტიკური თვალსაზრისით, ვინაიდან წლების მანძილზე, სსრკ-ის დაშლის შემდგომ, უკრაინას არაერთი მცდელობა ჰქონდა, რომ მოსკოვისგან, მისი ეკლესიისგან დამოუკიდებლობა მოეპოვებინა. აღსანიშნავია ის ფაქტიც, რომ მას შემდეგ, რაც 2022 წელს რუსეთის ფედერაციამ სამხედრო ინტერვენცია განახორციელა უკრაინის ტერიტორიაზე, ყოვლადუწმინდესმა ბართლომეოსმა[3] საჯარო განცხადებით გააკრიტიკა რუსეთის ფედერაცია და რუსეთის მართლმადიდებელი ეკლესია უკრაინის ტერი-

ტორიაზე შეჭრის გამო. მსოფლიო პატრიარქმა, რუსეთის ეს ქმედება შეაფასა, როგორც დანაშაული და დასძინა, რომ ამგვარი რეალობა უდიდეს ტანჯვას იწვევს, როგორც უკრაინულ, ისე რუსულ საზოგადოებაში.

გარდა უკრაინული ეკლესიის შიდა კონფლიქტისა, კონსტანტინოპოლის საპატრიარქოს მეთაური აქტიურად იყო ჩართული მოლაპარაკებებში ჩრდილოეთ მაკედონიის მართლმადიდებელი ეკლესიის სტატუსთან დაკავშირებულ. 2022 წელს [4], კონსტანტინოპოლის საპატრიარქომ დაასრულა სქიზმა ჩრდილოეთ მაკედონიის ეკლესიასთან და მაკედონიის მართლმადიდებელი ეკლესია (ოჰრიდის მართლმადიდებლობა) ოფიციალურად აღიარა ჩრდილოთ მაკედონიის კანონიკურ იურისდიქციად. ეს არ ნიშნავს, რომ ჩრდილოეთ მაკედონიის ეკლესიამ მიიღო ავტოკეფალია, მაგრამ ამგვარი საეკლესიო ავტონომიის მინიჭება იზოლაციის შემდგომ უდიდეს წინ გადადგმულ ნაბიჯს წარმოადგენს ჩრდილოეთ მაკედონიის ეკლესიისთვის. ცნობილი ფაქტია, რომ მაკედონიის მართლმადიდებელი ეკლესია დაშორდა სერბეთის მართლმადიდებლურ ეკლესიას 1960-იან წლებში, თუმცა მის საეკლესიო დამოუკიდებლობას და ავტონომიურობას არავინ აღიარებდა მართლმადიდებლურ სამყაროში. ამგვარ მოცემულობას წერილი დაუსვა მსოფლიო საპატრიარქოს წმინდა სინოდმა, ბართლომე I-ის თავმჯდომარეობით. აღსანიშნავი ფაქტია, რომ მსოფლიო პატრიარქი ბართლომეოსი 90-იან წლებშიც აქტიურად მონაწილეობდა ესტონეთის მართლმადიდებელი ეკლესიის იურისდიქციასთან დაკავშირებული დავის მოგვარებაში. აქედან გამომდინარე, უკრაინისა და მაკედონიის საკითხი ახალი პრეცედენტი არ გახლავთ. მსოფლიო პატრიარქი ყოველთვის საკუთარ ფუნქციას ასრულებდა სხვადასხვა სახის შიდა საეკლესიო დავების მოგვარების პროცესში, რომლის არაერთი მაგალითი მოიძებნება.

მსოფლიო პატრიარქს არაერთ წერილსა თუ საჯარო გამოსვლაში გაუმახვილებია ყურადღება საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის საკითხზე, ოკუპირებული აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის პრობლემაზე. პერიოდულად აქტიურდება საუბარი მოსკოვის მხრიდან აფხაზეთის ავტოკეფალიის მინიჭების საკითხზე, რასთან დაკავშირებითაც მსოფლიო პატრიარქს მკაფიო პოზიცია აქვს. ამ თემასთან დაკავშირებით 2021 წელს[5] მან განაცხადა, რომ რუსეთს არა აქვს უფლება, ავტოკეფალია მიანიჭოს არც აფხაზეთს და

არც არავის. მსოფლიო პატრიარქის განცხადებით, ამის უფლება აქვს მხოლოდ და მხოლოდ ექსკლუზიურად კონსტანტინოპოლის ეკლესიას, რაც დადასტურებულია კანონიკურ დონეზე. ბართლომეოსს მიაჩნია, რომ ანტიკანონიკურია რუსეთის ეკლესიის ჩარევა აფხაზეთის და სამხრეთ ოსეთის ეკლესიების საკითხებში, ვინაიდან ისინი საქართველოს ეკლესიის იურისდიქციის შემადგენელი ნაწილებია. ყოვლადუწმინდესი მღვდელმთავრისთვის ყოვლად დაუშვებელია რუსეთის ეკლესიის ჩარევა საქართველოს შიდა საქმეებში და მას მიაჩნია, რომ რუსეთის ეკლესიამ ბოროტად გამოიყენა როგორც პოლიტიკური, ისე სამხედრო ინტერვენცია საქართველოს რეგიონებში. მეტად მნიშვნელოვანი და აღსანიშნავი ფაქტია, რომ 2022 წლის 23 ნოემბერს[6] კონსტანტინოპოლის მართლმადიდებელი ეკლესიის მეთაური, საქართველოს სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის საპატიო დოქტორი გახდა. 2022 წლის 18 ივლისს, სსუ-ს აკადემიუ-რი საბჭოს დადგენილებით „მსოფლიოში მშვიდობისა და ქრისტიანობის განმტკიცების, ეკოლოგიის, საეკლესიო სამართლის სამეცნიერო დარგების განვითარებაში შეტანილი განსაკუთრებული წვლილისთვის, რელიგიათა და ცივილიზაციათა დიალოგის მხარდაჭერის, ლტოლვილთა, დევნილთა და ომებით დაზარალებულთა თანადგომის, საქართველოს სუვერენიტეტისა და ტერიტორიული მთლიანობის, საქართველოს სამოციქულო, ავტოკეფალიური მართლმადიდებელი ეკლესიის მთლიანობისა და ერთიანობის დაცვისათვის, საპატრიარქო მოღვაწეობის 30-ე საიუბილეო წელთან დაკავშირებით, უახლესი ისტორიის აღიარებულ თეოლოგსა და მართლმადიდებელი ეკლესიის საჭეთმპყრობელს – სასულიერო ლიდერს, საზოგადო მოღვაწეს, კონსტანტინოპოლის - ახლისა რომის მთავარეპისკოპოსსა და მსოფლიო პატრიარქს, მის ყოვლადუწმინდესობა ბართლომე I-ს“ მიენიჭა სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის საპატიო დოქტორის წოდება.

მსოფლიო პატრიარქი ბართლომეოსის სახელს უკავშირდება ინტერრელიგიური დიალოგებისა და მშვიდობის უზრუნველყოფის მიზნით საერთაშორისო კონფერენციების ორგანიზება. მისი ინიციატივითა და მხარდაჭერით არაერთი მნიშვნელოვანი რელიგიათაშორისი კონფერენცია ჩატარდა. შეგვიძლია, ამის მაგალითად მეტად მნიშვნელოვანი კონკრეტული კონფერენციები გავიხსენოთ. მაგალითად, საერთაშორისო კონფერენცია[7] მშვიდობასა და შე-მწყნარებლობაზე, 1994 წელს. ეს

გახლდათ პირველი საერთაშორისო კონფერენცია შემწყნარებლობაზე. მიღებულ იქნა „ბოსფორის დეკლარაცია“, რომლის მიზანი იყო, დაგმობილიყო ყველა ეთნიკური კონფლიქტი, როგორც ისლამის, იუდაიზმისა და ქრისტიანული რელიგიების ღირებულებებთან სრულიად შეუთავსებელი. ასევე განსაკუთრებული მოვლენა იყო ბრიუსელის დეკლარაცია, რომელიც 2001 წელს საერთაშორისო კონფერენციაზე იქნა მიღებული. კონფერენციის თემატიკა მშვიდობიან თანაარსებობას ეხებოდა, რასაც სამი თვით ადრე წინ უძღოდა 11 სექტემბრის უდიდესი მასშტაბის ტერორისტული აქტი აშშ-ში. კონფერენციაში მონაწილეობას იღებდნენ ზემოხსენებული რელიგიური კონფესიის წარმომადგენლები. ასევე მეტად მნიშვნელოვანი მოვლენა გახლდათ ბაჰრეინის დეკლარაცია - საერთაშორისო კონფერენცია: რელიგიის როლი მშვიდობიან თანაარსებობაში, 2002 წელს. მსოფლიო პატრიარქის ეს და შემდგომში განხორციელებული სამშვიდობო აქტივობები ყოველთვის ატარებდა ძალადობის საწინააღმდეგო ხასიათს. ბუნებრივია, რომ ეს ყოველივე საკუთარი შინაარსით მხოლოდ და მხოლოდ სამშვიდობო პოლიტიკას ემსახურებოდა.

უდიდესი მნიშვნელობა აქვს მსოფლიო პატრიარქის აქტივობებს რელიგიათაშორისი დიალოგის თვალსაზრისით. იგი ყოველთვის აქტიურად უჭერდა მხარს და დღესაც უჭერს სხვადასხვა რელიგიებს შორის ინტერრელიგიურ დიალოგს, განსაკუთრებით ისლამსა და ქრისტიანობას შორის, რაც მიზნად ისახავს სხვადასხვა სახის რელიგიური კონფლიქტების პრევენციას. ბართლომეოსმა[8], მისი წინამორბედების, ათინაგორასა და დიმიტრიოსის მსგავსად განაგრძო შეხვედრები რომის პაპებთან ეკლესიებს შორის ურთიერთობის მეტად დასაახლოებლად. პირველად ბართლომეოსის შეხვედრა შედგა რომის პაპ იოანე პავლე მეორესთან 1995 წელს. ცნობილი ფაქტია, რომ 2004 წელს რომში გამართულ შეხვედრაზე იოანე პავლე მეორემ ბართლომეოსს გადასცა წმინდა გრიგოლ ღვთისმეტყველისა და წმინდა იოანე ოქროპირის კუთვნილი სიწმინდეები. შემდგომში ასევე გაგრძელდა მსოფლიო პატრიარქის მჭიდრო კავშირი პაპ ბენედიქტ XVI-თან. ამ პერიოდში მსოფლიო პატრიარქი ბართლომეოსი მონაწილეობდა ვატიკანის ხელმძღვანელობით გამართულ რელიგიათაშორის სამშვიდობო სამიტებში. მნიშვნელოვანი ფაქტია, რომ დიდი სქიზმის შემდეგ, ფაქტობრივად ბართლომეოსია პირველი კონს-

ტანტინოპოლის მეთაური, რომელიც ესწრებოდა 2019 წელს ახალი რომის პაპის, ფრანცისკეს ინტრონიზაციას. ბართლომეოსმა, თავისი აღსაყდრების პირველი დღიდან მოყოლებული, დიდი რესურსი დახარჯა, რომ აღდგენილ დიალოგებს რომის კათოლიკურ ეკლესიასთან შედეგი გამოეღო. ფაქტია, რომ მრავალწლიანი დისტანცირების შემდეგ განხორციელებულმა დიალოგებმა და ვიზიტებმა შედეგი გამოიღო.

ბართლომეოსი[9] მრავალრიცხოვან პროტესტანტულ ჯგუფებთანაც აწარმოებდა დიალოგს. მან გააცანო პროტესტანტებს საკუთარი ხედვა ქრისტიანული ერთობის შესახებ. ამის ნათელი დადასტურება იყო 1995 წლის დეკემბერში უესტმინსტერის საბატოში მსოფლიო პატრიარქის გამოსვლა, მოხსენებაში მკაფიოდ იქნება გამოკვეთილი ქრისტიანული ერთობის კონტურები. მსოფლიო პატრიარქი ქრისტიანულ ხილულ ერთობას ხედავს თეოლოგიურ, ბიბლიურ და სულიერ ჭრილში. იგი მშვიდობიანი თანაარსებობისა და სტაბილურობის პერსპექტივის მოტივიდან გამომდინარე წარმართავს აქტიურ დიალოგს რომის კათოლიკე ეკლესიასთან, ანგლიკანურ ერთობასთან და, ასევე სხვადასხვა კონფესიებთან.

მსოფლიო პატრიარქმა საკუთარი სოციალური პოლიტიკის განუყოფელ და მთავარ ნაწილად აქცია გარემოზე ზრუნვა, გარემოს დაცვა. ამიტომ მას დღეს „მწვანე პატრიარქს“ უწოდებენ. 1993 წელს[10] ბართლომეოსმა დააარსა რელიგიური და სამეცნიერო კომიტეტი, რაც საფუძველი გახდა შემდგომში „რელიგია, მეცნიერება და გარემოსი“. ეს ყოველივე ემსახურებოდა, თეოლოგიას, მეცნიერებას და მისი მთავარი საზრუნავი იყო ეკოლოგიური კრიზისის შედეგები. ყოველივე ამას მოჰყვა არაერთგზის თემატური სიმპოზიუმების ორგანიზება, რომლებიც ეკოლოგიასა და გარემოს დაცვის თემებს ეხებოდა. ჯამში, რელიგიის, მეცნიერებისა და გარემოს დაცვის კომიტეტმა რვა საერთაშორისო ინტერდისციპლინური და რელიგიათშორისი სიმპოზიუმი ჩაატარა. ერთ-ერთი გარდამტეხი მომენტი[11], გახლდათ 1997 წელი, როცა მსოფლიო პატრიარქმა საჯაროდ გამოხატა ეკოლოგიური ცოდვის იდეა, რომელიც დაკავშირებულია: ადამიანების მიერ ღვთის ქმნილებების განადგურებასთან, ადამიანების მოქმედებით კლიმატის ცვლილებების ხელშეწყობასთან, მწვანე სივრცეების განადგურებასთან, წყლის, ჰაერისა და მიწის დაბინძურებასთან სხვადასხვა მომწამვლელი ნივთიერებებით. ყოველივე ეს, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ბართლომეოსმა ცოდვასთან

დააკავშირა. 2012 წლიდან მოყოლებული დღემდე, მსოფლიო პატრიარქის მიერ ინიციირებული რელიგიათაშორისი დიალოგების ერთ-ერთ მთავარ მიმართულებას წარმოადგენდა გარემოს დაცვის მიმართულება. მსოფლიო პატრიარქის შეხედულებით, ეკოლოგიასთან ადამიანის არაჯანსაღი დამოკიდებულება მისი ეგოცენტრულობით, ეგოიზმით, არასწორი ღირებულებებით და არასათნოებით არის განპირობებული. ყოვლადუწმინდესი ბართლომეოსი, ამ ყოველივეს აკავშირებს დღევანდელი თანამედროვე რეალობის გადაჭარბებულ დამოკიდებულებაზე ეკონომიკურ კეთილდღეობასთან, სადაც ადამიანის მისწრაფებები მიმართულია მატერიალური და ფინანსური ზრდისკენ, ეთიკური და ფსიქოსულიერი მდგომარეობის ხარჯზე. მსოფლიო პატრიარქი ასაბუთებს, რომ ყოველივე ეს აცდენილია ქრისტიანულ ეთიკას, აქ იკვეთება სიხარბის მანკიერება, მომხვეჭელობა, გამდიდრებისკენ და მაქსიმალური მოხმარებისკენ სწრაფვა. ასეთი მოცემულობიდან გამომდინარე, ბართლომეოსი აკრიტიკებს ნეოლიბერალურ ეკონომიკურ მოდელს, ვინაიდან ამ ეკონომიკურმა პოლიტიკამ 1970-1980-იან წლებში ფესვი გაიდგა და დომინანტური პარადიგმა გახდა საერთაშორისო დონეზე. მას მიაჩნია, რომ ნეოლიბერალური ეკონომიკური მოცემულობის შედეგად ადამიანში იმდენად დამკვიდრდა ეკონომიკური ღირებულები, რომ მისი სოციალური დღის წესრიგი მატერიამ და მატერიალურმა კეთილდღეობამ განსაზღვრა, ამის ფონზე კი, დაითრგუნა ქრისტიანული ტრადიციის ფასეულობები. მსოფლიო პატრიარქს აუცილებლად მიაჩნია, რომ ადამიანებმა უნდა გააცნობიერონ ეკონომიკური სისტემა, რომელშიც დღეს ცხოვრობს კაცობრიობა, რომ იგი მთლიანად სიხარბეზეა დაფუძნებული. მისი ეკონომიკური მოდელი და სისტემა კი, ეკონომიკური განვითარების სახელით ანადგურებს ეკოსისტემას. მსოფლიო პატრიარქის მოწოდებები ეკოლოგიასთან დაკავშირებით ეფუძნება გულწრფელ გრძნობას, რომ ადამიანის აზროვნება, ორიენტირი გასცდეს სოციალურ-ეკონომიკურ მისწრაფებებს და ადამიანებში სწორი ღირებულებათა სისტემა იქნეს მათი აზროვნების მთავარი განმსაზღვრელი. მსოფლიო პატრიარქისთვის მეტად პრიორიტეტულია სოციალური სამართლიანობა. ბართლომეოსი ხაზს უსვამს სოციალური სამართლიანობის მნიშვნელობას და მხარს უჭერს სხვადასხვა სახის ღონისძიებებს სიღარიბისა და უთანასწორობის წინააღმდეგ.

საყურადღებოა, რომ მსოფლიო პატრიარქის მწვანე პოლიტიკას დადებითად აფასებენ პოლიტიკური პარტიები, ლიდერები და სხვა რელიგიური კონფესიების წარმომადგენლები. რომის პაპმა ფრანცისკემ[12], 2015 წელს თავის გარემოსდაცვით ენციკლიკაში ციტატად მოიყვანა ბართლომეოსის მოწოდება, როგორც ნათელი მაგალითი, სადაც ჩანს ეკოლოგიის განუსაზღვრელი მნიშვნელობა და მასთან დაკავშირებული სერიოზული პრობლემები დღევანდელ რეალობაში. რომის პაპი იზიარებს მსოფლიო პატრიარქის პათოსს ადამიანის ცოდვისა პლანეტისა და გარემოს წინაშე.

ფაქტია, რომ კონსტანტინოპოლის მართლმადიდებელი ეკლესიის მეთაურის ქმედებები არაერთი მიმართულებით ემსახურება მშვიდობის უზრუნველყოფას, როგორც ეკლესიურ, ისე საერო დონეზე. ბართლომეოსის როლი და ჩართულობა თანამედროვე მსოფლიოს მშვიდობიან განვითარებაში განუზომლად დიდია, რაც დასტურდება მისი საქმიანობით და კონკრეტული ქმედებებით კრიზისულ ვითარებაში.

1. იოანე ხრისავგისი, ბართლომეოსი - მოციქული და წინასწარმხედველი, გამომცემლობა ინტელექტი, თბილისი, 2023. გვ.56.
2. მსოფლიო პატრიარქმა უკრაინის მართლმადიდებელი ეკლესიის მეთაურს ავტოკეფალიის ტომოსი გადასცა, 06.01.2019, https://1tv.ge/news/msoflio-patriarqma-ukrainis-martlmadidebeli-eklesiis-metaurs-avtokefaliis-tomosi-gadasca/
3. Alya Shandra, Russian Orthodox Church shares responsibility for Russia's aggression – Ecumenical Patriarch, 23.03.2023, https://euromaidanpress.com/2023/03/23/russian-orthodox-church-shares-responsibility-for-russias-aggression-ecumenical-patriarch/
4. Constantinople Ends Schism with North Macedonia Church, May 10, 2022, https://balkaninsight.com/2022/05/10/constantinople-ends-schism-with-north-macedonia-church/
5. მსოფლიო პატრიარქი: რუსეთს არ შეუძლია ავტოკეფალია მიანიჭოს არც აფხაზეთს და არც არავის, 2 მაისი, 2021, https://tabula.ge/ge/news/666708-msoplio-patriarki-rusets-ar-sheudzlia-avtokepalia
6. მსოფლიო პატრიარქი ბართლომეოს I სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის საპატიო დოქტორი გახდა, 23.11.2022, https://www.newsite.sou.edu.ge/en/content/1659/1851/msoflio-patriarqi-barTlomeos-I-soxumis-saxelmwifo-universitetis-sapatio-doqtori-gaxda
7. იოანე ხრისავგისი, ბართლომეოსი - მოციქული და წინასწარმხედველი, გამომცემლობა ინტელექტი, თბილისი, 2023. გვ.57-61.
8. Bartholomew I, Last Updated: Sep 9, 2024, https://www.britannica.com/biography/Bartholomew-I
9. იოანე ხრისავგისი, ბართლომეოსი - მოციქული და წინასწარმხედველი, გამომცემლობა ინტელექტი, თბილისი, 2023. გვ.120-123.
10. იქვე, 252-256.
11. Dr. Chris Durante, The Green Patriarch and Ecological Sin, September 3, 2021, https://publicorthodoxy.org/2021/09/03/green-patriarch-and-ecological-sin/
12. იოანე ხრისავგისი, ბართლომეოსი - მოციქული და წინასწარმხედველი, გამომცემლობა ინტელექტი, თბილისი, 2023. გვ.241-245.

მსოფლიო პატრიარქს არაერთ წერილსა თუ საჯარო გამოსვლაში გაუმახვილებია ყურადღება საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის საკითხზე, ოკუპირებული აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის პრობლემაზე. პერიოდულად აქტიურდება საუბარი მოსკოვის მხრიდან აფხაზეთის ავტოკეფალიის მინიჭების საკითხზე, რასთან დაკავშირებითაც მსოფლიო პატრიარქს მკაფიო პოზიცია აქვს. 2021 წელს მან განაცხადა, რომ რუსეთს არა აქვს უფლება, ავტოკეფალია მიანიჭოს არც აფხაზეთს და არც არავის. მსოფლიო პატრიარქის განცხადებით, ამის უფლება აქვს მხოლოდ და მხოლოდ ექსკლუზიურად კონსტანტინოპოლის ეკლესიას, რაც დადასტურებულია კანონიკურ დონეზე. ბართლომეოსს მიაჩნია, რომ ანტიკანონიკურია რუსეთის ეკლესიის ჩარევა აფხაზეთის და სამხრეთ ოსეთის ეკლესიების საკითხებში, ვინაიდან ისინი საქართველოს ეკლესიის იურისდიქციის შემადგენელი ნაწილებია. ყოვლადუწმინდესი მღვდელმთავრისთვის ყოვლად დაუშვებელია რუსეთის ეკლესიის ჩარევა საქართველოს შიდა საქმეებში და მას მიაჩნია, რომ რუსეთის ეკლესიამ ბოროტად გამოიყენა როგორც პოლიტიკური, ისე სამხედრო ინტერვენცია საქართველოს რეგიონებში.

გიორგი ფარეშიშვილი
გიორგი მხეიძე

პონტოელი კაცის ახირება რომელმაც ყველაფერი შეცვალა

ბიბლიის კანონის პირველი რედაქცია – მარციონე სინოპელის ისტორია

ირაკლი კერესელიძე

მშრალ რიცხვებს ხშირად ბევრის თქმა შეუძლიათ. გინესის რეკორდების წიგნის მიხედვით ბიბლია მსოფლიოში ყველაზე გაყიდვადი წიგნია. 1815 წლიდან 1975 წლამდე 2.5 მილიარდი ეგზემპლარი დაიბეჭდა, ხოლო ბოლო კვლევებით, მათი რაოდენობა 5 მილიარდს აჭარბებს. ამას თუ დავუმატებთ ციფრულ ვერსიებს – დღეს ხომ ყველას შეუძლია პერსონალურ კომპიუტერსა თუ სმარტფონში ჰქონდეს ბიბლიის ნებისმიერი ვერსია – ეს რიცხვი საგრძნობლად გაიზრდება. ეს კი ნიშნავს, რომ მსოფლიოში არსებული ბიბლიების რეალური რაოდენობა იმდენად დიდია, რომ მისი დადგენაც კი თითქმის შეუძლებელია. ამას გარდა, ბოლო მონაცემებით, ბიბლია თარგმნილია 349 ენაზე, ხოლო 2123 ენაზე ბიბლიის ერთი წიგნის წაკითხვა მაინცაა შესაძლებელი. სხვა სიტყვებით, თეორიულად შესაძლებელია, რომ ბიბლიის წაკითხვა შეძლოს ყველამ და ყველგან.

„დასავლური სამყაროს“ ისტორიას თუ დავაკვირდებით, ბოლო 2000 წლის განმავლობაში ადვილი დასანახია, რომელი წიგნის გარშემო ტრიალებს ის. გასაკვირი არ იქნება, თუ ვიტყვით, რომ ეს წიგნია ბიბლია. უნდა აღინიშნოს, რომ მას აქვს გავლენა არა მხოლოდ მათზე ვინც ქრისტიანი არ არის, ან საერთოდ ათეისტია, არამედ მათზეც, ვისაც ბიბლიიდან ერთი წინადადებაც კი არ წაუკითხავს ცხოვრებაში.

ქრისტიანული კულტურის მქონე ქვეყნებში, მიუხედავად იმისა, არიან თუ არა ისინი სრულად სეკულარულები დღეს, ღირებულებითი სისტემა დაფუძნებულია ბიბლიის სწავლებებზე, სხვა სიტყვებით, იუდაურ-ქრისტიანულ მორალზე. ამ აზრში დასარწმუნებლად მარჯვე მაგალითია, გადავხედოთ „დასავლური ქვეყნების“

კონსტიტუციებს, თუ რომელ მსოფლმხედველობას ეყრდნობა საზოგადოების მოწყობის წესები.

ახლა რამდენიმე სიტყვა თვითონ ბიბლიაზე. ზოგადად, ის ერთი წიგნი - მონოლითი არ არის, არამედ კრებულია ათეულობით წიგნისა. სხვადასხვა ეკლესიის ტრადიციაში სხვადასხვა რაოდენობა გხვდება. მაგალითად: მართლმადიდებლების ბიბლიაში არის 78 წიგნი, კათოლიკეებისაში - 73, პროტესტანტებისაში - 66, ეთიოპიელი მართლმადიდებლებისაში - 81 და ა.შ.

იგი დაყოფილია ორ ნაწილად - ახალ და ძველ აღთქმებად. მასში სხვადასხვა ავტორების მიერ გამოყენებულია ძველი ებრაული (תִּירְבַע), არამეული და ძველი ბერძნული (κοινὴ) ენები, რომელთა შექმნისა და ჩამოყალიბების თარიღი, ტრადიციის მიხედვით, მერყეობს ჩვენს წელთაღრიცხვამდე მე-14 საუკუნიდან, ჩვენი წელთაღრიცხვით მე-2 საუკუნემდე. ბიბლიის კანონიკური წიგნების კორპუსის ჩამოყალიბებას საუკუნეები დასჭირდა და მასში მრავალმა თაობამ მიიღო მონაწილეობა. მე-5 საუკუნემდე ეს პროცესი არც იყო დასრულებული.

იმ ადამიანთა შორის, ვინც დიდი გავლენა მოახდინა ამ კანონიკური წიგნების კორპუსის ჩამოყალიბებაში, განსაკუთრებული როლი შეასრულა მარციონე სინოპელმა, ახირებულმა კაცმა, რომლის იდეებს შეეძლო ქრისტიანული რელიგიის სამუდამოდ და რადიკალურად შეცვლა, თუმცა ბედმა მას დამარცხება არგუნა. მიუხედავად მარცხისა, მარციონე, დღეისთვის არსებული ცნობებით, იყო პირველი ქრისტიანი მოაზროვნე, რომელმაც შემოგვთავაზა ბიბლიის კანონის საკუთარი მონახაზი. მისი ამ მცდელობის გარკვევა - გაანალიზებამდე, უპრიანი იქნება, ცოტა რამ ითქვას მის ცხოვრებაზე, რათა უკეთ აიხსნას, როგორც მისი ფენომენი, ასევე მისი მოტივები.

ცნობათა უმეტესობა, რომლებიც მარციონზე მოგვითხრობს, სადღეისოდ არ არის ისტორიულად დადასტურებული. მკვლევრებს შორის არ დასრულებულა კამათი იმის თაობაზე, კონკრეტულად სად ან როდის დაიბადა იგი, სად გაიზარდა, რა სახის განათლება მიიღო... თუმცა ორი რამ ნათელია, იგი იყო პონტოს რეგიონიდან, გაიზარდა ქრისტიანულ გარემოში და ცხოვრების ერთ-ერთ ეტაპზე გაემგზავრა რომში, რათა გაევრცელებინა საკუთარი თეოლოგიური იდეები და ძნელი სათქმელია რამდენად, მაგრამ რამდენადმე, განაპირობა და განსაზღვრა ბიბლიის კანონის ჩამოყალიბება.

კონტექსტის გასაგებად, მარციონე სინოპელზე არსებული ცნობებიდან გა-

მოვარჩიეთ ზოგიერთი მათგანი. იგი დაიბადა პონტოს რეგიონში, შავი ზღვის სამხრეთით, დღევანდელი თურქეთის აღმოსავლეთ ნაწილში. მისი დაბადების თარიღი ძალიან საკამათოა. სხვადასხვა წყაროები, განსხვავებულ ინფორმაციას გვაწვდიან - დაახლოებით 85 წლიდან 120 წლამდე. თუმცა, ერთ პატარა ნიუანსზე დაკვირვებით შეგვიძლია, ეს დიაპაზონი შევამციროთ. უკეთაა განსაზღვრული მისი რომში ჩასვლის დრო - 144/145 წლები. შესაბამისად, სავარაუდოა, რომ მარციონე „რევოლუციის“ წამოწყებას არც ძალიან ადრე და არც ძალიან გვიან დაიწყებდა. მეტიც, შეგვიძლია ვთქვათ, რომ იგი ამ დროს ვერ იქნებოდა ვერც 20 წლამდე ჭაბუკი და ვერც 50 წელს გადაცილებული ჭარმაგი მამაკაცი. ადამიანი თავისი ცხოვრების მთავარ გამოწვევას მაშინ ეჭიდება, როდესაც ის, როგორც ფიზიკურად, ისე გონებრივად საუკეთესო ფორმაშია. „მსოფლიოს შეცვლის“ სურვილი კი უფრო მეტად დამახასიათებელია 25-35 წლის ადამიანისთვის. ასე რომ, მისი დაბადების თარიღის დადგენისას, ეს დაკვირვება მეტ სიზუსტეს მოგვცემს.

მე-2 საუკუნეში, შავი ზღვის რეგიონში ქრისტიანთა დიდი პოპულაცია სახლობდა. ჰიპოთეზა, რომ მარციონე გაიზარდა ქრისტიანულ გარემოში სავსებით ლოგიკურია. თუ იმ ცნობასაც დავუმატებთ, რომ იგი შეძლებული ოჯახიდან იყო, ადვილი მისახვედრია, რომ მას ექნებოდა შესაძლებლობა, მიეღო იმ ეპოქის მოწინავე განათლება. მას ექნებოდა წვდომა იმდროინდელ წმინდა ტექსტებზეც და შეიძლება ჰქონოდა თეოლოგიური განათლებაც. აქაც, მაღალი ალბათობით უნდა ვივარაუდოთ, რომ მხოლოდ ქრისტიანული წარსულის მქონე ადამიანი შეიძლებოდა ყოფილიყო ის, ვინც შეეცდებოდა, შეეცვალა ძველი პარადიგმა ახლით, ვინაიდან უცნაური იქნებოდა, უცხოს, ამ კულტურის გარეთ მყოფ ადამიანს, ჰქონოდა ამხელა სურვილი და ამბიცია, გარდაექმნა ის საზოგადოება, რომელსაც არასდროს მიეკუთვნებოდა.

თუ დავუშვებთ, რომ მარციონე იყო რომის მოქალაქე, თანაც მდიდარი ოჯახიდან, მაშინ ადვილი სათქმელია, როგორი სტილის განათლების მიღებას შეძლებდა იგი. რომის იმპერიაში ფართოდ გავრცელებული საბაზისო დაწყებით სწავლება მოიცავდა მორალურ აღზრდას, ლიტერატურას, გრამატიკას, რიტორიკასა და ფილოსოფიას.

გამოსარჩევია კიდევ ერთი ცნობა მარციონეს შესახებ, რომლის მიხედვითაც იგი იყო ზღვაოსანი, ვაჭარი, ან მას ჰყავდა გემები. შესაბამისად, ის ბევრს მოგზაურობ-

და. რომის იმპერია იმ ეპოქის ცივილიზაციის ცენტრს წარმოადგენდა. მისი ტერიტორია ხმელთაშუა ზღვის გარშემო არსებულ მიწებზე ვრცელდებოდა. მოგზაურობა კი ოდითგანვე ახალი კულტურებისა და საზროვნო სისტემების აღმოჩენის შესაძლებლობაა. მარციონეს საქმიანობა ახალ-ახალ კარებს აღებდა მისთვის. ლოგიკურია, რომ მისი ცოდნისა და სანაცნობო წრის არეალი საკმაოდ ფართო იყო, ხოლო ამას დამატებული მისი სიმდიდრე უკვე ნოყიერ ნიადაგს ქმნიდა იმისათვის, რომ მას თავი არ შეეზღუდა და ემოქმედა საკუთარი ვნების შესაბამისად.

ამ პერიოდში ქრისტიანობას უკვე მყარად ჰქონდა ფეხი გადგმული მაშინდელი რომის იმპერიის საზღვრებში. საწყის ეტაპზე ქრისტიანობა ებრაული რელიგიის, იუდაიზმის ნაწილად მოიაზრებოდა. მას შემდეგ, რაც ამ ახალი რელიგიის მიმდევრებს შორის ეთნიკურად არაებრაელების რაოდენობამ, ეთნიკურად ებრაელებისას გადააჭარბა, ქრისტიანობა ტრანსფორმირდა გლობალურ რელიგიად. იგი გასცდა მშობლიურ ლევანტის რეგიონსაც. ქრისტიანთა დიდი ცენტრები იყო რომში, ალექსანდრიასა და ანტიოქიაში. იესო ქრისტეს მოძღვრების მიმდევრებს უკვე ეწოდებოდათ ქრისტიანები. ამ რელიგიის წარმოშობიდან ვიდრე მე-4 საუკუნემდე, ქრისტიანობამ რთული და სისხლიანი გზა განვლო. იყო სახელმწიფოსგან (რომის იმპერია) მისი მიმდევრების დევნა, როგორც მცირე, ასევე ფართო მასშტაბით, ასევე იყო განსხვავებები და განხეთქილებები თავად მორწმუნეებს შორისაც. ნაწილი თანხმობით, ნაწილი კი გაყრით სრულდებოდა. გაყრის მიზეზად მწვალებლობების (ერესი) მიუღებლობა სახელდებოდა. თუ თანხმობა ვერ მოხერხდებოდა და გარკვეული თეოლოგიური საკითხი ჩაითვლებოდა ტრადიციული სწავლებისგან გადახვევად, ქრისტიანთა წრეში, ასეთ მიუღებელ სწავლებას მწვალებლობად აცხადებდნენ და ეკლესია წყვეტდა კავშირს მის მიმდევრებთან. ამის მაგალითია გნოსტიციზმი და მონტანიზმი, რომლებიც ადრეული ეკლესიის მამებმა ერესებად გამოაცხადეს და მათი მიმდევრები განკვეთეს. გნოსტიციზმი იყო 1-ელი საუკუნის მიწურულს ჩამოყალიბებული რელიგიურ-ფილოსოფიური მიმდინარეობა ებრაელებს და პირველ ქრისტიანებს შორის, რომლის მთავარი მახასიათებელი იყო სულიერი ცოდნის უპირატესობა ტრადიციულ და ინსტიტუციურ მოძღვრებასთან შედარებით. გნოსტიკოსებს მიაჩნდათ, რომ ისინი ფლობდნენ ეზოთერულ ცოდნას, რაც დამალული იყო ჩვეულებრივი ადამია-

ნებისთვის. ხოლო მონტანიზმი იყო მე-2 საუკუნეში ქრისტიანთა წიაღში აღმოცენებული მიმდინარეობა, რომლის წევრებიც უარყოფდნენ რელიგიურ რიტუალებსა და იერარქიულ სტრუქტურას და პირველად მნიშვნელობას ანიჭებდნენ ღმერთთან პირდაპირ, ცოცხალ ურთიერთობას. მონტანისტებს გამოარჩევდათ ესქატოლოგიური მოლოდინი, რომლის მიხედვითაც მათ ქალაქ პეპუზაში (ფრიგია; მცირე აზია) ახალი იერუსალიმი უნდა დამყარებულიყო.

144/145 წლებში, როდესაც მარციონემ გადაწყვიტა, რომში წასულიყო და თავისი იდეებისთვის მიეცა ფართო გასაქანი, იმდროინდელ ქრისტიანთა საკრებულოებში უკვე გამოიყენებოდა არაერთი წიგნი ბიბლიის მომავალი კანონიდან. სხვადასხვა ღვთისმეტყველები უკვე ციტირებდნენ, როგორც პავლეს წერილებიდან, ასევე სახარებებიდან. ეს კი იმას ნიშნავს, რომ წმინდა წერილის იდეა უკვე არსებობდა.

თავდაპირველად, ებრაელები ქრისტიანებს იუდაიზმში მიმდინარე მოძრაობად, მის ნაწილად, რიგით „სექტად“ აღიქვამდნენ. მათ არ სურდათ, პასუხისმგებელნი ყოფილიყვნენ ქრისტიანთა ქმედებებზე. ამასთან ერთად ქრისტიანები არ იღებდნენ მონაწილეობას რომის რელიგიურ რიტუალებში, რაც რომის კანონის დარღვევა იყო. ამ და სხვა მიზეზებით, მათ სასტიკად და ხშირად დევნიდნენ. ებრაელები უფრთხოდნენ ქრისტიანებთან ყველანაირ კავშირს და ამიტომ ხშირად მათკენ იშვერდნენ ხელს და მათ ადანაშაულებდნენ, რათა ქრისტიანთა საქმეების გამო თავად არ დასჯილიყვნენ. ვერ უარვყოფთ იმას, რომ მარციონეც ამ რეალობის შვილი იყო.

მარციონეს იდეა, რომლითაც ის რომში ჩავიდა, მდგომარეობდა იმაში, რომ განეცალკევებინა ახალი აღთქმის ღმერთი ძველი აღთქმის ღმერთისგან. მისი ხედვით, „ძველი“ იყო დასჯისა და შეუბრალებლობის ღვთაება, ხოლო „ახალი“ - სიყვარულის და პატიებისა. ამ იდეის გამოსაკვეთად და სხვებისთვის გასაზიარებლად მარციონემ გადაწყვიტა საკუთარი ბიბლიური კანონის შედგენა, რომელიც მისი ხედვისა და არგუმენტების გამომხატველი დოკუმენტი იქნებოდა. პირველ რიგში, მან უარყო ყველა ის წიგნი, რომელიც „ძველი აღთქმის“ ტრადიციაში არსებობდა და შემდეგ იმ პერიოდში გავრცელებული სახარებებისა და ეპისტოლეებისგან გამოარჩია მხოლოდ რამდენიმე. მარციონეს სახარება, როგორც მას მისი მიმდევრები უწოდებდნენ, შედგებოდა შემდეგი წიგნებისგან: პავლეს 10 წერილი და ლუკას სახარება (ახალი აღთქმის კა-

ნონი დღეს 27 წიგნისგან შედგება). საინტერესოა, თუ რატომ აირჩია მან მხოლოდ ეს ტექსტები. იმ პერიოდში უზარმაზარი რელიგიური ლიტერატურა ცირკულირებდა მორწმუნეთა შორის. არსებობდა არაერთი სახარება და ეპისტოლე. ამ რეალობაში, ტექსტთა მრავალფეროვნებაში, მარციონეს არჩევანი შეჩერდა მხოლოდ პავლესა და ლუკაზე. საგულისხმოა, რომ ქრონოლოგიურად პირველი ქრისტიანული ლიტერატურა არის პავლეს წერილები. მხოლოდ პავლეს ეპისტოლეების დაწერის შემდგომ წლებში შეიქმნა სხვა წერილები და კანონიკური თუ არაკანონიკური სახარებები. აშკარაა, რომ მარციონე სინოპელი თავს პავლეს იდეების თანამოაზრედ თვლიდა, ხოლო პავლე იესო ქრისტეს ერთადერთ ჭეშმარიტ მოციქულად მიაჩნდა, მხოლოდ მისი სჯეროდა და ისიც სავსებით შესაძლებელია, რომ, მარციონეს ფიქრით, პავლესი მას უკეთ ესმოდა და მის იდეებს უკეთ ახმოვანებდა, ვიდრე თავად პავლე. ლუკა კი, მას პავლეს იდეების გამგრძელებლად და ერთი სააზროვნო სკოლის წარმომადგენლად მიაჩნდა. შესაბამისად, საკუთარ თეოლოგიური ხედვების წარმოსაჩენად მას მხოლოდ ეს ორი ავტორი სჭირდებოდა.

თუმცა აუცილებლად უნდა აღინიშნოს, რომ ამ წიგნების რედაქციაც განსხვავებული იყო იმისგან, რასაც დღეს ვკითხულობთ ბიბლიის კანონიკურ ვერსიებში. მარციონე ცვლიდა ყველაფერს საკუთარი იდეოლოგიის მიხედვით. ლუკას სახარებიდან პირველი ორი თავი სრულად იყო ამოღებული. პავლეს წერილებს აკლდა პასტორალური ეპისტოლეები: პირველი და მეორე ეპისტოლეები ტიმოთეს მიმართ, ეპისტოლე ტიტუს მიმართ და ეპისტოლე ებრაელთა მიმართ. ამავდროულად დამატებული იყო პავლეს კანონიკური ვერსიით ფსევდოეპისტოლეები ალექსანდრიელებისა და ლაოდიკელების მიმართ. შესაძლოა, ის უბრალოდ ვერ ხედავდა პავლეს თეოლოგიას პასტორალურ წერილებში. ამ გამორჩევა-რედაქტირებათა შედეგად მარციონე სინოპელმა შექმნა ახალი აღთქმის პირველი კანონი. ის მას ეძახდა სახარებას და აპოსტოლიკონს. ტერტულიანეს სიტყვებით, მარციონე იყო პირველი, ვინც ახალი და ძველი აღთქმები გაყო ერთმანეთისაგან.

შორს არ იქნება სიმართლისგან, თუ ვიტყვით, რომ მარციონე ერთ-ერთი ყველაზე გავლენიანი ერეტიკოსია (მწვალებელი) ქრისტიანობის ისტორიაში, თუ არა ყველაზე გავლენიანი. მისი ხედვით, ახალი აღთქმის ღვთაება იყო სხვა, ძველი აღთქმისა კი სხვა. მას არ შეეძლო დაენახა იესო ქრისტე ძველი აღთქმის ღმერ-

თში. მარციონესთვის საკრამენტული ბუნება „ძველი“ და „ახალი“ ღმერთისა იმდენად განსხვავდებოდა ერთმანეთისგან, რომ მათ შორის კავშირს ვერ პოულობდა. მარციონე თავს პავლე მოციქულის მოსწავლედ მიიჩნევდა და, შესაბამისად „მასწავლებლის“ ხედვებს მასზე დიდი გავლენა ჰქონდა. მარციონემ აიღო მოწყალე ღმერთის იდეა პავლესგან და მკაცრად ეწინააღმდეგებოდა ღვთიური მერჯულეობის ცნებას. მას მიაჩნდა, რომ ქრისტე იყო სრულად ღმერთი და, შესაბამისად, ქრისტეს დაბადება, ბავშვობა თუ ცხოვრების ადრეული წლები შეუთავსებელი იყო მისი სწავლებისთვის. სწორედ ამ ხედვის გამო იყო იგი პავლეს მიმდევარი და მიაჩნდა, რომ მხოლოდ მან შეძლო, გაეგო ქრისტეს მოძღვრება. სხვა მოციქულებთან კი პრობლემა ჰქონდა, რადგან ისინი ქრისტეს ყოველდღიური ცხოვრების წლების მომსწრენი იყვნენ. როდესაც მარციონე ადგენდა „წმინდა ტექსტის“ კანონს, მას სურდა, მთლიანად ამოეღო ცნობები ქრისტეს ებრაელობისა და მისი ებრაული ფესვების შესახებ და, ასევე, ის ნაწილი, სადაც ქრისტე ჩანდა ჩვეულებრივ ადამიანად. სწორად ამის გამო ამოიღო ლუკას სახარების დასაწყისი და პავლეს წერილების ნაწილები. მაგალითად, მარციონემ შეცვალა კორინთელთა მიმართ პირველი ეპისტოლის ის მონაკვეთი, სადაც პავლე პარალელს ავლებს ადამს, როგორც პირველ ადამიანს და ქრისტეს, როგორც უკანასკნელ ადამს - როგორც ცხოველმყოფელ სულს შორის [1 კორ 15:45]. მას ეს იმისათვის სჭირდებოდა, რომ გაექრო ყოველგვარი კავშირი თუ ბმა ძველი აღთქმის ღმერთსა (სამყაროს შემოქმედი) და ქრისტეს შორის. მარციონესთვის მიუღებელი იყო ქრისტეს ებრაელ მესიად მიჩნევა. ის მასში ხედავდა სულიერ არსებას, ღმერთს, რომელსაც უნდა გაემჟღავნებინა ჭეშმარიტება არსებობის შესახებ.

იმპერიის დედაქალაქში ჩასვლისას მან დიდძალი ქონება შესწირა რომის ეკლესიას. სავარაუდოდ, მას იმედი ჰქონდა, რომ სხვებიც გაიზიარებდნენ მის აზრებსა და იდეებს. რომაელ კლერიკალებს ის მომავალ მოკავშირეებად აღიქვამდა. თუმცა ისინი ისე შეწუხდნენ და შეშინდნენ მარციონეს დოქტრინით, რომ არათუ უარყვეს იგი, არამედ შესაწირიც კი უკან დაუბრუნეს. ამ კატეგორიული უარყოფის გამო მან გადაწყვიტა, საკუთარი ეკლესიის დაფუძნება. მარციონეს ეკლესიამ რამდენიმე თაობის განმავლობაში იარსება. საგულისხმოა ისიც, რომ, რადგან მარციონე მხოლოდ პავლეს მიიჩნევდა იესო ქრისტეს ერთადერთ

და ჭეშმარიტ მოციქულად, ბიბლიის კანონის მისეული რედაქციის შედგენისას მას არცერთხელ არ უხსენებია ლუკა მახარებლის სახელი. თუმცა მხოლოდ პავლეს წერილებისა და ლუკას შერჩევის ლოგიკა მარტივად აიხსნება. ეს ტიპური მარციონესებური მიდგომაა - მხოლოდ ერთი ხედვაა (პავლესი) სწორი და, შესაბამისად, მხოლოდ ამ ხედვის გამომხატველი ტექსტებია მისაღები.

ასევე აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ მარციონემ ლუკას სახარებაში ლოცვა „მამაო ჩვენოც" თავისებურად გადააკეთა, ისევე როგორც პავლეს წერილები დაარედაქტირა საკუთარი სწავლების შესაბამისად. საინტერესოა, რომ მარციონე პავლეს ტექსტს იმის მიხედვით ცვლიდა, თუ რამდენად პავლესებური იყო თავად პავლესვე წერილები. მაღალი ალბათობაა იმისა, რომ მარციონე საკუთარ თავს ხედავდა მასწავლებლად ან უფრო მეტიც - მოციქულად. ამ ეჭვს აძლიერებს ის ფაქტი, რომ საკუთარ ბიბლიურ კანონში პავლეს წერილების წინ მარციონემ დაურთო ერთგვარი პროლოგები, სადაც ის წინასიტყვაობასა და შეჯამებას ურთავდა მკითხველთათვის.

მარციონე სინოპელს დიდი გეგმები და იდეები ჰქონდა, რაც მისი დროის რელიგიური პარადიგმის შეცვლაში უნდა გადაზრდილიყო. ქრისტიანობის განახლება/გადასხვაფერების პროცესში, ის, როგორც ზემოთ ითქვა, საკუთარი ეკლესიის ჩამოყალიბებამდეც კი მივიდა. მიუხედავად მისი მასშტაბური და აგრესიული მცდელობებისა, მისი იდეები დამარცხდა. ბევრი არაფერი ვიცით მარციონეს შემდგომ ცხოვრებაზე. მაგრამ, სავარაუდოა, რომ მას არასდროს უცდია ეკლესიასთან შერიგება და სიკვდილამდე საკუთარი იდეების ერთგულად დარჩა.

მიუხედავად ამისა, მარციონეს, ამ ახირებული პიროვნების, გავლენა დღემდე უდიდესია კაცობრიობის ბედზე. როგორც მონტანიზმმა განაპირობა საეკლესიო იერარქიის ჩამოყალიბება, როგორც გნოსტიციზმმა - ნიკეის მრწამსის შექმნა, ასევე მარციონიზმი გახდა ბიბლიის კანონის ჩამოყალიბების მოწინავე მიზეზი. მარციონემ საკუთარი იდეებითა და ქმედებებით შექმნა იმის საჭიროება, რომ ეკლესიას ჩამოეყალიბებინა საკუთარი ბიბლიის კანონი. მან შექმნა ტრაექტორია, რომელმაც განაპირობა გამოხშირვა და ერთ წიგნად შეკვრა იმ დროს არსებული „წმინდა" ტექსტებისა.

ვერავინ იტყვის დანამდვილებით, როგორ განვითარდებოდა მოვლენები, რომ არა მარციონეს შემთხვევა. იქნებოდა კი ქრისტიანობა ერთი

წიგნის რელიგია?! შესაძლებელია, ქრისტიანობას ისე ეარსება საუკუნეების განმავლობაში, რომ მას არ ჰქონოდა ერთ წიგნად შეკრული კანონიკური ტექსტების კრებული, რაც, სავარაუდოდ, მნიშვნელოვნად შეცვლიდა მის თეოლოგიურ თუ პრაქტიკულ ბუნებას.

მარციონიზმს შეეძლო არა მხოლოდ გადაესხვაფერებინა ქრისტიანული თეოლოგია, არამედ მნიშვნელოვნად დაემახინჯებინა ის. ქრისტიანობა, როგორც სრულიად ინკლუზიური რელიგიური მიმდინარეობა, რომლის კარიც ღიაა ყველასთვის და ყოველთვის, რომელიც ყველა ადამიანსა და კულტურაში ეძებს ღვთის წყაროს, რომელიც არ განარჩევს ადამიანებს მათი წარმომავლობის, სოციალური სტატუსის, რასისა თუ სქესის მიხედვით, შესაძლოა, გარდაქმნილიყო ექსკლუზიური იდეოლოგიის მოძღვრებად, რომელიც გაემიჯნებოდა ებრაელ ხალხსა და კულტურას, დაუხურავდა კარს არასასურველ წევრებს. ძნელი სათქმელია, როგორ და რა სისწრაფით განვითარდებოდა მოვლენები, თუმცა ამ ხედვის მიზეზი მარციონე სინოპელის ანტიიუდაურ განწყობიდან მოდის. სრული სურათის დასანახად აუცილებელია იმ კონტექსტის გათვალისწინება, რომ მარციონეს პირადმა ცხოვრებისეულმა გამოცდილებამ და მოტივებმა განაპირობა მისი თეოლოგიური შეხედულებები.

მარციონიზმის აჩრდილი არც საუკუნეების შემდეგ გამქრალა. ქრისტიანული თეოლოგიის ექსკლუზიურ დარგზე მორგება არაერთმა ადამიანმა სცადა. ქრისტიანობის ანტიიუდაურ თუ ანტისემიტურ მოტივებზე გადაწყობის სურვილიც ხშირი იყო. მე-20 საუკუნის 30-იან წლებში, ნაციონალ-სოციალისტურმა გერმანულმა მუშათა პარტიამ გერმანიაში აბსოლუტური ძალაუფლების ხელში ჩაგდების კვალად, დაიწყო რელიგიის სახელმწიფო იდეოლოგიურ სამსახურში ჩაყენება. პრონაცისტური გერმანელი ქრისტიანების (Deutsche Christen) მოძრაობის ერთ-ერთ ლიდერ ლუდვიგ მიულერს, გერმანელ თეოლოგსა და ლუთერელ მღვდელს, ჰქონდა ბიბლიის კანონის ნაცისტური იდეოლოგიაზე მორგების სურვილი. მისი გეგმით, ებრაული ელემენტების გაქრობის მიზნით, „წმინდა ტექსტი“ ხელახლა უნდა დაერედაქტირებინათ, ძველი აღთქმის დიდი ნაწილი კი სრულად ამოეღოთ. მიულერს სურდა, ქრისტე წარმოეჩინა არიული რასის წარმომადგენლად - გმირ იესოდ (Heroic Jesus). გერმანულ სახელმწიფოში ბიბლიის ამ ახალი კანონის მიხედვით კი უნდა მიეღოთ რელიგიური გა-

ნათლება, მათ შორის სკოლებშიც. რელიგიის სათავისოდ გამოყენების და ანტისემიტური განწყობების გასაღვივებლად ადოლფ ჰიტლერის ნებით, მიულერი აირჩიეს რაიხის (სამეფო) მთავარეპისკოპოსად (Reichsbischof). ჰიტლერს სურდა, გერმანიაში იმ დროს არსებული პროტესტანტული ეკლესიების ერთი ცენტრალიზებული სამეფო ეკლესიის (Reichskirche) „ქოლგის ქვეშ“ გაერთიანება. მიუხედავად იმისა, რომ მიულერი მალევე გადააყენეს, სახელმწიფო პოლიტიკა, რომელიც ნაცისტურ იდეოლოგიურ სამსახურში აყენებდა ქრისტიანულ რელიგიას, მესამე რაიხის დაცემამდე შენარჩუნდა.

როგორც დასაწყისში ითქვა, დღეს მსოფლიოში მილიონობით ბეჭდური თუ ციფრული ბიბლია არსებობს. ხალხი მას ყოველდღიურად კითხულობს. თითქმის ყველა ეკლესია, რომელიც იესო ქრისტეს მოძღვრებაზეა დაფუძნებული ბიბლიას იყენებს როგორც ძირითად საკრალურ ტექსტს. არაერთი უნივერსიტეტი თუ ინსტიტუცია სწავლობს და ასწავლის ბიბლიას, როგორც სამეცნიერო თუ რელიგიურ დოკუმენტს. არაერთი მკვლევარი თუ ხელოვანი მუშაობს სხვადასხვა თვალსაზრისითა ამ წიგნის დეტალებზე. ბიბლიური ჰერმენევტიკა ფართოდ გავრცელებული და დაფასებული აკადემიური სფეროა. ბიბლია პოპულარულია არა მხოლოდ მორწმუნეთათვის, არამედ არარელიგიური ადამიანებისთვისაც, როგორც დოკუმენტი, რომელშიც თავმოყრილია, ისტორიული პროზა, ძველ ცივილიზაციათა იგავური სიბრძნე, ეპოსები, პოეზია, მათ შორის ეროტიკული ლირიკა, წერილები, სამხედრო საქმეები, ესქატოლოგიური ცნობები, უმშვენიერესი ლიტერატურული ნარატივები და სხვა.

ეს ყველაფერი და ის ფაქტიც, რომ ქრისტიანობას „წიგნის რელიგია“ ჰქვია, როგორც ირიბად, ასევე პირდაპირ, დაკავშირებულია ერთ უბრალო ახირებულ ადამიანთან, რომელიც დაიბადა პონტოს რეგიონში 1-ელი და მე-2 საუკუნეების მიჯნაზე და ცხოვრება დაასრულა, როგორც ეკლესიის წიაღიდან განდევნილმა ერეტიკოსმა. მიუხედავად მარცხისა, მარციონე სინოპელის იდეებმა და მცდელობებმა განაპირობა ბიბლიის კანონის შექმნა, წიგნისა, რომელიც დღემდე პირველ ადგილზეა მსოფლიოში ყველაზე კითხვად წიგნებს შორის და, სავარაუდოდ, კიდევ დიდხანს დარჩება.

ბიბლიოგრაფია

Fully Revised Fourth Edition The New Oxford Annotated Bible. New Revised Standard Version With The Apocrypha. edited by Michael D. Coogan. Oxford, New York: Oxford University Press, 2007.

Latin Christianity: Its Founder, Tertullian I. Apologetic; II. Anti-Marcion; III. Ethical. Edited by Allan Menzies, D.D., Ante-Nicene Fathers, 3. Grand Rapids, MI: Christian Classics Ethereal Library, 1885.

The Apostolic Fathers, Justin Martyr, Irenaeus. Edited by Alexander Roberts, D.D. & James Donaldson, LL.D. revised and chronologically arranged, with brief prefaces and occasional notes by A. Cleveland Coxe, D.D, Ante-Nicene Fathers, 1. Grand Rapids, MI: Christian Classics Ethereal Library, 1885. available at: http://www.ccel.org/ccel/schaff/anf01.pdf, accessed 22. 12. 2017.

Bruce, F. F. The New Testament documents are they reliable?. Grand Rapids, Michigan and Grove, Illinois: Eerdmans, InterVarsity Press, 2003.

Frend, W. H. C. The Rise of Christianity. Philadelphia: Fortress Press, 1989.

Hertling, Ludwig, S. J. A history of the Catholic Church. New York: Newman Press, 1957.

Moll, Sebastian. At the left hand of Christ: the arch-heretic Marcion. Ph.D. Thesis, Manuscript Edinburgh: 2009.

Poorthuis, Marcel. "The A-Cosmic Doctrine of Marcion and Paul's Apocalypticism: Theo-Political Implications." In: Political Theology, 17 (3, 2016), 289-296.

Robert I. Bradshaw, "Marcion: Portrait of a Heretic," 1, available at: https://earlychurch.org.uk/article_marcion.html, accessed on 27. 12. 2017.

"Best-selling book of non-fiction," Guinness World Records" http://www.guinnessworldrecords.com/world-records/best-selling-book-of-non-fiction/, (accessed 22. 12. 2017).

"Best-selling book of non-fiction," Guinness World Records" http://www.guinnessworldrecords.com/world-records/best-selling-book-of-non-fiction/, (accessed 22. 12. 2017).

Hartog, P. Polycarp's Epistle to the Philippians and the Martyrdom of Polycarp, Oxford University Press, 2013.

Denton, Mark Andrew. "Struggle to Serve Two Masters." PhD diss., Texas A&M University, 2002.

Hockenos, Matthew D. "The Church Struggle and the Confessing Church: An Introduction to Bonhoeffer's Context." Studies in Christian-Jewish Relations 2, no. 1 (2007).



ვერავინ იტყვის დანამდვილებით, როგორ განვითარდებოდა მოვლენები, რომ არა მარციონეს შემთხვევა. იქნებოდა კი ქრისტიანობა ერთი წიგნის რელიგია?! შესაძლებელია, ქრისტიანობას ისე ეარსება საუკუნეების განმავლობაში, რომ მას არ ჰქონოდა ერთ წიგნად შეკრული კანონიკური ტექსტების კრებული, რაც, სავარაუდოდ, მნიშვნელოვნად შეცვლიდა მის თეოლოგიურ თუ პრაქტიკულ ბუნებას.

ირაკლი კერესელიძე

ზღვარი

მართლმადიდებლობა და თანამედროვეობა

The Verge

The theological journal Zghvari (Verge) - Orthodoxy and Modernity was founded in 2002, although its publication was suspended for an extended period. Since 2022, the journal has been renewed and is now published quarterly - once every three months.

The journal's concept is based on the belief that an Orthodox theology and ethics that is open, oriented towards dialogue with modernity and the outside world, and grounded in Gospel teachings is organically connected to the concepts of human personality, freedom, equality before God, mutual respect, and the development of a society based on the principle of Christian ministry.

Therefore, the journal publishes articles by both classical and contemporary Georgian and foreign Orthodox authors whose theological-educational efforts are directed towards presenting Orthodoxy beyond political-ideological contexts, as a teaching that proclaims the possibility of the meeting between God and man, love and goodness, and social service provided for human beings.

Zghvari is distributed free of charge in bookstores and to interested groups. The release of each new issue is announced through various social networks. Readers can also access audio versions of every article published in the journal. Additionally, a public discussion is held around the main theme of each new issue of Zghvari.

The editor-in-chief of the journal is Archpriest Giorgi Tserodze of the Orthodox Church, while the editorial board includes: Fr. Ilia Jinjolava, Archimandrite of the Ecumenical Throne (PhD in Theology); Dr. Tamara Grdzelidze, Professor of Religious Studies and Theology at Ilia State University, Tbilisi; Dr. Zurab Jashi (Leipzig); and Beka Mindiashvili, Associate Professor at Ilia State University.

ზღვარი

მართლმადიდებლობა და საზოგადოებრივი

„ქრისტე იშვა ბეთლემსაო“...
თამარ გრძელიძე

თავისუფლებისა და სამართლიანობის არჩევანი
გურამ ბაში

ღმერთი სიყვარულისა და იმედისა მოვა წელსაც
ანდრეა არღირუფულო
თარგმნა ლევან ბუკია

რელიგიის გასაუქმებლად დაბადებული ქრისტე
დეკანოზი გიორგი წეროძე

წმინდა ლეონ დიდის საშობაო ქადაგების შესავალი
გურამ ბაში

წმინდა ლეონ დიდი
XXI ქადაგება შობაზე

ქრისტეს განკაცების შესახებ – მიტროპოლიტი იოანე ზიზიულასი
გურამ ლურსმანაშვილი

პიტერ ბრეიგელის საშობაო გზავნილები საქართველოსთვის
გელა მინდიაშვილი

დროის ფილოსოფიურ – საღვთისმეტყველო გააზრება საქართველოში
ნარი ჩხაბერიძე

ოლივერ სქოლასტიკოსის სამყარო და საქართველო
გელა ბიბინაძე

მღვდელმონაზონი თეოდორე ჩიხლაძე
ლაშა დეისაძე – შარვაშიძე

მსოფლიო პატრიარქ ბართლომეოსის საგმვიდობო პოლიტიკა
გიორგი ფარემუზეული, გიორგი მხეიძე

პონტოელი კაცის ახირება რომელმაც ყველაფერი შეცვალა
ირაკლი კერესელიძე

ISSN 2960-9275